# სარბიელი

სპორტული გაზეთი · სამშაბათი 2 დეკემბერი 2003 №229 (2000) · ფასი 50 თეთრი




## ქინქლაძე თითქმის პან10ნაიკოსელია

### რეინჯერსმა ნემსაძე ქართველებში გაიკითხა







## პერესმა თქვა: ანრი!

ფლორენტინო პერესმა რა ხანია, დაამტკიცა: იგი რეალისტია. გუშინ მან საჯაროდ განაცხადა — „რეალში“ „არსენალის“ ფრანგი ტიერი ანრიც უნდა

## რივალდო და მილანი: მორჩა!

### ჩელსი თუ ლივერპული?



გუშინ რივალდო და „მილანი“ ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ. ბრაზილიელს ინგლისში იწვევენ



წლის კაცმა-სენსაციამ, „ჩელსის“ მეპატრონემ რომან აბრამოვიჩმა ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონს გუშინ არნახული კონტრაქტი შესთავაზა

## აბრამოვიჩის აუქციონი გრძელდება

## 18 000 000£ ერიკსონში

# პორტიდან გამოვიდა და...
## ფოთელებს ფული გემივით დაეკარგათ



*ბოლო ტურის „კოლხეთი" – „თბილისის" სკანდალური პრესკონფერენცია მოჰყვა. ფოთელთა თავკაცმა გია ტყებუჩავამ კლუბის ხელმძღვანელობისკენ გაიშვირა თითი, ესენი ფოთში ფეხბურთს ანგრევენ და დროა, სათქმელი ითქვასო. ტყებუჩავას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, თუმც თქვა, „კოლხეთის" საქეთილდღეოდ მხოლოდ პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი ზრუნავს, დანარჩენები მის ნალვაწს წყალში ყრიანო. ჩვენი გუნდი უპატრონოდაა მიგდებული, ბიჭებს თამაშზე გასვლა არ სურდათ, მე კი ჩემს ავტორიტეტს არავის შევალახინებო, ცხარობდა ცხელ გულზე ტყებუჩავა. პრესკონფერენციის მერე ისიც ითქვა, მორჩა ტყებუჩავას ოდისეა, სიმართლის თქმისთვის მთავარ მწვრთნელად არავინ გააჩერებსო, თუმც ჯერჯერობით „ჯუნგლი" კვლავაც თავის ადგილზეა. კოლხთა თავკაცმა გუშინ „ცივი გონებით" უპასუხა ჩვენს კითხვებს.*

**— თქვენს მწვავე განცხადებას რა შედეგი მოჰყვა?**

— გუნდისთვის სასიკეთო არაფერი. ვითარება კვლავაც არ შეცვლილა. „კოლხეთში" დიდი პრობლემები დაგროვდა.

**— თქვით, რომ „კოლხეთი" უპატრონოდაა მიგდებული. ვინ არის ამაში დამნაშავე?**

— ისინი, ვის ხელშიცაა გუნდის ბედი. მათ შორის არ ვგულისხმობ პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილს. ეს კაცი მართლაც კაცურად გვიდგას გვერდში, თუმც მისი დახმარება ჩვენამდე არ აღწევს.

**— რას გულისხმობთ?**

— რეალურად ფეხბურთელთა ხელფას-პრემიებისთვის თანხა გამოყოფილია, თუმც ჩვენამდე ეს ფული არ მოსულა.

**— ინაიშვილმა თუ იცის ამის შესახებ?**

— დეტალურად არა. პრეზიდენტი თბილისშია, დღეისთვის ველით და როგორც კი ჩამოვა, დავსხდებით, ყველაფერს გავარკვევთ. ამ შეხვედრას ვიღაც შეეწირება.

**— ვინ?**

— ვინც დამნაშავეა.

**— „კოლხეთში" კარგა ხანია, ფინანსური პრობლემებია, თუმც ბოლო ტურამდე ამაზე არაფერი თქმულა. რატომ დუმდით აქამდე?**

— ვფიქრობდით, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა, თუმც დუმილმა უფრო ცუდი შედეგი გამოიღო, ამიტომაც ვფიქრობ, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას.

**— და მაინც, ბოლომდე მაინც არ ამბობთ, კონკრეტულად ვის ადანაშაულებთ „კოლხეთის" კრიზისში...**

— ინაიშვილთან შეხვედრის შემდეგ ყველას ყველაფერი ეცოდინება.

**— დიდი ვალი აქვს კლუბს ფეხბურთელების?**

— საკმაოდ. პრობლემა ძირითადად საკონტრაქტო თანხას უკავშირდება. ამის გარდა ფეხბურთელებს სექტემბრის მერე პრემიებიც არ აუღიათ. ასეთ ვითარებაში კი ძალიან ძნელია, გუნდს შედეგი მოვთხოვო, ბიჭები ენთუზიაზმით თამაშობდნენ და ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიას" და „ლოკომოტივის" ძლევით გმირობა ჩაიდინეს.

**— ითქვა, გია ტყებუჩავას სიმართლის თქმას არ აპატიებენ და გუნდიდან გაუშვებენო...**

— მე არსად წასვლას არ ვაპირებ. ვიმეორებ, „კოლხეთის" წარუმატებლობაში არც მე და არც ფეხბურთელებს ბრალი არ მიგვიძღვის. ასე იმიტომ მოხდა, რომ ფინანსურ ვაკუუმში მოგვაქციეს. ფეხბურთელები სრულ მხარდაჭერას მიცხადებენ, ასეთ ვითარებაში მეც არ მივატოვებ მათ. „კოლხეთში" რადიკალურად უნდა შეიცვალოს სიტუაცია, თორემ კატასტროფა გარდაუვალია.

**— ჯემალ ინაიშვილთან შეხვედრა შეცვლის ვითარებას?**

— დიახ. ამის იმედი მაქვს. ინაიშვილზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და ვფიქრობ, სწორ, კლუბისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებს.

# პრეზიდენტი კოლხეთში ჩაიხედავს

*„კოლხეთის" პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი გუშინ დაბრუნდა ფოთში და გუნდში არსებული ვითარების გასარკვევად გუშინვე კრება გამართა, რომლის დასრულებისთანავე ჩვენც შევეხმიანეთ*

**— „თბილისთან" წაგებული მატჩის შემდეგ „კოლხეთის" მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ ფინანსურ პრობლემებზე ისაუბრა და ისიც თქვა, გუნდის შესანახად ინაიშვილის მიერ გამოყოფილი თანხა ჩვენამდე არ აღწევსო...**

— ეს წუთია, ტყებუჩავა ჩემი კაბინეტიდან გავიდა. სხვებსაც ვესაუბრე და აშკარაა, კლუბში კონფლიქტია. ჩვენი უმთავრესი მიზანი ამ კონფლიქტის მიზეზების გარკვევა და საქმის მოგვარებაა.

**— ფინანსურ პრობლემებზე ფეხბურთელებიც ლაპარაკობენ.**

— ემოციებით ვერ ვიმსჯელებ. ყველაფერი გასარკვევია. ამიტომაც დღეს განკარგულება გავეცი, რომ კლუბში არსებული ვითარება საფუძვლიანად შეისწავლონ. დასკვნებს ამის შემდეგ გამოვიტანთ.

**— ფეხბურთელები საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე საუბრობენ...**

— ბევრ ფეხბურთელს ვურჩევ, კონტრაქტებში ჩაიხედონ... მე მათი არანაირი დავალიანება არ მაქვს.

**— მოთამაშეებიც იმასვე ჩივიან, ფოთის პორტს საჩვენო ფული გამოყოფილი აქვს, მაგრამ ეს თანხა მიზნობრივად არ იხარჯებაო.**

— პრობლემის გარკვევამდე ხელს ვერვის დავადებ. შევისწავლით ვითარებას და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებ.

**— რა დრო დასჭირდება გუნდში არსებული ვითარების შესწავლას?**

— მივლინებით მივემგზავრები საქართველოდან. 7-10 დღეში დავბრუნდები და ალბათ იმ დროისთვის ყველაფერი გარკვეული იქნება. ჯერჯერობით მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, „კოლხეთში" არსებული ვითარება საგანგაშო არ არის, მალე ყველაფერი მოწესრიგდება.

**ბაატა ძმანტალიანი**

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი საამიროები

A ჯგუფი. II ტური

ბურკინა ფასო 1:0 სლოვაკეთი

პანამა 1:2 საამიროები

B ჯგუფი. II ტური

მალი 0:2 ესპანეთი

უზბეკეთი 1:2 არგენტინა

C ჯგუფი. II ტური

ავსტრალია 2:1 კანადა

ჩეხეთი 1:1 ბრაზილია

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

ნიურნბერგი 1:0 არმინია

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

ბენფიკა 2:0 რიუ ავე

სპორტინგი 2:0 ბრაგა

ხორვატია

I ლიგა. XVI ტური

დინამო 4:0 სლავენი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVI ტური

ზლინი 1:0 სიგმა

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

*გიორგი ქინქლაძე ახლოსაა ახალ გუნდთან. ქინქლაძე, რომელმაც ამ სეზონის წინ ინგლისურ „დერბისთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა და დღემდე უკლუბოდაა, ამჟამად ათენშია და საბერძნეთის ვიცე-ჩემპიონ „პანათინაიკოსს" პირობებს უთანხმებს. იგი მანჩესტერიდან ელადას შაბათს გაემგზავრა. დილით მას „პანათინაიკოსის" აგენტი დაუკავშირდა, გუნდის მწვრთნელის, ებრაელი იცხაკ შუმის ინტერესის ამბავი ამცნო და საქმეც სანახევროდ მოაგვარა — საღამოს ქინქლაძე უკვე ათენში იყო და შუმს „პანაში" მის შესაძლო ტრანსფერზე, სამომავლო გეგმებზე ესაუბრებოდა*



# ბერძნებმა და ქინქლაძემ ერთმანეთს ათიანში მოარტყეს

— კარგა ხანია, „პანათინაიკოსი" ჩემი გადაბირებითაა დაინტერესებული, მაგრამ აქამდე თავს ვიკავებდი და პრემიერლიგის გუნდებიდან ველოდი წინადადებას — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ, რომელსაც ათენში დავუკავშირდით — რამდენიმე ვარიანტი მქონდა კიდეც, მაგრამ საქმე ბოლომდე აღარ მისულა. შაბათს კი „პანათინაიკოსიდან" დამირეკეს და ათენში ჩასვლა შემომთავაზეს. ბევრი არც მიფიქრია, ჩემოდანი ჩავალაგე და ახლა აქ ვარ.

**— კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

— კიდევ ერთ კვირას ათენში დავრჩები.

**— ივარჯიშებ, დაგაკვირდებიან?**

— ჯერ არ მივარჯიშია, კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს მხოლოდ ვესაუბრე. მათ თავიანთ გეგმებზე მითხრეს, როგორ წარმოუდგენიათ ქინქლაძე „პანათინაიკოსში". როგორც გავარკვიე, გამთამაშებელი, ბურთის დამჭერი ფეხბურთელი სჭირდებათ.

**— კონტრაქტზე არაფერი გითქვამთ?**

— რა თქმა უნდა, საკონტრაქტო პირობებზეც ვისაუბრეთ, მაგრამ სალაპარაკო კიდევ დაგვრჩა. ვიდრე შევთანხმდებით, იქამდე გუნდთან ერთად ვივარჯიშებ.

**— მოლაპარაკებას რამდენი ხანი დასჭირდება?**

— რა ვიცი, რას იტყვიან უფროსები. ჯერჯერობით კი საქმე კარგად მიდის. ბერძნებს, განსაკუთრებით მათ მწვრთნელ იცხაკ შუმს ძალიან უნდათ, რომ „პანათინაიკოსში" ვითამაშო.

**— აბა, წინაამდეგი არც შენ ხარ...**

— უსაქმოდ ყოფნას ხომ სჯობს, საბერძნეთის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა ლიგაში ადგილისთვის მებრძოლ გუნდში ვითამაშო? „პანათინაიკოსთან" თუ კონტრაქტი გავაფორმე, თავიდან ეს, ალბათ, ექვსთვიანი იქნება. სეზონის ბოლომდე დავრჩები და დანარჩენი მერე ვნახოთ. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივაც მაქვს და შესაძლოა, კონტრაქტი ექვსი თვითაც გავაგრძელო. თუმც საქმე ჯერ კონტრაქტამდე არ მისულა.

*გიორგი ქინქლაძის შემდეგ მის სატრანსფერო საქმეებში ჩახედულ ბერძენ აგენტ პარის პროდრომისაც დავუკავშირდით, რომელმაც ქართველი უკვე „პანათინაიკოსის" ფეხბურთელადაც კი ჩათვალა*

— გიორგი ამჟამად სამედიცინო შემოწმებაზეა, მას კლუბის მედსამსახური გულდასმით სინჯავს და პასუხს პარასკევს იტყვის. არა მგონია, ქინქლაძეს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდეს, თუმც ყოველგვარი გაუგებრობების გამოსარიცხად შემოწმება მაინც აუცილებელია. დიდი ხანია, „პანათინაიკოსი" ქინქლაძეზე ლაპარაკობს, მაგრამ ფეხბურთელის აქ ჩამოსვლა რატომღაც გაჭიანურდა. „პანას" სწორედაც რომ 10 ნომრის პოზიციაზე სჭირდება ფეხბურთელი. მწვრთნელი იცხაკ შუმი კმაყოფილია, ასეთი გამთამაშებელი ხელში უფასოდ რომ ჩაიგდო. იგი დარწმუნებულია, რომ ქინქლაძე მის გუნდს ძალიან გამოადგება.

**ძობა ინასარიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 14 ტური
გადადებული მატჩი

# სპორტი ალალია: ბათუმმა თბილისს ტაში დაუკრა

ბათუმი. 29 ნოემბერი. 14 საათი. დინამო. 1 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:3 ვიტ ჯორჯია

0:1 გოცირიძე (48), 0:2 ადამია (78), 0:3 მარცვალაძე (85), 1:3 შენგელია (87)

**ბათუმი:** ქვაჩახია, კობიძე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე, დუმბაძე, მახარაძე, მანჩხავა (დარჩიძე 50), ბესიკ თედორაძე (ფურცხვანიძე 63), ი. შენგელია, ფირცხალაიშვილი, კაკალაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ცანავა, მ. სალუქვაძე, ბეჟანიძე, რომანაძე
**მწვრთნელები:** ვალერიან ჩხარტიშვილი, ასლან ბალაძე

**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, გ. გოჩაშვილი, ლ. მერებაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, დვალიშვილი, ტორაძე (მარცვალაძე 46), დილმელაშვილი, გველესიანი (ე. მერებაშვილი 88), ლ. ნოზაძე (დათუნაიშვილი 85), ადამია, რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* ქურაძე, ზვ. ლაბაძე, კვახაძე, ბერულიძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 10-25; კუთხური: 3-6; კარისკენ დარტყმა: 1-7; კარში დარტყმა: 3-6; თამაშგარე: 1-1

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**დიდი** ავდრიანობის გამო ოქტომბერში გადადებულ მატჩს შაბათს ჩინებული ამინდი დაუდგა. მაშინ ისე არ ფასობდა ამ გუნდების დაპირისპირება, როგორც ახლა. განსაკუთრებით ბათუმელებისთვის, რომელთათვის სამ ქულას საზეექვსეულო მნიშვნელობა ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ „ბათუმი“ თავიდანვე შეიმართებოდა მიზნის მისაღწევად, მაგრამ მთელი 90 წუთი მსგავსი არაფერი შეგვიმჩნევია.

პირველივე წუთიდან ცხადი გახდა: „ვიტ ჯორჯია“ არაფრის დამთმობი არ იყო. ზურაბ ბერიძის შეგირდებმა უმალვე მოახერხეს მეტოქისთვის სასურველი ტაქტიკის თავზე მოხვევა.

აშკარა უპირატესობა ვიტელებმა სახიფათო ეპიზოდად მხოლოდ მე-20 წუთზე აქციეს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ქვაჩახიამ ვერ მოიხელთა და გადმოვარდნილს იმედაშვილმა ძლიერად დაჰკრა, თუმც ცარიელ კარს გვარიანად ააცილა.

სამიოდ წუთში გოჩაშვილი საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. ახლო ძელთან ბურთისკენ ადამია და გოცირიძე ერთბაშად გაემართნენ, მაგრამ ბეგლარ თევდორაძემ იმარჯვა და სიტუაცია განმუხტა.

„ბათუმს“ ერთადერთი რეალური შანსი მალე მიეცა. შენგელიამ დაბალი ტრაექტორიით დაარტყა, ბურთმა ფირცხალაიშვილის ფეხიდან მიმართულება იცვალა და მამარდაშვილი ძლივსღა მისწვდა კარში მიმავალ ბურთს.

სტუმართა უპირატესობა მეორე ტაიმში გენახათ. მათ, მეტი რომ არ ვთქვათ, გადაუარეს მეტოქეს და ლამის ყველა შეტევისას ხიფათი შექმნეს. თამაშის განახლებიდან სამიოდ წუთში კი გოლიც გავიდა. ამ მატჩში ყველაზე გამორჩეულმა, ოლეგ გველესიანმა ადამიას წამოწყებული შეტევა საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა, იქ კი გოცირიძე მცველებს წამით დაუსხლტა და თავით გაუტანა ქვაჩახიას.

ორიოდ წუთში მარცვალაძის ჩინებული პასით იმავ გოცირიძეს მეორის გატანაც მართებდა. ის, ფაქტობრივად, მარტო შერჩა მეკარეს, მაგრამ დარტყმა შეაყოვნა და სიჩქარედაკარგულმა სუსტად დაარტყა. ქვაჩახიას გვერდავლილ ბურთს კარის ხაზზე დუმბაძემ მიუსწრო.

მე-60 წუთზე „ბათუმი“ სასწაულებრივ გადაურჩა მეორე გოლს. ტრაგიკომიკურმა ეპიზოდმა „ვიტ ჯორჯიას“ სათადარიგოთა სკამი და მაყურებელი გააოგნა. ადამიას შორეულ პასს მარცვალაძე კი გამოეხმაურა, მაგრამ ქვაჩახიამ გამოსვლა და დასწრება მოახერხა. თუმც რად გინდა — ბურთს ფეხი ააცილა და მარცვალაძე ცარიელი კარის წინ მარტო აღმოჩნდა. ის, რაც შემდეგ მოხდა, ახალგაზრდა ვიტელი ფორვარდის დრამად უნდა მოვნათლოთ. მას ხელს არავინ უშლიდა, ბურთს ფეხი მოუქნია და... ააცილა.

ფეხბურთის დაუწერელი კანონის თანახმად, სტუმრები უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ „ბათუმს“ ამის შნო და, რაც მთავარია, აგრესია არ გაჩნდა. ერთადერთხელ იყო, მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ირაკლი შენგელიამ გასაყაიმებლად ყველაფერი რომ გააკეთა. კაკალაძის პასი მიიღო, საჯარიმოს კიდესთან მეტოქე ჩამოიშორა და შორეულ კუთხეში ძლიერად დაჰკრა — არ გაუმართლა, ბურთი ხარიხას მცირედით გადასცდა.

სამ წუთში კი ყველაფერი ცხადი შეიქნა. საჯარიმოს წინ კობიძემ ბურთი ხელით გააჩერა, ადამიამ კი მართლაც ჩინებული დარტყმით „ბათუმი“ საბოლოოდ დააოკა.

მოგვიანებით მარცვალაძემ მაინც გაიტანა თავისი. გველესიანის ჩაწოდებული ბურთი მკერდით გაიგდო, დუმბაძეც გაბითურა და კარშიც ზუსტად დაარტყა.

დარჩენილ დროში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ირაკლი შენგელიას საპრესტიჟო გოლს, დაახლოებით 20 მეტრიდან გატანილ ჯარიმას.

დარჩენილ ორ ტურში „ბათუმს“ სასწაული თუ შეიყვანს ზეექვსეულში. საამისოდ ზღვისპირელებმა ჯერ „სპარტაკს“ უნდა მოუგონ შინ, მერე კი თბილისში „დინამოს“ იგივე დამართონ. ცოტა არ იყოს, საძნელო საქმე ჩანს.

ბოლოს ერთიც: ბათუმელმა გულშემატკივრებმა მთელი მეორე ტაიმი სტუმრებს უქომაგეს და მატჩის დასრულების შემდეგ სულაც ოვაცია მოუწყვეს კარგი თამაშისთვის.

*ასლან ბალაძე:* „ვიტ ჯორჯია“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მასთან თამაში ყოველთვის გვიჭირდა, მით უმეტეს ახლა, როცა მხოლოდ მოგება გვსურდა. ამ ფსიქოლოგიურმა ფონმა ცუდად იმოქმედა ჩვენებზე, თანაც „დილასთან“ მძიმე მატჩის შემდეგ სამ დღეში ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ. გალოგრეს არყოფნამ მთელი დაცვის ხაზი აგვირია. ექვსეულში მოხვედრა გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც ყველანაირად ვეცდებით.

*ზურაბ ბერიძე:* ვიცოდით, რომ „ბათუმი“ კარგი გუნდი იყო და ყველაფერი გავაკეთეთ მიზნის მისაღწევად. ვეცდებით, „თბილისთანაც“ ასე ვითამაშოთ. ბიჭებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, განსაკუთრებით ლევან მერებაშვილს გამოვარჩევ, რომელმაც ჩინებულად ითამაშა დაცვის ცენტრში და კობიაშვილის არყოფნა გააბათილა. აღფრთოვანებული ვარ ბათუმელი ქომაგებით. მათ კარგად იციან ფეხბურთის ფასი და ეს ვიგრძენით კიდეც.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 14 | 4 | 2 | 44:8 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 11 | 5 | 4 | 35:14 | 38 |
| სიონი | 20 | 10 | 7 | 3 | 28:16 | 37 |
| დილა | 20 | 10 | 3 | 7 | 28:19 | 33 |
| თბილისი | 20 | 9 | 4 | 7 | 39:25 | 31 |
| ლოკომოტივი | 20 | 9 | 4 | 7 | 30:22 | 31 |
| ბათუმი | 20 | 9 | 2 | 9 | 24:22 | 29 |
| ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 21:23 | 28 |
| კოლხეთი | 20 | 6 | 3 | 11 | 15:30 | 21 |
| მცხეთა | 20 | 6 | 2 | 12 | 22:47 | 20 |
| სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 11:45 | 13 |
| მერცხალი | 20 | 2 | 4 | 14 | 17:41 | 10 |



რევაზ გოცირიძემ გაიგოლავა

# თვალდახუჭული გაგება
## ვიტჯორჯიული უხერხულობანი

*მე-14 ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიამ“ სტუმრად 3:1 მოუგო „ბათუმს“ და ერთი გოლი თბილისელთაგან რევაზ გოცირიძემ გაიტანა, ვინც სამსეზონოდ დაბრუნდა „ვიტ ჯორჯიაში“ უკრაინიდან და ახლა ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა*

— „ბათუმთან“ სათამაშოდ ისე მობილიზებულნი ვიყავით, რომ დიდ უპირატესობას ვფლობდით და მეტოქისთვის არანაირი შანსი არ მიგვიცია.

**— მეგოლეებში დაწინაურდი, თუმცა ბევრ საგოლე მომენტს აცუდებ...**

— ბომბარდირებში რომ დავწინაურდი, ეს ძალიან მახარებს — ბომბარდირობა ყველა თავდამსხმელის ოცნებაა. რაც შეეხება საგოლე მომენტების რეალიზაციის არცთუ დიდ მაჩვენებელს, ამაზე მეც სერიოზულად ვფიქრობ — ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სათამაშო პრაქტიკა მაკლია — უკრაინულ „კრივბასში“ არცთუ ხშირად მიწევდა თამაში.

**— ბომბარდირობაში შენს მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?**

— ამ დროისთვის ასეთებად ბორის გონჩაროვი, სულიკო დავითაშვილი და კოკა მიკუჩაძე მეგულებიან.

**— „ვიტ ჯორჯიამ“ ზეექვსეული უკვე გაინაღდა — ბოლო მატჩებში ოდნავ მოდუნებულები ხომ არ იქნებით?**

— არა, რადგან ეს ძალიან დაძაბული ჩემპიონატია და სანამ გუნდები ექვსეულებად დაიყოფიან და ქულები გაუნახევრდებათ, რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა დავაგროვოთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დიდი მიზნისთვის ვიბრძვით.

**— ამ მიზანში მხოლოდ ჩემპიონობას გულისხმობ?**

— ჩვენი მიზანი ასეთია — მაქსიმუმ ჩემპიონობა, მინიმუმ მეორე ადგილი.

**— „ვიტ ჯორჯიას“ ტრავმამოშუშებული გიორგი ადამია დაუბრუნდა, ვინც კარგად გამარაგებს გადაცემებით, ამით კი ბომბარდირობის შანსი გაგეზარდა...**

— ადამია ჩვენი გუნდისთვის მართლაც დიდი ძალაა. მე და გიორგი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და რომ იტყვიან, თვალდახუჭული ვუგებთ ერთმანეთს. მისი დახმარებით უფრო მეტი საშუალება მეძლევა გოლის გასატანად. თანაც ფლანგური ჩაწოდებებიდან უფრო მაღვილდება კარის დალაშქვრა — ჩვენი მწვრთნელიც ვარჯიშებზე ამას დიდ ყურადღებას უთმობს.

**— „ვიტ ჯორჯიასთვის“ ყველაზე უხერხული მეტოქე რომელი გუნდია?**

— „ლოკომოტივი“, რომელთანაც მეორე წრეში წავაგეთ, პირველში კი უპირატესობის მიუხედავად, მხოლოდ ფრეს გამოვრჩით. „ლოკომოტივს“ მართლაც ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს.

**— „ვიტ ჯორჯია“ ვისთვისაა ყველაზე უხერხული გუნდი? ადრე ამბობდნენ, „დინამოსთვისო“, თუმცა ახლა „დინამოში“ ამბობენ, ის დრო წავიდა, „ვიტ ჯორჯია“ ჩვენთვის უხერხული მეტოქე რომ იყოო...**

— არა მგონია, ეგრე იყოს — პირველ წრეში „დინამომ“ შინ ვერ მოგვიგო, მეორე მატჩში კი ჩვენ უნდა გაგვემარჯვა, მაგრამ არ გაგვიმართლა.

**— როგორ ფიქრობ, ჩემპიონობისთვის სწორედ თქვენ და „დინამო“ იბრძოლებთ?**

— „სიონსაც“ ნუ ჩამოვწერთ და, თუ ექვსეულში „თბილისიც“ და „ლოკომოტივიც“ შევლენ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამ გუნდებსაც შეუძლიათ.

**— „კრივბასში“თამაშის გარდა, გერმანულ „მანჰეიმშიც“ იყავი გასინჯვაზე — უცხოეთში წასვლას აღარ აპირებ?**

— „ვიტ ჯორჯიაში“ თავს კარგად ვგრძნობ და სეზონს აქ ჩავამთავრებ — ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ.

**დავით თავართქილაძე**

# შეთხელებული ამბები

## ქეცბაიას გული და გოლი ისევ ერჩის

**ოდენ** ორი ქართული გოლი გავიდა საზამთროდ შემეჩხერებულ ევროფეხბურთში. გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში ხვიჩა შუბითიძემ ქულა გადაურჩინა აუე-ს. ერთ დროს გიორგი დეკანოსიძის „ფიურტი“ თავიდანვე დაწინაურდა აუტსაიდერ აუე-სთან, თუმც შუბითიძემ ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში შეძლო. მეორე ნახევარი „მშვიდობიანი“ გამოდგა, მწვრთნელმა კი კლუბის საუკეთესო მეგოლე, 6 ბურთის გამტანი შუბითიძე 78-ე წუთზე შეცვალა. ახლა აუე მე-16 ადგილზეა 18-გუნდა ცხრილში.

ხვიჩას მხარი კვიპროსელმა თემურ ქეცბაიამ აუბა. „ანართოსისმა“ 4:0 მიანგრია უსახელო „დოჰა“, მესამე გოლი კი თემურმა გაიტანა. ჩვენმა სხვა კუნძულელებმა ქულაც ვერ აიღეს და სატურნირო მდგომარეობა გაირთულეს.

როგორც იქნა, მოიგო „შალკემ“. ლევან კობიაშვილის გუნდმა ბერლინში „ჰერტას“ დაცვის კედელი დაანგრია. ჩვენებურმა სრულად ითამაშა და ერთ-ერთი ყველაზე აქტიურიც იყო. „შალკემ“ 3:1 მოგებით მეთერთმეტე ადგილამდე აინაცვლა. სამარცხვინოდ დამარცხდა ცქიტიშვილ-იაშვილის „ფრაიბურგი“. ფოლკერ ფინკეს ბიჭები „ჰანოვერმა“ წაშალა. ლევან ცქიტიშვილმა სრულად ითამაშა, ალექსანდრე იაშვილი კი ჰანოვერში საერთოდ არ ჩასულა — საზარდული ასტკივდა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს.

არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ ბოლო წუთზე მოუგო „ჰიბერნიანს“. ორივე ქართველი ძირითადში იყო.

ჰოლანდიაში კვლავ გაილაღა გოგა გახოკიძემ. „ტვენტემ“ 2:1 სძლია „ბრედას“. პირველი გოლი კი ენსხედელებმა სწორედ გახოკიძის აქტიური გარჯის შედეგად გაიტანეს. „ტვენტე“ მეშვიდე ადგილზე წამოსკუპდა და უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლთა ამქარს შეუერთდა.

დავით მუჯირის „შტურმს“ ისევ გაექცა მოგება. გრაცელებს მეტოქეც არ ჰყავდათ უძლეველი, თუმც ოდენ ფრეს დასჯერდნენ. „მუმუ“ 66-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, თუმც „შტურმს“ გასავარდნთა ზონიდან თავის დაღწევაში ეგრეც ვერ შეეშველა.

თურქეთში გივი დიდავას „ქოჯაელისფორმა“ გაიღვიძა. რამდენიმეტურიანი წარუმატებლობის შემდეგ იზმითელებმა „მერსინი“ 1:0 დაამარცხეს და სამეულში შეყვეს თავი.

**ძახა ზალამბერიძე**



# კალაძეს ტოკიოში სამპდორია წაიყვანს

**იტალიური „მილანის“** ქართველ მცველს კახა კალაძეს საზარდულის ტრავმა გაუმიზეზდა და გუნდთან ერთად ვარჯიშის დაწყება მოსალოდნელზე მეტად შეუგვიანდა.

კახა, რომელსაც საზარდულმა სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უმტყუნა და მკურნალობას სამთვენახევარი მოანდომა, „მილანს“ წინა პარასკევს შეუერთდა და ახლა უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

— საზარდული ოდნავ კიდევ მაწუხებს. მოედანზე პირველად რომ გავედი და ბურთს შევეხე, ტკივილი ვიგრძენი და ვარჯიში შევწყვიტე, თუმც ექიმებმა დამამშვიდეს, ამდენი ხნის მკურნალობის შემდეგ კუნთები მოდუნებულია, ტკივილიც ამის ბრალია და ნელ-ნელა გაგივლისო. მერე ვარჯიშიც განვაახლე და მართლაც, ვგრძნობ, რომ დღითი-დღე ჯანი მომდის. არ ვიცი, სასურველი ფორმის აღდგენას ერთ კვირას მოვანდომებ თუ ორს, მაგრამ ოთხშაბათს იტალიის თასზე გენუაში, „სამპდორიასთან“ შესაძლოა ვითამაშო კიდეც. საკონტინენტთაშორისო თასზე „ბოკა ხუნიორსთან“ კი, ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაშიც გამოვჩნდები — გვითხრა კალაძემ, როცა მილანში დავუკავშირდით.

**ძოზა ინასარიძე**

# რეინჯერსმა ნემსაძე ქართველებში გაიკითხა

*სქოთური პრემიერლიგის ბოლო ორ მატჩში შოთა არველაძეს გოლი არ გაუტანია, თუმც „ჰიბერნიანთან“ შეხვედრაში ერთ-ერთმა ბრიტანულმა სააგენტომ ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა და შოთასაც ამად შევეხმიანეთ.*



[illegible] ფოტო

— „ჰიბერნიანთან“ გამოკვეთილ ფორვარდად ვითამაშე, თუმც საკუთარი თავით მაინც უკმაყოფილო დავრჩი — მეტი შემიძლია.

**— „რეინჯერსში“ რა ვითარებაა — ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა კლუბის ხელმძღვანელობამ მტკივნეულად აღიქვა?**

— ვერ გეტყვით, ამის შესახებ ფეხბურთელებს არაფერს გვეუბნებიან.

**— ტრავმა მოირჩინე?**

— კოჭი უკეთესად მაქვს, მაგრამ მარჯვენა მუხლი კვლავ მტკივა — ქრონიკული ართრიზი მჭირს, რომელიც ახლა გამწვავებულია და მის ჩაცხრობას დრო უნდა. კიოლნელი ექიმების მიერ წამალს ვიკეთებ ხოლმე და შვებასაც ვგრძნობ, მაგრამ მერე კვლავ მაწუხებს ტკივილი.

**— გიორგი ნემსაძის რა ისმის? ხომ არ არის იმის მცდელობა, რომ ნემსაძე „რეინჯერსში“ გადმოვიდეს?**

— ნემსაძის ჩვენთან გადმოსვლის თაობაზე ლაპარაკი მართლაც არის. ვნახოთ, როგორ მოგვარდება ეს საქმე.

*„დანდი“ ფაქტობრივად გაკოტრებულია — ამ კლუბის ვალი ჯამში 20 მილიონ გირვანქას შეადგენს და რასა იქმს გიორგი ნემსაძე? ეროვნულ ნაკრების კაპიტანს წუხელ ვესაუბრეთ.*

— ტრავმა მოვირჩინე, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, თამაშიც შემიძლია, მაგრამ ამას ვერიდები, რათა ტრავმა არ მივიღო. ბევრ აგენტს ველაპარაკე და გარკვეული შემოთავაზებებიც მივიღე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ.

**— შოთამ გვითხრა, რომ ლაპარაკია შენს „რეინჯერსში“ გადასვლაზე...**

— ალექს მაკლიშს ამის შესახებ უსაუბრია შოთასთანაც და ზურასთანაც, ხოლო „რეინჯერსის“ პრეზიდენტს შოთასთან ულაპარაკია. თუმც ჩემთვის „რეინჯერსიდან“ ჯერ არავის მოუმართავს. ალბათ ამასაც მალე გავიგებ.

**— რამდენად სასურველია შენთვის „რეინჯერსში“ გადასვლა იმ მხრივ, რომ იქ გაცილებით მძაფრი კონკურენცია, ვიდრე „დანდიში“ ან შოტლანდიის რომელიმე საშუალო გუნდში?**

— „რეინჯერსი“ დიდი გუნდია და იქ გადასვლაზე უარი რატომ უნდა ვთქვა?! კონკურენციის კი არ მეშინია — თუ „რეინჯერსში“ გადავალ, ძირითადშიც ვითამაშებ.

**— თუ ტრანსფერი შედგა, უფლება გაქვს, მყის ითამაშო სხვა გუნდში?**

— რადგან ეს საგანგებო შემთხვევაა, ეს ნებადართულია.

**— გასაგებია, მაგრამ შოტლანდიურ პრესაში დაიწერა, რომ „რეინჯერსი“ დანდელ გევინ რაეში 255 000 გირვანქას იხდის...**

— ამაზეც იყო ლაპარაკი, თუმც ჯერ არაფერი არ გარკვეულა.

**დავით თავართქილაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | მოდენა 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰერტა 3:1 | 90 | | 14 | 0 | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანოვერი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 6 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანოვერი 0:3 | 90 | | 14 | 1 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ფიურტი 1:1 | 78 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 6 | 16 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰიბერნიანი 1:0 | 90 | | 11 | 9 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ჰიბერნიანი 1:0 | 90 | | 12 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ლივინგსტონი | 0 | ტრანსფერზეა | 9 | 0 | 7 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ბრედა 2:1 | 90 | საგოლე პასი | 13 | 0 | 7 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | პაშინგი 2:2 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 9 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | შ | შოპრონი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 7 | 1 | 5 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | როდოპა 2:0 | 90 | | 13 | 4 | 6 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 0 | | 4 | 0 | 16 |
| ლევან შავგულიძე | ჩერნო მორე | ს | ცსკა 0:2 | 0 | | 2 | 0 | 13 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ცსკა 0:2 | 90 | | 5 | 0 | 13 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | მერსინი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 3 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | დოჰა 4:0 | 90 | 1 გოლი | 11 | 5 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | აპოლონი 0:2 | 82 | შეცვალეს | 9 | 1 | 7 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ომონია 2:3 | 68 | შეცვალეს | 8 | 7 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | შ | აეკ 0:1 | 90 | | 10 | 5 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# რეხვიაშვილის საიდუმლო

*ჯერაც გაურკვეველია ალექსანდრე რეხვიაშვილის ბედი. ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ძველებურად „ტორპედო-მეტალურგს“ ეკუთვნის, თუმც ცნობილია, არც კლუბს და არც მას არა აქვთ ურთიერთობის გაგრძელების სურვილი. რეხვიაშვილს გუშინ ტელეფონით რომ დავუკავშირდით, ჩვენდა გასაკვირად, გერმანიაში აღმოჩნდა.*

— გერმანიაში ჩემი ვიზიტი ფეხბურთს არ უკავშირდება.

**— სამოგზაუროდ არცთუ ხელსაყრელი დრო აგირჩევია. „ტორპედო-მეტალურგში“ დარჩენას არ აპირებ, ესე იგი, ახალი კლუბია მოსაძებნი. ამიტომაც ხომ არ მოხვდი გერმანიაში?**

— არა, არა. აქ სხვა მიზნით ვარ, პირადული ამბავია.

**— მეუღლესთან ერთად ჩახვედი გერმანიაში?**

— არა. მეუღლე რიგაში დარჩა.

**— აბა, მეგობრებთან ერთად ისვენებ? რომელ ქალაქში ხარ?**

— არა, არც მეგობრებთან ერთად ჩამოვსულვარ... ქალაქსაც ვერ გეტყვი, ეს ვიზიტი ძალიან პირადულია, ფეხბურთთან არანაირი შეხება არა აქვს.

**— „ტორპედო-მეტალურგიდან“ შენი წასვლა, ფაქტობრივად, დროის ამბავია. ითქვა, რეხვიაშვილი რუსული პრემიერლიგის სხვა გუნდში მოეწყობაო...**

— მეც ვიცი, რომ რამდენიმე რუსული კლუბია ჩემით დაინტერესებული და „ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელები ჩემს ტრანსფერზე მუშაობენ.

**— როდის გაირკვევა შენი ახალი გუნდის საქმე?**

— ალბათ დეკემბრის ბოლოს. მანამდე კი „ტორპედო-მეტალურგთან“ ერთად კისლოვოდსკში მოვემზადები. არც იმას გამოვრიცხავ, რომ უფრო ადრე მომიხდეს ოფიციალურად გუნდის დატოვება.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ჩელსი ღრუბლებში აიჭრა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIV ტური

**ჩელსი 1:0 მანჩესტერი**

1:0 ლამპარდი (28პ)

**ჩელსი:** კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (დაფი 58), კრესპო (გრონკიაერი 61), მუტუ (ჰასელბაინკი 79)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში, კ. ფორჩუნი (კ. რონალდო 72), როი კინი, ფ. ნევილი (კლებერსონი 77), გიგზი, ვან ნისტელროი, ფორლანი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: კოული, მელხიოტი, ლამპარდი, მუტუ, კინი

მსაჯი: ვაილი

41 932 მაყურებელი

**არსენალი 0:0 ფულემი**

**არსენალი:** ლემანი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ალიადიერი 79), ჟილბერტო სილვა (კანუ 67), ედუ, პირესი, ანრი, ბერხკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, მელვილი, ბონისელი, მალბრანკი, კლარკი, ლეგვინსკი, ინამოტო, შ. დევისი, საჰა (ჰეილსი 76)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ედუ, ლეგვინსკი

მსაჯი: ბარბერი

38 063 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (33), 1:1 ჯერარდი (35პ), 2:1 კიუელი (69), 3:1 ჰესკი (78)

**ლივერპული:** კირკლენდი, ს. დიაო, ბისკანი, ჰიიპია, ტრაორე (რიისე 67), დიუფი (შმიცერი 54), ჯერარდი, ჰამანი, კიუელი, ჰესკი, სინამა-პონგოლე (დენი მერფი 79)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**ბირმინგემი:** ი. ბენეტი, დ. ჯონსონი, კანინგემი, აპსონი (ტებილი 76), კლეპამი, დ. დანი, სევიჯი, კლემენსი (მორისონი 80), ლაზარიდისი, დიუგარი (კიროვსკი 79), ფორსელი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: დიაო, ჰამანი, ჯონსონი

მსაჯი: ბერი

42 683 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 1:1 ნიუკასლი**

1:0 ბლეიქი (27), 1:1 შირერი (31)

**ვულვერჰემპტონი:** ოუქსი, ირვინი, ნეილორი, კრადოკი, ბატლერი, რაე, ენდრიუსი, გუდიონსონი, კენედი (მილერი 76), ნ. ბლეიქი, ა. კამარა

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, ბრემბლი, ვუდგეიტი, ბერნარი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, ბოიერი (ამეობი 78), შირერი, ლუა ლუა (სოლანო 79)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: ბატლერი, ნეილორი, ბერნარი

მსაჯი: ბენეტი

29 344 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 მიდლსბრო**

0:1 ჟიხაი (30ს.კ.)

**მანჩესტერ სიტი:** სტურ-ელეგაარდი, ჟიხაი (ფაულერი 66), რ. დანი, დისტინი, სომეილი, რაიტ-ფილიპსი, კ. რეინა, ჯ. ბარტონი (სიბიერსკი 74), ტ. სინკლერი, ანელკა, ვანჩოპე

მწვრთნელი: კევინ კიგანი

**მიდლსბრო:** შვარცერი, მილსი, საუთგეიტი, კუპერი, კედრუ, დორივა (გრინინგი 36), ბოატენგი (ნემეტი 73), მენდიეტა, ზენდენი, მ. რიკეტსი (რიგოტი 83), ჟუნინიო პაულისტა

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

მსაჯი: რაილი

46 824 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:1 ლიდსი**

0:1 მილნერი (9)

**ჩარლტონი:** კიელი, კიშიშევი (ჯ. ფორჩუნი 88), ფიში, პერი, ჰრეიდარსონი, გ. სტიუარტი, პარკერი, ჰოლანდი, კ. იენსენი (კემპბელ-რაისი 71), იუელი, მათიას სვენსონი (კ. კოული 46)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**ლიდსი:** პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, დაბერი, ჰარტი, პენანტი, ა. სმიტი, ბეტი, მატეო, მილნერი, ვიდუკა

მწვრთნელი: ედი გრეი

გაფრთხილება: პარკერი, კიშიშევი, სმიტი

მსაჯი: ჰალსი

26 445 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 დაბლინი (45)

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (ს. მური 64), გ. მაკკანი, ბერი, უიტინგემი (ჰიცლსპერგერი 85), პაბლო ანხელი (ოლბოკი 76), ვასელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ა. სვენსონი (მარსდენი 46), პრატონი, ნ. მაკკანი (პახარსი 70), დელაპი (დოდი 46), ფილიპსი, ბიტი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: მარსდენი

მსაჯი: მესიასი

31 285 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 გრეშკო (78)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ბაბელი, ტოდი, შორტი, გრეშკო, ემერტონი, ბ. ფერგიუსონი, თუგაი, ნ. იოჰანსონი (რიდი 46), გალაჰერი (მ. იანსენი 83), იორკი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, რიჩარდსი, ე. გარდნერი, ტარიკო, დალმა (მაბიზელა 65), ანდერტონი, კინგი, კონჩესკი (გ. რიკეტსი 82), პოსტიგა (ზამორა 65), რობი კინი

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

გაფრთხილება: გარდნერი

მსაჯი: პოლი

22 802 მაყურებელი

**ბოლტონი 2:0 ევერტონი**

1:0 ფრანდსენი (26), 2:0 ჯორკაეფი (46)

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჩარლტონი, რ. გარდნერი, კამპო, იანაკოპულოსი (ჯორკაეფი 30), ფრანდსენი, ოკოჩა, ნოლანი, კ. დევისი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

**ევერტონი:** მარტინი, ჰაიბერტი, სტაბსი, იობო, ანსუორთი, გრავესენი (ნიარკო 71), ლინდეროთი (მაკფადენი 46), კარსლი, კილბეინი, რუნი (ჯეფერსი 54), რაძინსკი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: კარსლი, მაკფადენი

მსაჯი: დარკინი

27 350 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:2 ლესტერი**

0:1 ფერდინანდი (31), 0:2 ბენტი (59)

**პორტსმუთი:** ვაჰენაარი, ბ. ჟივკოვიჩი, ფოქსი (მეთიუ ტეილორი 65), სტეფანოვიჩი, დე ზეეუვი, სტოუნი, შერვუდი, სმერტინი, ბერგერი, შერინგემი, აიეგბენი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**ლესტერი:** უოქერი, კერტისი, შიმეკა, ჰაუი, ტეტჩერი, სკოუკროფტი, იზეტი, მაკკინლი, ჯ. სტიუარტი, ლ. ფერდინანდი (დავიდსონი 81), მ. ბენტი (ჰინეტი 90)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

გაფრთხილება: დე ზეუვი, სმერტინი, ბერგერი, აიეგბენი, შერინგემი, მაკკინლი

მსაჯი: დინი

20 061 მაყურებელი

„რა თქმა უნდა, ეს მისტერ კინია“ — თამაშის წინ ყველა ასე პასუხობდა შეკითხვაზე, ვინ იქნება „ჩელსი“ — „მანჩესტერის“ მატჩის მთავარი ფიგურა. ასე ამბობდნენ მწვრთნელები, გულშემატკივრები, ბუქმეიკერები და თავად ფეხბურთელებიც. როი კინმა საუცხოოდ ითამაშა, თუმცა სხვაფრივაც გამოდგა დიდი თამაშის მთავარი ფიგურა: სწორედ მის ფეხს წამოედო ჯო კოული და სწორედ ამის გამო დაინიშნა პენალტი 28-ე წუთზე, რაიც ფრენკ ლამპარდმა გამოიყენა და შეხვედრის ერთადერთი გოლიც ეს გამოდგა.

კინმა სასტიკად გააპროტესტა პენალტი, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. გოლი ველარავინ გაიტანა, თუმცა დარჩენილ საათში ძალიან მაღალი კლასის თამაში გაგრძელდა.

ლონდონში სწორედ იმ დროს გაწვიმდა, როცა „სტემფორდ ბრიჯზე“ ამ მატჩის დაწყების ჩასტვინეს. თუმცა, იქ კალინკას მაინც უკრავდნენ. დაუკრავდნენ თუ არა, ვითარება მაინც საკარნავალო იქნებოდა, რადგან სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონ მორაგბეთა მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი და ლორი დალალიო გამოჩნდნენ, რამაც აბრამოვიჩის მინდორზე დიდად გაახალისა ვითარება.

საკუთრივ თამაშში კი „ჩელსი“ საუცხოოდ ჩაეჭიდა თავის უპირატესობას და „მანჩესტერმა“ მანამდე ვერ გაშალა ფრთები, სანამ თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთი არ დარჩა. სტუმრებმა ამ დროს მართლაც დაატრიალეს ბურთი კუდიჩინის ბაქანზე, თუმცა, ამ დროსვე მათმა მეკარემ ტიმ ჰოვარდმა ზედიზედ დარტყმულებიც მოიგერია. მოკლედ, დიდებული თამაში გამოვიდა, თუმცა „მანჩესტერი“ მესამეზე დარჩა და უფრო უარესი განწყობით, „ჩელსი“ კი ლიდერი შეიქნა და საკუთარი ძალებისაც სულ სხვანაირად ირწმუნა, იმიტომ, რომ თამაშის წინ სწორედ ასე ამბობდნენ, თუ „მანჩესტერმა“ მოიგო, ლონდონელებს თავის ადგილზე მიუთითებს, ხოლო თუ „ჩელსიმ“, იტყვის, ჩემპიონობისთვის ღირსეულად ვიბრძვით.

„ჩელსის“ მოგებას ფასი იმიტომაც დაედო, რომ ტიერი ანრიმ და მისმა ამხანაგებმა ვერაფერი მოუხერხეს „ფულემს“, განსაკუთრებით კი მის ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ედვინ ვან დერ სარს. ასე რომ, „ჩელსის“ მეზობელმა და სადერბო მტერმა „ფულემმა“ „ჩელსის“ ლიდერად ქცევას დიდად წაახმარა ხელი.

კვირა დღის ამ ორმა მეტად მნიშვნელოვანმა თამაშმა დაჩრდილა იმ დღისა და შაბათის მომხდარი ამბები. მაგალითად, საუცხოო მატჩი ბირმინგემში, სადაც „ლივერპულმა“ თამაში შემოუტრიალა „ბირმინგემს“ და 3:1 მოუგო.



„ვულვერჰემპტონისა“ და „ნიუკასლის“ მატჩის დაწყებამდე მავანმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მაშხალა ისროლა. საუბედუროდ, მაშხალა ტრიბუნას ვერ გასცდა და მაყურებელ ქალს სახეში მოხვდა

„ბლექბერნმა“ დიდი ამბით, გაჭირვებით, ვრატისლავ გრეშკოს რიკოშეტიანი გოლით სძლია „ტოტენჰემს“, ბობოქარ მენეჯერ გრემ სუნესს კი კვლავ არ ულიმიან მსაჯები, გრემ პოლმა ის მეორე ტაიმის დასაწყისში დაითხოვა მოედნის კიდიდან მეოთხე მსაჯის მეტისმეტი გაწვალებისთვის. როდესაც პოლმა სუნესი დაითხოვა, მენეჯერმა უთხრა: არ ვიცოდი, სერ, თუ „ტოტენჰემის“ გულშემატკივარი იყავითო.

„ევერტონმა“ კი კვლავ წააგო, „ბოლტონი“ კარგად დაუხვდა ლივერპულის კარამელს. დევიდ მოიესმა მეორე ტაიმის დასაწყისში გამოცვალა უეინ რუნი და ეს ამბავი ტაქტიკური ცვლილებებით ახსნა. ამ დროს კი ყველამ იცის, რომ მენეჯერი რუნის ქცევით უკმაყოფილოა. ყრმა ვარსკვლავს დასვენების დღე მისცეს, ის კი თავის საცოლესთან ერთად მადრიდს გაქანდა კოკა-კოლას რაღაც ღონისძიებაზე, ვინაიდან, კოკა-კოლა მისი ახალი სპონსორი გახლავთ.

„ეს დღე ფეხბურთელებს დასასვენებლად ეძლევათ და არა საქეიფოდ“ — თქვა მოიესმა, „ევერტონი“ კი ცხრილის ბოლო სამეულში ჩაქანდა.

„ლესტერმა“ პორტსმუთშივე დასცა იქაურები, ბერიკაცმა ლეს ფერდინანდმა კი, რომელიც შირერისა არ იყოს, კვლავაც რჩება გოლის ოსტატად, ბრწყინვალედ შეასრულა ჯარიმა. სიტი შინ წააგო „მიდლსბროს“, ხოლო, როგორც იქნა, მოიგო „ლიდსმა“, პირველად ედი გრეის ხელში, თანაც სტუმრად და თანაც არცთუ უბრალო გუნდთან, „ჩარლტონთან“.

**ირაკლი ბამყრელიძე**

*ლონდონიდან*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 14 | 11 | 2 | 1 | 28:9 | 19 | 35 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:5 | 11 | 19 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 16 |
| 2 არსენალი | 14 | 10 | 4 | 0 | 28:10 | 18 | 34 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:6 | 6 | 17 | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 12 | 17 |
| 3 მანჩესტერი | 14 | 10 | 1 | 3 | 25:9 | 16 | 31 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 10 | 16 | 7 | 5 | 0 | 2 | 11:5 | 6 | 15 |
| 4 ფულემი | 14 | 6 | 4 | 4 | 24:18 | 6 | 22 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 11 |
| 5 ჩარლტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:17 | 3 | 22 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 6 | 14 |
| 6 ლივერპული | 14 | 6 | 3 | 5 | 21:15 | 6 | 21 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 10 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 11 |
| 7 ნიუკასლი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:19 | 1 | 20 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:4 | 5 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:15 | -4 | 9 |
| 8 ბირმინგემი | 14 | 5 | 5 | 4 | 12:14 | -2 | 20 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 11 |
| 9 სიტი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:19 | 3 | 18 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 8 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 10 |
| 10 მიდლსბრო | 14 | 5 | 3 | 6 | 12:15 | -3 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 11 |
| 11 ბოლტონი | 14 | 4 | 6 | 4 | 13:19 | -6 | 18 | 7 | 2 | 4 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:15 | -9 | 8 |
| 12 საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 10:9 | 1 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:4 | 1 | 10 | 7 | 1 | 4 | 2 | 5:5 | 0 | 7 |
| 13 ლესტერი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:22 | 0 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 9 | 7 | 2 | 0 | 5 | 11:13 | -2 | 6 |
| 14 პორტსმუთი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:20 | -3 | 15 | 7 | 4 | 0 | 3 | 15:8 | 7 | 12 | 7 | 0 | 3 | 4 | 2:12 | -10 | 3 |
| 15 ტოტენჰემი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:18 | -5 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 5 |
| 16 ბლექბერნი | 14 | 4 | 2 | 8 | 19:24 | -5 | 14 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:11 | 0 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:13 | -5 | 5 |
| 17 ასტონ ვილა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:17 | -6 | 14 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 12 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:12 | -8 | 2 |
| 18 ევერტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:19 | -4 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:7 | 4 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:12 | -8 | 2 |
| 19 ვულვზი | 14 | 2 | 5 | 7 | 9:27 | -18 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:14 | -7 | 9 | 7 | 0 | 2 | 5 | 2:13 | -11 | 2 |
| 20 ლიდსი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:33 | -21 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:21 | -14 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 12 |
| ანრი (არსენალი) | 10 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 9 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| საჰა (ფულემი) | 8 |

### XV ტური

6 დეკემბერი

ბირმინგემი — ბლექბერნი
ევერტონი — სიტი
ფულემი — ბოლტონი
ლიდსი — ჩელსი
ლესტერი — არსენალი
მანჩესტერი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — პორტსმუთი
ნიუკასლი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ჩარლტონი
ტოტენჰემი — ვულვზი

## პირველი დივიზიონი

### XXI ტური

**ბრედფორდი 3:2 მილუოლი**

0:1 ჩეპილი (19), 0:2 ჩედვიკი (24), 1:2 კადამარტერი (52), 2:2 გრეი (69), 3:2 ბრენჩი (90)

**კარდიფი 2:3 იფსვიჩი**

0:1 მილერი (29პ), 0:2 სანტოსი (33), 1:2 ერნშოუ (58), 1:3 ბარტ-უილიამსი (82), 2:3 ტორნი (86)

**კრისტალ პალასი 1:1 ქოვენთრი**

1:0 ედვარდსი (9), 1:1 ჯეკსონი (90)

**დერბი ქაუნთი 3:1 უიმბლდონი**

1:0 ჰერზიგი (13), 1:1 რეო-კოკერი (20), 2:1 ტუდგეი (52), 3:1 ჰოლმსი (53)

**ჯილინგემი 3:1 სტოკი**

1:0 შოუ (26), 2:0 ჰოპი (45), 2:1 იუსტიჩი (77), 3:1 სიდიბე (83)

**ნორვიჩი 1:0 ქრიუ**

1:0 ჰაკერბი (39)

**ნოტინგემი 0:3 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 კუმასი (38), 0:2 ლუი-ჟანი (44ს.კ.), 0:3 კუმასი (90)

**რედინგი 2:1 უოტფორდი**

1:0 კოქსი (59), 1:1 კუკი (60), 2:1 სიდუელი (88)

**როტერჰემი 2:0 უოლსოლი**

1:0 სველზი (67), 2:0 ბატლერი (80)

**შეფილდ იუნ. 2:0 პრესტონი**

1:0 ბრაუნი (31), 2:0 მაკკოლი (75)

**სანდერლენდი 1:1 ბარნლი**

1:0 კაილი (39), 1:1 მური (72)

**ვესტ ჰემი 4:0 უიგანი**

1:0 ჰორლოკი (4), 2:0 ჯარეტი (17), 3:0, 4:0 ჰერვუდი (55, 75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 12 | 4 | 4 | 31:17 | 40 |
| ნორვიჩი | 21 | 11 | 6 | 4 | 30:20 | 39 |
| შეფილდი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:21 | 37 |
| იფსვიჩი | 20 | 10 | 4 | 6 | 40:30 | 34 |
| უიგანი | 20 | 9 | 7 | 4 | 28:20 | 34 |
| რედინგი | 21 | 10 | 4 | 7 | 27:23 | 34 |
| ვესტ ჰემი | 20 | 8 | 9 | 3 | 27:16 | 33 |
| სანდერლენდი | 20 | 9 | 6 | 5 | 23:16 | 33 |
| კარდიფი | 20 | 8 | 7 | 5 | 34:21 | 31 |
| პრესტონი | 20 | 8 | 4 | 8 | 26:23 | 28 |
| მილუოლი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:23 | 28 |
| ქრიუ | 20 | 8 | 3 | 9 | 21:24 | 27 |
| ნოტინგემი | 20 | 7 | 5 | 8 | 32:29 | 26 |
| ჯილინგემი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:34 | 26 |
| ქოვენთრი | 20 | 5 | 10 | 5 | 26:26 | 25 |
| ბარნლი | 21 | 6 | 7 | 8 | 29:34 | 25 |
| უოლსოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 23:23 | 24 |
| უოტფორდი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:26 | 24 |
| კრ. პალასი | 20 | 5 | 7 | 8 | 23:31 | 22 |
| დერბი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:34 | 22 |
| სტოკი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:29 | 20 |
| როტერჰემი | 20 | 4 | 8 | 8 | 16:28 | 20 |
| ბრედფორდი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:31 | 17 |
| უიმბლდონი | 21 | 4 | 2 | 15 | 22:47 | 14 |

## მეორე დივიზიონი

### XX ტური

ბარნსლი — სტოკპორტი 3:3; ბლეკპული — ბრისტოლი 1:0; ბორნმუთი — ბრენტფორდი 1:0; ბრაიტონი — რექსემი 2:0; კოლჩესტერი — პლიმუთი 0:2; გრიმსბი — ტრანმერი 0:1; ჰარტლპული — სუინდონი 2:0; ლუტონი — ჩესტერფილდი 1:0; ოლდემი — ნოტსი 0:1; პორტ ვეილი — რაშდენი 1:1; ქუინზ პარკი — შეფილდ უენსდი 3:0; უიკომბი — პიტერბრო 1:2

## მესამე დივიზიონი

### XX ტური

ბოსტონი — კიდერმინსტერი 2:2; როვერსი — ჰალი 2:1; კემბრიჯი — ლეიტონი 1:4; კარლაილი — დონკასტერი 0:1; დარლინგტონი — სკანთორპი 2:2; ჰადერსფილდი — ჩელტენემი 0:0; მაკლსფილდი — ბერი 1:0; ნორთჰემპტონი — მენსფილდი 0:3; როჩდეილი — ოქსფორდი 1:2; ტორკი — საუთენდი 3:0; იოვილი — ლინკოლნი 3:1; იორკი — სუონსი 0:0

## კონფერენს ლიგა. XXI ტური

აკრინგტონი — ბარნეტი 2:0; ალდერშოტი — მორეკემბი 2:2; ჩესტერი — მარგეიტი 3:0; ფორესტ გრინი — ლეიფი 2:2; გრეივსენდი — სკარბორო 1:1; ჰერეფორდი — ფარნბორო 2:0; ნორსვიჩი — ჰალიფაქსი 0:1; სტივენეიჯი — ექსეტერი 2:2; ტემუორთი — შრიუსბერი 1:1; ტელფორდი — დაგენემი 1:0; უოქინგი — ბარტონი 1:0

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XIV ტური

### ჰერტა 1:3 შალკე

1:0 ლაპაჩინსკი (37), 1:1 უდე კამპუისი (59), 1:2 ვალდოხი (68), 1:3 ასამოა (81)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, მადლუნგი, ვან ბურიკი, რემერი, დარდაი, ლაპაჩინსკი, მლადენოვი (ნოინდორფი 64), გოორი (ვიშნიარეკი 78), ბობიჩი (რაფაელი 73), ლუიზაო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
შალკე: ფ. როსტი, კლასენერი, ვალდოხი (ჰაიტო 72), ვან კერკჰოვენი, კობიაშვილი, უდე კამპუისი, ვერმანტი, ჰამიტ ალტინტოპი (პინტო 90), ზაიცი, ასამოა, გლიდერი (სანდი 80)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: რემერი, ნოინდორფი, უდე კამპუისი, ზაიცი
მსაჯი: ვაინერი
37 325 მაყურებელი

### ჰანოვერი 3:0 ფრაიბურგი

1:0 ბრდარიჩი (43), 2:0 შტენდელი (66), 3:0 კრისტიანსენი (85)
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი (ზურავი 90), კლებერი, დაბროვსკი, დე გუზმანი, შტენდელი, სტაინერი (შტეფული 87), კრისტიანსენი (შულერი 90), ბრდარიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ფრაიბურგი: გოლცი, კრუპკე, კონდე, შ. მიულერი, ბერნერი, რაიტერი, ა. ცაიერი (ს. კულიბალი 46), ბაირამოვიჩი, ცქიტიშვილი, ტანკო, სანუ (კაირო 69)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ციგლერი, ბაირამოვიჩი, კრუპკე
მსაჯი: კინჰოფერი
20 307 მაყურებელი

### ბოხუმი 0:0 შტუტგარტი

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კალა, ოლისე, ფარენჰორსტი, კოლდინგი, ცდებელი, ბიონიგი, ვოში (დიაბანგი 77), მადსენი, ფრაიერი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, სოლდო, ვენცელი, ლამი (გერბერი 80), ვრანიეში, ტიფერტი, მაისნერი (ბრანკო 88), ჰელდტი (ამანატიდისი 68), კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ლამი, მაისნერი
მსაჯი: შტაინბორნი
30 088 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:1 ვერდერი

0:1 ერნსტი (27), 1:1 რანი (50)
ჰამბურგი: ვიახტერი, რაინჰარდტი, ჰოოგმა, უიფალუში, მალტრიცი, ბენჯამინი (იაკობსენი 67), ვიკი (რანი 46), ბაინლიხი, მაჰდავიკია, ბარბარესი, ტაკაჰარა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ვერდერი: რაინკე, უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ლისტეში, ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი, კლასნიჩი (ხარისტიასი 72)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: მალტრიცი, ლისტეში, სტალტერი
მსაჯი: ფანდელი
55 500 მაყურებელი

### ლევერკუზენი 2:2 მიუნხენი

0:1 შვარცი (36), 0:2 შროტი (56), 1:2 პონტე (60), 2:2 ლუსიო (78)
ლევერკუზენი: ბ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, ბალიტჩი, რამელო (ბაბიჩი 55), ბ. შნაიდერი, ბიროფკა (ფრიცი 79), პონტე, ნოივილი (ბერბატოვი 60), ფრანცა
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

# მაქსის მაქსიმუმები და აინტრახტის ტრახ-ტრახი



ჰანზა — დორტმუნდი. ვინ თქვა მარტინ მაქსის (მარცხნივ) სიბერე, როსტოკელთა გამარჯვება სწორედ მან გამოჭედა

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ჩერნი, ტ. ჰოფმანი (კურცი 77), როდრიგო კოშტა, ტისი, შტრანცლი, რ. მაიერი (ბორიმიროვი 80), შვარცი, ვაისენბერგერი, ლაუტი, შროტი (კიოიო 88)
მწვრთნელი: ფალკო გოტცი
გაფრთხილება: ბაბიჩი, ტისი, როდრიგო კოშტა, ჩერნი, მ. ჰოფმანი
გაძევება: ლაუტი (69)
მსაჯი: ფროილიხი
22 500 მაყურებელი

### ბაიერნი 2:2 კიოლნი

0:1 ვორონინი (35), 1:1, 2:1 პიზარო (42, 49), 2:2 შპრინგერი (60)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი, დემიკელისი, ლიზარაზუ (რაუ 73), ჰარგრივსი, შვაინსტაიგერი (ფიულნერი 77), ბალაკი, ზე რობერტო, კ. პიზარო, სანტა კრუზი (მაკაი 46)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კიოლნი: ვესელსი, კულმანი, ჩიკონი, დოგანი, ო. შრიოდერი, შპრინგერი, ვოიგტი, კრინგე (ფედერიკო 72), სინკალა, ვორონინი (ებერსი 89), პოდოლსკი (შერცი 88)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: შპრინგერი, ჩიკონი
მსაჯი: კემლინგი
48 000 მაყურებელი

### ჰანზა 2:1 დორტმუნდი

1:0 მაქსი (54), 1:1 ევერტონი (66), 2:1 მაქსი (87)
ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, მაული (მელკამი 86), რიდლევიჩი, ლანცი, შულცი, მაქსი (არვიდსონი 90), დი სალვო (პრიკა 72)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მ. მეცელდერი (ევერტონი 62), შ. როიტერი, ვიორნსი, ნ. იენსენი, დემელი, სენესიე, რიკენი, როსიცკი, კოლერი, გამბინო
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: მაქსი, რიდლევიჩი, ლანცი, შობერი, რიკენი, როსიცკი
მსაჯი: ზიპელი
24 300 მაყურებელი

### აინტრახტი 3:2 ვოლფსბურგი

0:1 კარპანი (13), 0:2 კლიმოვიჩი (27), 1:2 პრეისი (33), 2:2 შკელა (56პ), 3:2 ბაიერლე (73)
აინტრახტი: ნიკოლოვი, პრეისი, ბინდევალდი, კრისი (გიუნტერი 62), ვიდენერი, შური, მიოლერი (ლექსა 23), შკელა, კრიოცი, ჩა (ჰულიზი 80), ბაიერლე
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, ფრანცი, ბილიშკოვი (პრგოვიჩი 80), შარპეი, შნოორი, ტიამი (ბაიანო 78), კარპანი, მენსეგეში, ტოპიჩი (მ. პეტროვი 58), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ლექსა, კრიოცი, ფრანცი, ტიამი, კლიმოვიჩი, შარპეი, პეტროვი
მსაჯი: კესლერი
15 000 მაყურებელი



REUTERS

„ლევერკუზენს“ ქულა ლუსიომ გადაურჩინა

### მიონხენგლადბახი 2:1 ლაუტერნი

0:1 ლინკოლნი (23), 1:1 კარნელი (46), 2:1 ვან ლენტი (69)
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, კარნელი, ოჯიგვე (გაედე 22), კლუგე (სვერკოში 77), კოლკა, დემო (ულიხი 65), ვან ჰუტი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, რიდლი (თ. როიტერი 57), კნავსი, ლემბი, ჩატო, გ. ხრისტოვი, ნურმელა (ანფანგი 66), კოსოვსკი (დომინგეში 82), ლინკოლნი, ჰალილ ალტინტოპი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: კორზინეცი, რიდლი, ანფანგი, ალტინტოპი
მსაჯი: გაგელმანი
30 850 მაყურებელი

თუ რომელი იყო ტურის მთავარი მატჩი, ამაზე ფიქრით თავს ნუ ავიტკივებთ — ამ ტურს მთავარი კაცი ჰყავდა — 35 წლის მარტინ მაქსი, ვინც დორტმუნდულ „ბორუსიას“ ორი გოლი გაუტანა და მისმა „ჰანზამაც“ სახელიან მეტოქესთან გაიმარჯვა.

მაქსი ის კაცია, საუკეთესო წლები „მიუნხენ 1860“-ს რომ შეალია და ერთხელ ბუნდესლიგის ბომბარდირიც კი გახდა. ეროვნულ გუნდში მარტინი ერთი-ორჯერ მიიწვიეს ერიკ რიბეკის ხანაში, თუმც ეს გოლდამშენი ტიპიურად კლუბში მოთამაშე ფეხბურთელია და ერთხელაც შეახსენა თავი ბუნდესსამყაროს. მათიას ზამერის „დორტმუნდი“ უეფას თასზე ფრანგულ „სოშოსთან“ 0:4 შერცხვა და ახლა ალბათ, კვლავ იმით თუ გაიმართლებს თავს, რომ ძალიან ბევრი ტრავმიანი ფეხბურთელი ჰყავს.

როგორც იქნა, წარმატებულად იხუმრა „შალკემ“, რითაც დედაქალაქური „ჰერტა“ ბოლოდან მეორე ადგილზე ჩააპირქვავა — ლევან კობიაშვილის გუნდმა მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ამ ბუნდესლიგაში, რასაც „ჰერტასთან“ მეორე ტაიმში ფხიანი თამაშით მიაღწია.

ბუნდესლიგაში პირველად შეებნენ ერთმანეთს „ჰანოვერი“ და „ფრაიბურგი“ — მასპინძლებმა სტუმრები ნაცარტუტად აქციეს — ამას ლალადებს ანგარიში, თუმც გოლის გატანა „ფრაიბურგსაც“ შეეძლო.

მოულოდნელი არ ყოფილა „ბაიერნ“ — „კიოლნის“ ფრე. მიუხედავად ბოლოადგილოსნობისა, კიოლნელები არცთუ ურიგოდ ბურთაობენ, „ბაიერნი“ კი ისეა დამძიმებული, რომ ლიდერობის ღირსი დღესდღეობით ნამდვილად არ არის და დამსახურებულად უჭირავს მეოთხე ადგილი. თუმც თუ საგოლე მომენტებს დავთვლით, „ბაიერნს“ უნდა მოეგო.

შმაგად ესტუმრა ლევერკუზენს ფაფარაშლილი „მიუნხენ 1860“, მაგრამ მიუნხენელთა 22 წლის ფორვარდ ბენჯამენ ლაუტს ნერვებმა უმტყუნა — ლუსიოსთან უხეშობისთვის მსაჯს თავი [?] გააგდებინა, როცა „1860“ 2:1-ს ფლობდა. გაძევებიდან ცხრა წუთში კი ლუსიომ გამთანაბრებელი შეაგდო — მოკლედ, „ლევერკუზენი“ მარცხისგან ამ ბრაზილიელმა მცველმა იხსნა.

შეიძლება ითქვას, რომ „ბოხუმმა“ თამაშით დაჯაბნა „შტუტგარტი“, თუმც ფელიქს მაგათის გუნდს ყურებზე ხახვი მაინც ვერ დააჭრა — 14 წაუგებელი მატჩი და ლიდერობა — ასეთია „შტუტგარტის“ მონაგარი.

თუ ჯობნაზე მიდგა საქმე, „ვერდერი“ წარმატებით გამოვიდა ჰამბურგში, თუმც ოდენ ქულას დასჯერდა და „შტუტგარტს“ ვერ გადაასწრო.

ბრძოლის ჟინი და გერმანული ხასიათი წარმოაჩინა ფრანკფურტის „აინტრახტმა“ — ეს ფრანკფურტელების საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში — მათი „ვოლფსბურგთან“ თამაში ნამდვილ წარმოდგენას ჰგავდა. მასპინძელმა სტუმარს ორი გოლი ამოუქაჩა, ხოლო გამარჯვების მარკუს ბაიერლემ თავით გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შტუტგარტი | 14 | 10 | 4 | 0 | 22:3 | 19 | 34 | 7 | 5 | 2 | 0 | 11:2 | 9 | 17 | 7 | 5 | 2 | 0 | 11:1 | 10 | 17 |
| 2 ვერდერი | 14 | 10 | 2 | 2 | 38:18 | 20 | 32 | 7 | 5 | 1 | 1 | 19:11 | 8 | 16 | 7 | 5 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 16 |
| 3 ლევერკუზენი | 14 | 9 | 4 | 1 | 30:12 | 18 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 18:4 | 14 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:8 | 4 | 12 |
| 4 ბაიერნი | 14 | 8 | 4 | 2 | 32:18 | 14 | 28 | 7 | 5 | 2 | 0 | 22:9 | 13 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 11 |
| 5 დორტმუნდი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:21 | 5 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 21:8 | 13 | 19 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | -8 | 4 |
| 6 ბოხუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 25:16 | 9 | 22 | 7 | 4 | 3 | 0 | 15:3 | 12 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | -3 | 7 |
| 7 ვოლფსბურგი | 14 | 6 | 0 | 8 | 28:29 | -1 | 18 | 7 | 5 | 0 | 2 | 18:10 | 8 | 15 | 7 | 1 | 0 | 6 | 10:19 | -9 | 3 |
| 8 მიუნხენი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 8:7 | 1 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 |
| 9 ჰანოვერი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:31 | -6 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 14:14 | 0 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:17 | -6 | 9 |
| 10 ფრაიბურგი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:25 | -6 | 18 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:10 | 5 | 16 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | -11 | 2 |
| 11 შალკე | 14 | 4 | 5 | 5 | 18:21 | -3 | 17 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:14 | -3 | 8 |
| 12 ჰამბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:26 | -10 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:11 | -1 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:15 | -9 | 5 |
| 13 ჰანზა | 14 | 4 | 3 | 7 | 19:22 | -3 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:8 | 2 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 6 |
| 14 ლაუტერნი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:24 | -6 | 14 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 5 | 11 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:18 | -11 | 6 |
| 15 გლადბახი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | -7 | 13 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 4 |
| 16 აინტრახტი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:22 | -10 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | -7 | 4 |
| 17 ჰერტა | 14 | 2 | 5 | 7 | 13:28 | -15 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | -8 | 5 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:13 | -7 | 6 |
| 18 კიოლნი | 14 | 2 | 2 | 10 | 11:25 | -14 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 6 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 13 |
| მაქსი (ჰანზა) | 10 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 9 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 9 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 8 |
| მაკაი (ბაიერნი) | 7 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 7 |
| პიზარო (ბაიერნი) | 7 |

### XV ტური

6 დეკემბერი

ვოლფსბურგი — ლაუტერნი
აინტრახტი — ჰანოვერი
ფრაიბურგი — ბოხუმი
შტუტგარტი — ჰამბურგი
ვერდერი — ბაიერნი
კიოლნი — ლევერკუზენი
მიუნხენი — ჰანზა
დორტმუნდი — ჰერტა
შალკე — გლადბახი

## მეორე ბუნდესლიგა

### XIV ტური

### აუე 1:1 ფიურტი

0:1 დაინბერი (21), 1:1 შუბითიძე (38)
აუე: ჰანელი, კრასელტი, ემერიხი, ნოვესკი, ფ. ბერგერი, კურტი (ჩიპევი 69), მ. ჰაიდრიხი, იენდროშეკი, კური, შუბითიძე (მ. კუნცე 78), ტომმიოლერი (ბრუმი 78)
8 600 მაყურებელი

### კოტბუსი 1:1 დუისბურგი

1:0 ლატუნდი (52), 1:1 შმიტი (63)

### კარლსრუე 0:3 რეგენსბურგი

0:1, 0:2 ჰუტველკერი (5, 50), 0:3 შტრაუბე (78)

### ოსნაბრიუკი 3:1 ალემანია

1:0 ვაკუ-მენგა (30), 2:0 შიდი (47), 3:0 ვაკუ-მენგა (58), 3:1 ბლანკი (85)

### ალენი 2:0 ტრირი

1:0 სოპიჩი (68), 2:0 ბ. ნდიაიე (78)

### ბურგჰაუზენი 0:2 უნტერჰახინგი

0:1 ელტონი (9), 0:2 ოკპალა (15)

### მაინცი 3:1 ლიუბეკი

1:0 ტიურკი (17), 1:1 ზანდი (40), 2:1 ა. და სილვა (65პ), 3:1 ტიურკი (83)

### ობერჰაუზენი 0:0 უნიონი

### ნიურნბერგი — არმინია

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 14 | 8 | 2 | 4 | 27:24 | 26 |
| მაინცი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:17 | 25 |
| კოტბუსი | 14 | 7 | 3 | 4 | 25:21 | 24 |
| ობერჰაუზენი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:17 | 23 |
| უნტერჰახინგი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:21 | 22 |
| ფიურტი | 14 | 5 | 5 | 4 | 26:21 | 20 |
| არმინია | 13 | 6 | 2 | 5 | 18:16 | 20 |
| დუისბურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:18 | 20 |
| კარლსრუე | 14 | 6 | 2 | 6 | 16:20 | 20 |
| ნიურნბერგი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:18 | 19 |
| რეგენსბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ლიუბეკი | 14 | 4 | 5 | 5 | 25:24 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:19 | 16 |
| უნიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:16 | 16 |
| ოსნაბრიუკი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:21 | 16 |
| აუე | 14 | 3 | 5 | 6 | 14:17 | 14 |
| ალენი | 14 | 4 | 1 | 9 | 16:27 | 13 |
| ტრირი | 14 | 3 | 3 | 8 | 16:29 | 12 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: დინამო — ბრაუნშვაიგი 1:0; ზანქტ პაული — ვატენშაიდი 2:2; კილი — ვერდერი (მ) 1:3; ესენი — კიოლნი (მ) 0:0; ქემნიცი — ლაიპციგი 1:1; ვუპერტალი — იურდინგენი 3:1; პადერბორნი — დორტმუნდი (მ) 1:3; ჰამბურგი (მ) — ნოიმიუნსტერი 2:2. *შალკე (მ) — მიუნსტერი გადაიდო*

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: ერფურტი — ბაიერნი (მ) 0:3; მაინცი (მ) — კიკერსი 1:1; შვაინფურტი — აალენი 2:2; ეშბორნი — ჰოფენჰაიმი 2:1; ვეჰენი — ზიგენი 2:1; ზაარბრიუკენი — ფოიხტი 1:1; აუგსბურგი — ელვერსბერგი 2:1; შტუტგარტი (მ) — კაიზერსლაუტერნი (მ) 0:1. *პფულენდორფი — ოფენბახი დღეს გაიმართება*

# ვინ ოხერი იყო?! როხერი!

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XIII ტური

### ოსასუნა 1:1 რეალი

1:0 ბაკაიოკო (11), 1:1 რონალდო (74)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, კრუჩაგა, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, ვალდო (ვებო 81), პუნიალი, პაბლო გარსია, მოა (პინეირო 69), ალოიზი (რივერო 69), ბაკაიოკო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ი. ელგერა, რაულ ბრავო, ბექემი (ბორხა 86), კამბიასო (ნუნიესი 63), გუტი, სოლარი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: კრუჩაგა, პაბლო გარსია, ბაკაიოკო, პავონი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 984 მაყურებელი

### ვალენსია 3:2 სარაგოსა

1:0 ხორხე ლოპესი (19), 2:0 ვისენტე (26), 3:0 აიმარი (44), 3:1 ვილა (48), 3:2 ჩანი (78)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ალბელდა, ბარახა (სისოკო 85), ხორხე ლოპესი, აიმარი, ვისენტე (რუფეტე 74), მისტა (ხისკო 70)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, ხესუსი (გენერელო 71), სორიანო, გალეტი, ვილა, სავიო (ჩანი 76), ესპადასი (ინიაკი 65)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფლორესი
გაფრთხილება: პელეგრინო, ბარახა, ტოლედო, მილიტო
მსაჯი: რუბინოს პერესი
45 000 მაყურებელი

### დეპორტივო 0:1 ვილიარეალი

0:1 როხერი (89)
დეპორტივო: მოლინა, ექტორი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, სერხიო (დუშერი 62), მაურო სილვა, ვიქტორი, ვალერონი, მუნიტისი (ფრანი 76), ლუკე (ტრისტანი 83)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვილიარეალი: რეინა, ხავი ვენტა, ბალესტეროსი, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ხოსიკო (არზო 71), მარტი, კოლოჩინი, ბელეტი (ს. ანდერსონი 82), როხერი (სანტი 90), ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: მაურო სილვა, როხერი, მაურო სილვა, ბალესტეროსი, ხოსიკო, ხავი ვენტა, სერხიო, ლუკე, ჟორჟე ანდრადე, ვიქტორი
გაძევება: მაურო სილვა (42)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
18 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:0 მალაგა

1:0 დე ლოს სანტოსი (6), 2:0 ნიკოლაიდისი (70)
ატლეტიკო: ბურგოსი, გასპარი, ლეკი, სიმეონე, სერხი, ალვარო, ნოვო, დე ლოს სანტოსი (სანტი 82), იბაგასა, მუსამპა (ნანო 46), ტორესი (ხორხე 76), ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მალაგა: კატალაიუდი, ხოსემი (ხერარდო 75), ლიტოსი, ფ. სანსი, ვალკარსე, მიგელ ანხელი (პოჩო 57), რომერო, მანუ (ლეკო 57), ედგარი, დუდუა, სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, გასპარი, რომერო, პოჩო
მსაჯი: ტრისტანტე ოლივა
40 000 მაყურებელი

### ბარსელონა 0:0 ვალიადოლიდი

ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, კოკუ, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მოტა (ლუის ენრიკე 68), კვარესმა, ლუის გარსია (ოვერმარსი 76), კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, ჯონათანი, ჟულიო სეზარი, მარკოსი, ფერნანდო სალესი, ხესუსი, საპატა, სოუზა (რიკეტი 78), ოსკარი (კამინერო 46), მაკუკულა (პაჩონი 90)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ჟულიო სეზარი, ხესუსი, მაკუკულა, ვალდესი, სოუზა, კოკუ, რაიციგერი, ლუის ენრიკე
მსაჯი: უნდიანო მალენკო
55 958 მაყურებელი

### ბილბაო 1:2 რასინგი

1:0 ხონანი (7), 1:1 ბოდიპო (42), 1:2 რეგუერო (66)
ბილბაო: არანსუბია, ლაკრუსი, პრიეტო, ა. კარანკა, ლარასაბალი, ორბაისი (ხავი გონსალესი 71), ტიკო, ირაოლა (არიაგა 52), ხონანი (იულენ გერერო 52), ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
რასინგი: რიკარდო, კორომინა, პაბლო კასარი, ხუანმა, აიოზე, დ. მატეო, ნაფტი, მორანი (აფეკი 89), ბენაიუნი, რეგუერო (ხავი გერერო 86), ბოდიპო (მატაბუენა 90)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ორბაისი, არანსუბია, პრიეტო, კარანკა, მატეო, რეგუერო, მორანი, კორომინა, ბოდიპო
მსაჯი: კარმონა მენდესი
30 000 მაყურებელი

### სევილია 0:1 სელტა

0:1 ხესული (34)
სევილია: ესტებანი, ნიეგუსი (გალიარდო 46), პაბლო ალფარო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, რედონდო (ორნოსი 67), კასკერო (ბაპტისტა 46), მარტი, რეიესი, დარიო სილვა, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სელტა: კავალიერო, ანხელი, კასერესი, ბერიზო, სილვინიო, ლუქსენი, ხოსე იგნასიო (მილოშევიჩი 74), გუსტავო ლოპესი (სერხიო 59), ხესული, ხუანფრანი, კატანია (ჯოვანელა 64)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: სილვინიო, ბერიზო, ბერიზო, ჯოვანელა, კავალიერო, ნიეგუსი, გალიარდო, მიგელ ანხელ ლოტინა („სელტას" მწვრთნელი)
გაძევება: ბერიზო (57), ორნოსი (90)
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
35 000 მაყურებელი

### მალიორკა 2:1 ბეტისი

1:0 კამპანო (25), 1:1 ნინიო (37ს.კ.), 2:1 კამპანო (83)
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესია, ლუსენჰოფი, ფ. ნინიო, პოლი, კამპანო, ნაგორე (რაულ მარტინი 78), კოლსა, ნენე (ბრუგინკი 61), ეტოო (ი. სტანკოვიჩი 85), კორეა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ხუანიტო, ლემბო (კანიასი 87), რივასი, ლუის ფერნანდესი, ხოაკინი, იტო, არზუ, ისმაელი (ანტონიტო 75), ფერნანდო, პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: რივასი, ლუის ფერნანდესი, ფერნანდო, ნინიო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
14 000 მაყურებელი

### მურსია 2:2 სოსიედადი

0:1 გაბილონდო (29), 1:1 ლუის გარსია (47), 1:2 დე პაულა (48), 2:2 კარანკა (68)
მურსია: ხუანმი, ხუანმა, ლოეშბორი, როტეტა (ხულიო ალვარესი 67), კლავერო, აკიარი, მიჩელი, ლუის გარსია, ფრედი (დ. კარანკა 67), რიჩი, ესნაიდერი (იენსენი 82)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ალკისა, კარპინი, გაბილონდო (ბარკერო 72), დე პაულა (არანბურუ 88), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ლოეშბორი, როტეტა, აკიარი, იენსენი, ხაურეგი, კვარმე
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
9 000 მაყურებელი

### ალბასეტე 2:1 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (14), 1:1, 2:1 არანდა (44პ, 67)
ალბასეტე: როა, ოსკარი, პაბლო, უნაი, პენია, ივან დიასი, ვიაუდი (დავიდ სანჩესი 53), პარი, დელპორტი, პაჩეკო (მიკელი 69), არანდა (ბასტი 75)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, ტორიჩელი, დომორო, სოლდევილა, დავიდ გარსია, ველამასანი (მორალესი 46), ფ. კამარა, იორდი, მაქსი, ტამუდო (დე ლა პენია 55), ექტორი (ბერტრანი 46)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ველამასანი, სოლდევილა, ტორიჩელი, კამარა, ტორიჩელი, ლუის ფერნანდესი („ესპანიოლის" მწვრთნელი)
გაძევება: სოლდევილა (43), ტორიჩელი (72)
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
15 000 მაყურებელი

ტურიც ამას ჰქვია — საუკეთესო ექვსეულის გუნდთაგან ხუთმა ვერ მოიგო. თამაშის მოგება მხოლოდ „ვალენსიამ" შეძლო და ლიდერობაც ჩაიგდო ხელში, „ბილბაო" კი, რომელიც აქამდე მეოთხე ადგილზე იყო, სულაც მერვე ადგილზე დაქვეითდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვალიადოლიდი" წინა ხუთ მატჩში არ დამარცხებულიყო, „ბარსელონას" ალბათ მაინც მართებდა შინ სამი ქულის მოპოვება. მცდელობაც არ დაუკლია და საკმაო უპირატესობასაც ფლობდე. ვალიადოლიდელთა მეკარე ალბანო ბიზარიმ რამდენიმე ურთულესი ბურთიც მოიგერია. „ბარსას" აკლდა ტრავმირებული გამთამაშებელი რონალდინიო და ვინძლო სწორედ ეს იყო კატალონიელთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი — რონალდინიოს გარეშე „ბარსა" მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობს.

„ბარსამ" ორი ქულა კვირას დაკარგა, წინა დღეს კი იგივე „რეალს" დაემართა. მადრიდელებს პამპლონაში ერთი ქულა რონალდომ გადაურჩინა, რომელსაც საგოლე პასი დევიდ ბექემმა გაუკეთა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „რეალი" ამ ერთ ქულასაც არ იმსახურებდა, რაკი „ოსასუნა", რომ იტყვიან, თავზე აჯდა და დედაქალაქელებს ადრეული გოლითაც გაუმასპინძლდა — იბრაჰიმ ბაკაიოკომ ივან ელგერას ბურთი თავზე გადაუგდო და იკერ კასილიასიც იოლად დაიბრიყვა.

შაბათს „რეალის" წაფორხილებით „ვალენსიამ" ისარგებლა და ლიდერობა დაიბრუნა.

შესვენებაზე რომ გავიდნენ, „ვალენსია" უკვე 3:0 იგებდა ხორხე ლოპესის, ვისენტეს და პაბლო აიმარის გოლებით. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მასპინძლებს თავი ქუდში ჰგონებოდათ. ასეთ დროს კი, მოგეხსენებათ, როგორც ხდება-ხოლმე. „სარაგოსამ" ერთ-ერთი ბურთი გაქვითა, მერე მეორე და „მესტალიაზე" შეკრებილი ხალხი დაძაბული საფინალო ათწუთეულის მნახველი შეიქნა. „სარაგოსას" ერთიც რომ გაეტანა, „ვალენსიას" ლიდერობა ჩაილურის წყალს დალევდა. მაგრამ მასპინძლებმა საფრთხე რომ იგრძნეს, პირველი ტაიმის მსგავსად ათამაშდნენ და მეტოქეს სამი ქულა არ დაანებეს.

თუმცა ვალენსიელთა ლიდერობა ერთდღიანი იქნებოდა, კვირას „დეპორტივოს" რომ მოეგო.

წვიმით დამბალ „რიასორზე" თამაში კი ჭირდა, მაგრამ „დეპორი" „ვილიარეალზე" მეტს უტევდა და გოლიც თითქოს, ადრე თუ გვიან, უნდა გაეტანა. ვითარება პირველი ტაიმის მიწურულს მაურო სილვას მეორე გაფრთხილებით გაძევებამ ცოტათი კი შეცვალა, მაგრამ შესვენების მერეც მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ. დრო კი გადიოდა, გალისიელებს ნერვიულობა დაეტყოთ და შეცდომებსაც უხშირეს. შედეგად ბოლოსწინა წუთზე როდოლფო არუაბარენას უზუსტესი პასი როხერმა გოლად აქცია და ლიდერობის მომლოდინე „დეპორტივო" მესამე ადგილზე მოისროლა.

მეოთხე ადგილს გამოემშვიდობა „ბილბაო", რომელიც გარსიას სწრაფი გოლით უგებდა „რასინგს", მაგრამ ორი საპასუხო იგემა და დამარცხდა. ბასკები ალბათ იმან დაღუპა, რომ მეტოქისგან შემტევ თამაშს არ ელოდნენ, არადა, სანტანდერელები ისეთი გაშმაგებით უტევდნენ, თითქოს თავად ყოფილიყვნენ მასპინძლები.

„ბილბაოს" და „ბარსელონას" დაკარგულმა ქულებმა კი საჩემპიონთალიგო ზონაში მადრიდის „ატლეტიკო" შეიყვანა. საზიზღარი




იბრაჰიმ ბაკაიოკო

სტარტის მერე დედაქალაქელებმა ბოლო შვიდი შეხვედრიდან ექვსში იმარჯვეს და ახლა შეიძლება იმედი-ან. უშუალოდ ამ მატჩში კი „მალაგას" გამარჯვების იოტისოდენა შანსიც არ ჰქონია.

**კოტე კეკელია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 13 | 8 | 3 | 2 | 27:11 | 16 | 27 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:7 | 7 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 13 |
| 2 | რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 27:15 | 12 | 27 | 6 | 6 | 0 | 0 | 19:6 | 13 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 |
| 3 | დეპორტივო | 13 | 8 | 2 | 3 | 21:10 | 11 | 26 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 8 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 11 |
| 4 | ატლეტიკო | 13 | 7 | 1 | 5 | 17:16 | 1 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | -5 | 6 |
| 5 | ბარსელონა | 13 | 5 | 5 | 3 | 17:13 | 4 | 20 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 11 |
| 6 | ოსასუნა | 13 | 5 | 5 | 3 | 14:10 | 4 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 6 |
| 7 | რასინგი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:15 | 3 | 20 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | -2 | 6 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 14 |
| 8 | ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 16:14 | 2 | 20 | 7 | 5 | 0 | 2 | 11:4 | 7 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 |
| 9 | ვილიარეალი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:13 | 1 | 20 | 6 | 2 | 4 | 0 | 9:7 | 2 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 10 |
| 10 | ვალიადოლიდი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:20 | -2 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:6 | 5 | 15 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:14 | -7 | 4 |
| 11 | მალაგა | 13 | 5 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 11 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | -5 | 6 |
| 12 | მალიორკა | 13 | 5 | 2 | 6 | 16:22 | -6 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 6 |
| 13 | სევილია | 13 | 3 | 6 | 4 | 16:16 | 0 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 11 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 14 | სარაგოსა | 13 | 4 | 3 | 6 | 13:15 | -2 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:3 | 2 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 |
| 15 | სელტა | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:7 | 4 | 10 |
| 16 | ბეტისი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 0 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 |
| 17 | სოსიედადი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | -4 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |
| 18 | ალბასეტე | 13 | 4 | 0 | 9 | 13:19 | -6 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:7 | 3 | 12 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:12 | -9 | 0 |
| 19 | მურსია | 13 | 1 | 6 | 6 | 12:24 | -12 | 9 | 7 | 1 | 5 | 1 | 9:10 | -1 | 8 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | -11 | 1 |
| 20 | ესპანიოლი | 13 | 2 | 2 | 9 | 10:25 | -15 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 4 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:14 | -8 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 10 |
| მისტა (ვალენსია) | 8 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 7 |
| პანდიანი (დეპორტივო) | 6 |
| მაკუკულა (ვალიადოლიდი) | 6 |
| ეტოო (მალიორკა) | 6 |
| ბოდიპო (რასინგი) | 6 |

### XIV ტური

3 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბეტისი | — | მურსია |
| სელტა | — | ალბასეტე |
| ესპანიოლი | — | ოსასუნა |
| რასინგი | — | სევილია |
| რეალი | — | ატლეტიკო |
| სოსიედადი | — | ვალენსია |
| ვალიადოლიდი | — | დეპორტივო |
| სარაგოსა | — | ბილბაო |
| ვილიარეალი | — | მალიორკა |
| მალაგა | — | ბარსელონა |

## სეგუნდადივიზიონი

### XIV ტური

### ელჩე 3:3 ალმერია

0:1 ლაგო (7), 1:1 ტორტოლერო (41), 1:2 ხორხე ლოპესი (43), 1:3 ფრანსისკო (54), 2:3 კუელიარი (81), 3:3 მოიზესი (89)

### ნუმანსია 2:1 ტენერიფე

0:1 ანტონიო (13ს.კ.), 1:1 კულებრასი (41), 2:1 კარლოს მორენო (77)

### ტერასა 1:2 ხეტაფე

0:1 ალბერტო (15), 0:2 მიჩელ II (50პ), 1:2 გალიეგო (81)

### ლას პალმასი 3:1 კორდობა

0:1 მონტენეგრო (2), 1:1 კარმელო (46), 2:1 ფრუტოსი (73), 3:1 რუბენი (81)

### ლეგანესი 1:3 სპორტინგი

1:0 ბორხა (15), 1:1 პაბლო ალვარესი (69), 1:2 რუბენი (85), 1:3 პაბლო ალვარესი (88)

### სალამანკა 0:0 კადისი

### სიუდად მურსია 1:3 ეიბარი

1:0 გუიზა (24), 1:1, 1:2 ბრიტი (29პ, 76), 1:3 პაკო ლორენტე (83)

### ლევანტე 0:0 უელვა

### პოლი ეხიდო 1:3 ალავესი

0:1 ივან ალონსო (20), 0:2 ტურიელი (62), 0:3 მაგნო (82), 1:3 დ. პრატსი (84)

### რაიო ვალეკანო 2:1 მალაგა B

0:1 კავასი (5ს.კ.), 1:1 ლეო ბიაჯინი (6), 2:1 ბოლო (65)

### ხერესი 2:1 ალხესირასი

0:1 არმენტანო (13), 1:1 ხურადო (39), 2:1 კალე (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 14 | 9 | 2 | 3 | 27:12 | 29 |
| ლევანტე | 14 | 6 | 7 | 1 | 13:4 | 25 |
| ალმერია | 14 | 6 | 7 | 1 | 19:13 | 25 |
| ეიბარი | 14 | 6 | 5 | 3 | 15:10 | 23 |
| კადისი | 14 | 7 | 2 | 5 | 17:13 | 23 |
| ალავესი | 14 | 6 | 5 | 3 | 14:10 | 23 |
| სპორტინგი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:14 | 22 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 9 | 1 | 14:12 | 21 |
| ელჩე | 14 | 5 | 5 | 4 | 19:19 | 20 |
| კორდობა | 14 | 4 | 6 | 4 | 12:11 | 18 |
| ლას პალმასი | 14 | 3 | 8 | 3 | 19:19 | 17 |
| სალამანკა | 14 | 3 | 8 | 3 | 11:11 | 17 |
| ტენერიფე | 14 | 3 | 8 | 3 | 12:13 | 17 |
| რაიო | 14 | 5 | 2 | 7 | 17:21 | 17 |
| უელვა | 14 | 2 | 10 | 2 | 12:13 | 16 |
| ლეგანესი | 14 | 2 | 8 | 4 | 10:14 | 14 |
| ხერესი | 14 | 2 | 8 | 4 | 11:17 | 14 |
| სიუდად მურსია | 14 | 2 | 8 | 4 | 16:25 | 14 |
| მალაგა B | 14 | 2 | 5 | 7 | 16:21 | 11 |
| ეხიდო | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | 11 |
| ტერასა | 14 | 2 | 4 | 8 | 12:20 | 10 |
| ალხესირასი | 14 | 1 | 6 | 7 | 13:18 | 9 |

# ლიპი ვალდებულია, ძაკერონი ამაყი

## იტალია

### სერია A. XI ტური

**მილანი 2:0 მოდენა**

1:0, 2:0 შევჩენკო (22, 68)
მილანი: დიდა, კაფუ (შიმიჩი 40), ნესტა, მალდინი, პანკარო, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი (გატუზო 54), რუი კოშტა (კაკა 77), შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მოდენა: ბალოტა, პივოტო, ჩევოლი, უნგარი, კამპედელი (პონცო 86), მარასკო, მილანეტო (კორენტი 73), ბალესტრი, ვინიაროლი, დ. კამარა, ნ. ამორუზო (ტალდო 71)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: ჩევოლი
მსაჯი: მესინა
55 000 მაყურებელი

**რომა 3:1 ლეჩე**

1:0 მანჩინი (18), 2:0 კარეუ (45), 3:0 ტოტი (76), 3:1 ჩევანტონი (88)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, კივუ, მანჩინი, ემერსონი, დაკური (ტომაზი 80), ფ. ლიმა, ტოტი, კარეუ (დელვეკიო 83), ა. კასანო (დაგოსტინო 90)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლეჩე: ამელია, სივილია, კ. სილვესტრი, სტოვინი, აბრუცეზე (რულო 62), კონანი, ლედესმა, პიანჯერელი (ბუდელი 75), ტონეტო, ჩევანტონი, ბოჟინოვი (ვუჩინიჩი 67)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ლედესმა, ტონეტო, ჩევანტონი
მსაჯი: დონდარინი
51 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:3 ინტერი**

0:1, 0:2 კრუზი (12, 68), 0:3 მარტინსი (74), 1:3 მონტერო (89)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო, ბირინდელი, კამორანეზი (დი ვაიო 46), ტაკინარდი, აპია (ა. კონტე 75), ნედვედი (მიკოლი 72), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, გამარა, ხ. ძანეტი, ალმეიდა, კ. ძანეტი, პასკუალე, ვან დერ მეიდე (ემრე 57), ხ. კრუზი (რეკობა 81), ო. მარტინსი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: კრუზი, ნედვედი, პასკუალე, ადანი, აპია, მონტერო, ტაკინარდი
მსაჯი: ტრეფოლონი
53 883 მაყურებელი

**პარმა 3:1 კიევო**

1:0 მორფეო (51), 2:0 მარკიონი (70), 2:1 პელისიერი (74), 3:1 ჟილარდინო (80პ)
პარმა: ფრეი, ბონერა, მ. ფერარი, მ. კასტელინი, ჟუნიორი, ბარონე, დონადელი, მარკიონი, მორფეო (კარბონე 72), ბრეშიანო (ე. ფილიპინი 67), ჟილარდინო (გრიეკო 89)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კიევო: მარკეჯანი (ფრეცოლინი 71), ფ. მორო, სალა, ბარძალი, ს. ლანა, სანტანა (დ. ფრანჩესკინი 42), პეროტა, ბარონიო, სემიოლი (ფ. კოსატო 77), პელისიერი, ამაური
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ბარძალი, ჟუნიორი, სალა, ლანა, კასტელინი, ბარონიო
მსაჯი: მორგანტი
15 000 მაყურებელი

**სიენა 3:0 ლაციო**

1:0, 2:0 ტადეი (41, 43), 3:0 მენეგაცო (90)
სიენა: ჯ. როსი, ჩირილო, დელი კარი, მინანი, კუფრე, გიგუ, კუჩიარი (მენეგაცო 87), არჯილი, ტადეი, ტფლო (რუბინო 73), ვენტოლა (ლაზეტიჩი 66)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ლაციო: პერუცი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი (ნეგრო 51), ძაური, ფიორე, დაბო (ჯანიკედა 51), ლივერანი (დელგადო 64), დ. სტანკოვიჩი, კორადი, მუცი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ვენტოლა, ლაზეტიჩი, ლივერანი
გაძევება: სტანკოვიჩი (68)
მსაჯი: ბერტინი
13 500 მაყურებელი

**სამპდორია 2:0 ანკონა**

1:0 ბაცანი (66), 2:0 ფლაკი (88)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კონტე, ფალკონე, ბეტარინი, დიანა (დომიცი 88), ვოლპი, პალომბო (იანაგისავა 60), დონატი, მარაცინა (ფლაკი 55), ბაცანი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ანკონა: სკარპი, ბილიკა, ვიალი, მილანეზე, დაინო (პოჯი 77), ბერეტა, კარუზი, რუსო, პარენტე (დი ფრანჩესკო 60), სომეზე, განცი (ლუიზო 55)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: კარუზი, რუსო, კონტე, ლუიზო, ვიალი, დონატი, ბილიკა
მსაჯი: კასარა
23 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:2 უდინეზე**

0:1 იორგენსენი (47), 0:2 ფავა (55), 1:2 კარაჩოლო (65)
ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, დაინელი, პიზანო (შოპი 73), ა. ფილიპინი, მატუზალემი, ბრიგი (ბაკინი 56), მაური, რ. ბაჯო (მანიერო 60), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, პიერინი, იანკულოვსკი, პინცი, პაზიენცა, თ. მანფრედინი, იორგენსენი, ფავა, იაკინტა (კასტრომანი 60; დალ ბელო 90)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პინცი, ბრიგი
მსაჯი: კრუჩანი
14 000 მაყურებელი

**რეჯინა 0:0 ბოლონია**

რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ი. ფრანჩესკინი, ტორიზი, მესტო, ბაიოკო, მოცარტი (ჯაკომო ტედესკო 80), ფალზინი (გ. მარტინესი 80), კოცა (დალ აკუა 85), დი მიკელე, ბონაცოლი
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ნატალი (ტროიზე 73), ჟუარესი, მორეტი, ლ. კოლუჩი, დალა ბონა (კ. ამორუზო 63), ნერვო (გულიელმინპიეტრო 80), პეკია, სინიორი, როსინი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, როსინი, პეკია, დალა ბონა, კოლუჩი, ნერვო, გულიელმინპიეტრო, მარტინესი
მსაჯი: კოლინა
19 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:1 ემპოლი**

0:1 როკი (3), 1:1 ვრიზასი (39)
*ზე მარიამ ვერ გაიტანა პენალტი (33, ძელს)*
პერუჯა: ტარდიოლი, ფ. კოლი, ნასტოსი, ლუმბუტისი, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, გატი (ჟენევიე 77), ფუზანი (ბერეტონი 90), გროსო, მარჯოტა (ბოტროიდი 77), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ემპოლი: ბუჩი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი, გრელა, ფიჩინი, ბუშე, კაპელინი (ფოჯა 59), დი ნატალე (კარპარელი 64), როკი (გასპარეტო 85)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: კუპი, კოლი, როკი, გატი
მსაჯი: პაპარესტა
20 000 მაყურებელი



REUTERS ტურინიდან
იუვენტუსი — ინტერი. ჯანლუიჯი ბუფონის კარი ხულიო კრუზმა ორჯერ დაბომბა

ალბერტო ძაკერონიმ სიამაყით განაცხადა, რომ მისმა „ინტერმა“ „იუვენტუსს“ სრულიად დამსახურებულად მოუგო და მარჩელო ლიპი იძულებული გახლდათ დათანხმებოდა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, უპირველეს ყოვლისა, გუნდის მატჩისადმი მიდგომით და ცხადია, შედეგითაც. ვფიქრობ, „იუვენტუსმა“ გააკეთა მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ საღამოს შეეძლო, მაგრამ დამეთანხმებით, შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ამის მიზეზი ჩვენი თამაში და ტაქტიკა იყო“ — განაცხადა ძაკერონიმ, რომლის გუნდმაც რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ სამარცხვინოდ, 1:5 წააგო. მწვრთნელმა ასე განმარტა:

„ის, რომ ექვსიდან მართლაც საზიზღრად მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატარეთ, ხაზს უსვამს, რომ ცუდად თამაში ჩვენთვის ჩვეული საქმე არ არის. მე ფეხბურთელებს სწორედ ეს განვუმარტე და მათაც გაიგეს. ძალიან მნიშვნელოვან საქმედ „იუვენტუსის“ ფრთებზე ჩაკეტვა მიმაჩნდა, რაც მოხერხდა და თან ობაფემი მარტინსმა მეტოქეს უამრავი პრობლემა შეუქმნა. იგი განსაკუთრებით ძლიერი მაშინ იყო, როდესაც სწრაფი გარბენისთვის სივრცე ეძლეოდა“.

მარჩელო ლიპი: „ვალდებული ვარ, შევაქო „ინტერი“ და ვაღიარო, რომ მოედნის ყველა მონაკვეთზე გვაჯობა. მეტოქე კონცენტრირებული და მოწადინებული ჩანდა, პირველი გოლი კი, ფაქტობრივად, მისი პირველივე მცდელობით გავიდა. ამის შემდეგ მაურო კამორანეზიმ და დავიდ ტრეზეგემ საგოლე მომენტები გაუშვეს ხელიდან, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ „იუვენტუსმა“ ამ თამაშის მოსაგებად დიდად არ მოიკლა თავი. და მაინც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 18 ივლისიდან მოყოლებული ეს ჩვენი პირველი მარცხი გახლდათ“.

„მილანმა“ კვლავ კახა კალაძის გარეშე ითამაშა. ამჯერად „შავწითლების“ მეტოქე „მოდენა“ გახლდათ და ანდრეი შევჩენკოს ორი გოლის წყალობით ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო. თამაშის წინ ამბობდნენ, თითქოს კარლო ანჩელოტი უკრაინელს დაასვენებდა, მაგრამ მწვრთნელმა იგიც ათამაშა, რუი კოშტაც და ფილიპო ინძაგიც.

„ყველა მატჩი თავისებურად ძნელია — თქვა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ — ძნელია ის მატჩებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, იოლი ჩანს. და მაინც, ერთი, რაც ნამდვილად შემიძლია განვაცხადო, ისაა, რომ წლეულს წინა სეზონზე გაცილებით უკეთ ვთამაშობთ“.

„რომამ“ „ლეჩეს“ 3:1 მოუგო. ამ მოგებაზე რომაელთა მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა:

„ძნელი მატჩი იყო, რადგან „ლეჩემ“ მოედნის ყოველ მონაკვეთზე მოგვიჭირა მარწუხები. მეტოქე ძალიან ორგანიზებულიც გახლდათ. ანტონიო კასანოს კი ძალიან უნდოდა გოლის გატანა, მაგრამ ზედმეტად დაძაბული მეჩვენა და გამოვცვალე“.

„პარმამ“ „კიევოს“ 3:1 აჯობა. პარმელებმა თამაში იმთავითვე სწრაფად და დაჟინებით დაიწყეს. განსაკუთრებით მარკო მარკიონიმ მიიქცია ყურადღება, თუმცა ეს ერთი ვარსკვლავის თამაში მაინც არ ყოფილა. გუნდის თავკაცის, ჩეზარე პრანდელის განცხადებით, მის ბიჭებს ახლა თანმიმდევრულობაღა აკლიათ.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 11 | 8 | 3 | 0 | 25:4 | 21 | 27 | 6 | 6 | 0 | 0 | 17:1 | 16 | 18 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 9 |
| 2 მილანი | 11 | 8 | 3 | 0 | 20:4 | 16 | 27 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 13 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 9 | 14 |
| 3 იუვენტუსი | 11 | 8 | 2 | 1 | 26:12 | 14 | 26 | 6 | 4 | 1 | 1 | 16:8 | 8 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 |
| 4 ინტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 20:6 | 14 | 22 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | 9 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 11 |
| 5 პარმა | 11 | 6 | 3 | 2 | 19:11 | 8 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 9 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 7 |
| 6 ლაციო | 11 | 6 | 1 | 4 | 18:16 | 2 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 6 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 7 |
| 7 სამპდორია | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 16 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 0 | 7 |
| 8 უდინეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 0 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 0 | 10 |
| 9 სიენა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:10 | 5 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 10 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 10 კიევო | 11 | 4 | 2 | 5 | 13:15 | -2 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 10 |
| 11 მოდენა | 11 | 4 | 2 | 5 | 10:12 | -2 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 5:3 | 2 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 |
| 12 რეჯინა | 11 | 1 | 7 | 3 | 10:19 | -9 | 10 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:6 | -1 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:13 | -8 | 3 |
| 13 ბრეშა | 11 | 1 | 5 | 5 | 16:23 | -7 | 8 | 6 | 0 | 4 | 2 | 10:12 | -2 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 14 ლეჩე | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | -12 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:16 | -11 | 1 |
| 15 ბოლონია | 11 | 1 | 4 | 6 | 9:17 | -8 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | -5 | 2 |
| 16 პერუჯა | 11 | 0 | 7 | 4 | 13:22 | -9 | 7 | 6 | 0 | 6 | 0 | 9:9 | 0 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | -9 | 1 |
| 17 ემპოლი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:23 | -16 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:16 | -13 | 1 |
| 18 ანკონა | 11 | 0 | 4 | 7 | 5:21 | -16 | 4 | 6 | 0 | 3 | 3 | 4:10 | -6 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | -10 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 12 |
| დი ვაიო (იუვენტუსი) | 7 |
| ადრიანო (პარმა) | 7 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 7 |
| ფავა (უდინეზე) | 7 |

### XII ტური

7 დეკემბერი

ბოლონია — ანკონა
კიევო — რომა
ემპოლი — მილანი
ინტერი — პერუჯა
ლაციო — იუვენტუსი
ლეჩე — პარმა
მოდენა — ბრეშა
სამპდორია — სიენა
უდინეზე — რეჯინა

### სერია B

#### XVII ტური

**ალბინოლეფე 0:1 სალერნიტანა**
0:1 კამორანი (45)

**ბარი 0:0 კალიარი**

**კატანია 1:1 ასკოლი**
1:0 ტერა (36), 1:1 ფონტანა (90)

**კომო 1:1 ვენეცია**
0:1 ანდერსონი (19), 1:1 რასტელი (43)

**ფიორენტინა 1:1 ლივორნო**
0:1 პროტი (5), 1:1 რიგანო (73)

**ჯენოა 1:1 პალერმო**
1:0 კოლაჩონე (56), 1:1 კორინი (80)

**ნაპოლი 1:0 პესკარა**
1:0 ფლორო ფლორესი (58)

**პიაჩენცა 2:0 აველინო**
1:0 რიჩო (40), 2:0 ჩიპრიანი (54)

**ტრევიზო 1:2 მესინა**
1:0 განჩი (20), 1:1 ლავეკია (47), 1:2 დი ნაპოლი (50)

**ტრიესტინა 1:1 ტერნანა**
1:0 გოდეაში (8პ), 1:1 ხიმენესი (27)

**ვერონა 0:0 ტორინო**

**ვიჩენცა 0:1 ატალანტა**
0:1 გონელა (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 17 | 9 | 8 | 0 | 23:10 | 35 |
| პალერმო | 17 | 9 | 7 | 1 | 25:11 | 34 |
| ტერნანა | 17 | 9 | 4 | 4 | 27:19 | 31 |
| ლივორნო | 17 | 7 | 8 | 2 | 20:13 | 29 |
| ტორინო | 17 | 8 | 4 | 5 | 27:17 | 28 |
| მესინა | 17 | 7 | 6 | 4 | 23:20 | 27 |
| პიაჩენცა | 17 | 7 | 6 | 4 | 16:13 | 27 |
| კალიარი | 17 | 6 | 6 | 5 | 28:19 | 24 |
| კატანია | 17 | 6 | 5 | 6 | 23:20 | 23 |
| ნაპოლი | 17 | 4 | 11 | 2 | 15:14 | 23 |
| ასკოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:20 | 22 |
| ფიორენტინა | 17 | 5 | 7 | 5 | 17:18 | 22 |
| პესკარა | 17 | 5 | 7 | 5 | 16:18 | 22 |
| ვენეცია | 17 | 4 | 9 | 4 | 18:19 | 21 |
| ტრევიზო | 17 | 5 | 6 | 6 | 18:21 | 21 |
| სალერნიტანა | 17 | 5 | 5 | 7 | 12:15 | 20 |
| ალბინოლეფე | 17 | 5 | 5 | 7 | 17:23 | 20 |
| ტრიესტინა | 17 | 4 | 7 | 6 | 23:27 | 19 |
| ჯენოა | 17 | 4 | 7 | 6 | 17:22 | 19 |
| ვერონა | 17 | 3 | 8 | 6 | 21:24 | 17 |
| ვიჩენცა | 17 | 3 | 8 | 6 | 14:18 | 17 |
| ბარი | 17 | 3 | 6 | 8 | 21:27 | 15 |
| კომო | 17 | 3 | 4 | 10 | 13:26 | 13 |
| აველინო | 17 | 0 | 5 | 12 | 13:32 | 5 |

# ლუისმა ვაჰიდს მარსელი უანდერძა

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XV ტური**

**მარსელი 0:1 პსჟ**
0:1 ფიორეზე (90)
**ბორდო 1:1 ბასტია**
1:0 დიივიდი (5), 1:1 ი. ბაჟი (90)
**ლანსი 2:1 გენგამი**
1:0 უტაკა (31), 2:0 მორეირა (57), 2:1 დაგანო (88)
**სოშო 3:2 ოსერი**
1:0 ფრო (6), 2:0, 3:0 სანტოსი (18, 44), 3:1, 3:2 ჯ. სისე (70, 75)
**რენი 3:1 ლიონი**
0:1 მალუდა (22), 1:1 რევეილიერი (25ს.კ.), 2:1 პიუდებუა (40ს.კ.), 3:1 ა. ფრეი (75)
**ნანტი 0:1 მონაკო**
0:1 ბერნარდი (76)
**აიაჩო 2:1 ტულუზი**
1:0 დიომედი (28), 1:1 ნდოი (77), 2:1 მ. ბაგაიოკო (86)
**ლე მანი 4:0 მონპელიე**
1:0 პანსრატე (13), 2:0 პეირლედი (25), 3:0 კუზინი (30), 4:0 ფანშონი (86)
**ნიცა 1:1 მეცი**
0:1 მაულიდა (19), 1:1 მესლინი (44)
**სტრასბური 2:2 ლილი**
0:1 მანჩევი (36), 1:1, 2:1 ბასილა (55, 89), 2:2 ბაჩიუ (90)

გასული შაბათი „ლიონისთვის" უიღბლო გამოდგა. ჩემპიონმა რენში სამი გოლი გაუშვა და სამიდან ორი თავად სტუმრების ანგარიშზეა.

პირველი ტაიმის შუაწელში პოლ ლე გუენს სანერვიულო არ ჰქონდა, რადგან გოვუს პასით მალუდამ „ლიონი" დააწინაურა. ამ ეპიზოდიდან სამიოდ წუთში ანტონი რევეილიერს ფეხმა უმუხთლა, როცა დომინიკ არიბაჟის ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

შესვენებამდე ცოტა დრო რჩებოდა, ალექსანდრ ფრეიმ კარში რომ დაჰკრა, ხარიხიდან დაშვებული ბურთი კუპეს შემცვლელ ნიკოლა პუიდებუას ზურგში მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

აღმართში დაწეული კიდევ ერთი ქვა „ლიონის" მცველ მამადუ დიარას გაძევება გახლდათ, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში მიჯრით ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო.

კაცნაკლულ სტუმრებს მესამე გოლი ფრეიმ მაშინ გაუტანა, როცა პოლ ლე გუენის შეგირდები შეტევებით გაერთნენ და ზურგი მოიშიშვლეს.

მდევრის უიღბლობით მეფურ ფორმაში მყოფმა „მონაკომ" ისარგებლა და „ლიონს" ექვსქულიანი მარაგით დაუსხლტა. დიდიე დეშანის გუნდს ნანტში გამარჯვება იოლად არ რგებია, რადგან დრო და დრო მასპინძლები თავბრუდამხვევ შტურმს აწყობდნენ ფლავიო რომას კართან. მონაკოელები საათზე მეტ ხანს ძირითადად დაცვის შეკოწიწებას ეშურებოდნენ და ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევით იხეირეს. ლუკას ბერნარდის საგოლე პასი ფერნანდო მორიენტესმა უბოძა.

ძირძველი მეტოქეების, „მარსელისა" და პსჟ-ს შეხლა 60 ათასიანი „ველოდრომის" ყიჟინამ „შეკაზმა". ისევე როგორც შარშან, ამჟამადაც პარიზელებმა იძალეს. პსჟ შარშან გაცილებით სუსტი იყო ლუის ფერნანდესის ხელში, თუმცა სამხრეთელებს ორჯერ (3:0) სძლია და საფრანგეთის თასიდანაც ჩამოიშორა. ამჯერად ვაჰიდ ჰალიჰოჯიჩის თავკაცობით დედაქალაქელებმა მასპინძლებს გამარჯვება ბოლო წუთზე ფაბრის ფიორეზეს გოლის წყალობით გამოსტაცეს. მანამდე კი, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, პსჟ-ელ ჟერომ ალონზოს წამდაუწუმ ხტუნვა უწევდა დროგბასა თუ მიდოს დარტყმების მოსაგერიებლად.

შესანიშნავი კვირა გამოუვიდა „სოშოს". დორტმუნდის „ბორუსიის" განადგურების შემდეგ სოშოელები იგივეს „ოსერსაც" უპირებდნენ, რადგან უკვე მეთვრამეტე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. მეორე გოლი ბრაზილიელმა სანტოსმა მეტოქის ორი მცველის ჩამოშორებისა და საჯარიმოს ხაზიდან ბრწყინვალე დარტყმის შედეგად გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმარი ჟან ალენ ბუმსონგი შეცდა და ფრომ სანტოსს მეორედ გაატანინა. ოსერელებს შესვენებამ დროულად მიუსწრო, გი რუს დამოძლვრილებმა მეორე ტაიმში თამაში გამოასწორეს და ჯიბრილ სისეს ერთი გოლი დააკლდა საპირველტაიმო სხვაობის გასაქრობად, თუმცა სისეს დუბლი საკმარისი გამოდგა საფრანგეთის მთავარმეგოლეობისთვის. ოსერელმა ფორვარდმა 15 მატჩში 12-ჯერ გაიტანა.

„ლე მანმა" პირველი წრის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე გამოიღვიძა და როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის პატარა ქალაქის გუნდი კბილებით იბრძოლებს უძლიერესთა შორის დასარჩენად. ლემანელები „მონპელიეს" ნახევარ საათში გაუმკლავდნენ. ზედიზედ მეოთხე მატჩში თავისი გოლი ამ შეხვედრაში კი რიგით მესამე, დანიელ კუზინმა გაიტანა, მანამდე პანკრატმა დააწინაურა მასპინძლები, პეირელადმა კი სხვაობა ორამდე გაზარდა. შეხვედრის მიწურულს ჯეიმს ფანშონემ იყოჩაღა და „მონპელიე" გასილაქებული გაისტუმრა.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 15 | 11 | 3 | 1 | 28:12 | 36 |
| ლიონი | 15 | 9 | 3 | 3 | 29:12 | 30 |
| მარსელი | 15 | 9 | 0 | 6 | 22:15 | 27 |
| პსჟ | 15 | 8 | 3 | 4 | 18:11 | 27 |
| სოშო | 15 | 8 | 3 | 4 | 22:16 | 27 |
| ლანსი | 15 | 8 | 1 | 6 | 14:20 | 25 |
| ოსერი | 15 | 7 | 2 | 6 | 25:16 | 23 |
| ნანტი | 15 | 7 | 1 | 7 | 16:14 | 22 |
| ნიცა | 15 | 5 | 7 | 3 | 13:13 | 22 |
| მონპელიე | 15 | 6 | 3 | 6 | 22:22 | 21 |
| სტრასბური | 15 | 5 | 5 | 5 | 20:18 | 20 |
| ბორდო | 15 | 5 | 5 | 5 | 13:13 | 20 |
| ბასტია | 15 | 5 | 4 | 6 | 18:22 | 19 |
| რენი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:14 | 18 |
| აიაჩო | 15 | 4 | 4 | 7 | 14:20 | 16 |
| მეცი | 15 | 4 | 3 | 8 | 12:16 | 15 |
| ლილი | 15 | 3 | 6 | 6 | 15:21 | 15 |
| გენგამი | 15 | 3 | 2 | 10 | 13:25 | 11 |
| ლე მანი | 15 | 2 | 5 | 8 | 12:26 | 11 |
| ტულუზი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:25 | 10 |

**II დივიზიონი. XVI ტური**

ლავალი — ლორიანი 2:2; ტრუა — სედანი 0:0; ანჟერი — სენტ ეტიენი 1:1; კლერმონი — ვალანსი 1:1; გრენობლი — კრეტეი 1:1; გენიონი — ნანსი 0:0; ისტრი — ლე ავრი 2:0; ნიორი — შატორუ 0:0; რუანი — ბეზანსონი 1:1; კაენი — ამიენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 16 | 11 | 3 | 2 | 21:6 | 36 |
| ნიორი | 16 | 8 | 5 | 3 | 19:9 | 29 |
| ლორიანი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:17 | 27 |
| კაენი | 16 | 7 | 6 | 3 | 21:13 | 27 |
| ამიენი | 16 | 7 | 6 | 3 | 16:10 | 27 |
| სენტ ეტიენი | 16 | 8 | 2 | 6 | 16:14 | 26 |
| ნანსი | 16 | 5 | 7 | 4 | 18:14 | 22 |
| ტრუა | 16 | 5 | 7 | 4 | 18:17 | 22 |
| სედანი | 16 | 5 | 7 | 4 | 11:12 | 22 |
| ლე ავრი | 16 | 5 | 6 | 5 | 14:15 | 21 |
| კლერმონი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:25 | 21 |
| ვალანსი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| შატორუ | 16 | 4 | 7 | 5 | 17:22 | 19 |
| ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 15:19 | 18 |
| გენიონი | 16 | 3 | 8 | 5 | 16:17 | 17 |
| კრეტეი | 16 | 3 | 8 | 5 | 15:18 | 17 |
| ლავალი | 16 | 3 | 6 | 7 | 19:25 | 15 |
| რუანი | 16 | 2 | 7 | 7 | 13:23 | 13 |
| გრენობლი | 16 | 1 | 8 | 7 | 11:17 | 11 |
| ბეზანსონი | 16 | 2 | 5 | 9 | 12:24 | 11 |



REUTERS

ჰიბერნიანი — რეინჯერსი. ჰენინგ ბერგი თავს არ ზოგავს, მაგრამ გლაზგოელებმა მასთან ახალი კონტრაქტი არ ისურვეს

# კი შოთა

## ბერგი, მოლსი და დე ბური – არა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XIV ტური**

**ჰიბერნიანი 0:1 რეინჯერსი**
0:1 ჰიუზი (90)
**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მორის როსი, **ხიზანიშვილი**, ბერგი, ბოლი, ნუნუ კაპუშუ (ბარკი 57), რიკსენი, ს. ჰიუზი, ლოვენკრანდსი, **არველაძე**, მოლსი (ოსტენსტადი 69)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
11 167 მაყურებელი
**ლივინგსტონი 1:1 დანდი**
1:0 ლილეი (71პ), 1:1 ფოზერინგემი (84)
*დანდელი გიორგი ნემსაძე ტრანსფერზეა*
**დანდი იუნ. 2:1 ჰართსი**
1:0 არჩიბალდი (12), 2:0 მაკინესი (44), 2:1 სევერინი (47)
**სელტიკი 3:1 პარტიკი**
0:1 გრედი (12), 1:1 ლარსონი (23), 2:1, 3:1 სატონი (36, 60)
**დანფერმლაინი 2:2 აბერდინი**
0:1 დელომო (25), 0:2 ბუთი (60), 1:2 იანგი (61), 2:2 ბულენი (74)
**კილმარნოკი 2:0 მოზერუელი**
1:0 კანერო (13), 2:0 ბოიდი (60)

ბრიტანულმა სააგენტო „სპორტინგლაიფმა" შოთა არველაძე „ჰიბერნიან"— „რეინჯერსის" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. თუმც ვინძლო აქ სიზუსტემ გვიმტყუნოს — KEY PLAYER OF THE MATCH — ამ იდიომის ზუსტი თარგმანი ალბათ უფრო მატჩის ყველაზე საკვანძო ფეხბურთელია — „კი პლეიერი".

არველაძეს არც გოლი გაუტანია და არც საგოლე გადაცემა გაუხერხებია, თუმც „რეინჯერსის" შეტევათა წამმართველი სწორედ ის იყო. „ჩაცვრებმა" რამდენიმე საგოლე შანსი გაანიავეს, მათ შორის ერთი შოთამაც. ერთ ეპიზოდში კი არველაძემ საკუთარი კარის ხაზიდანაც გამოიტანა ბურთი — „ჰიბერნიანს" რომ გაეტანა, „რეინჯერსი", ხუთი ქულით კი არა, ალბათ მეტითაც ჩამორჩებოდა „სელტიკს".

ამასობაში „რეინჯერსმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ ჰენინგ ბერგს, მიხაელ მოლსს და რონალდ დე ბურს კონტრაქტს არ გაუგრძელებს — სეზონის დამთავრებისთანავე ისინი რეინჯერსელები აღარ იქნებიან. თუმც დე ბურსა და მოლსს უკვე გამოუჩნდნენ მთხოვნელები — ტყუპისცალს ყატარში ეპატიჟებიან, მოლსს კი შოტლანდიური პრემიერლიგის საშუალო გუნდები ექაჩებიან.

**დავით თამართძილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 14 | 13 | 1 | 0 | 46:5 | 40 |
| რეინჯერსი | 14 | 11 | 2 | 1 | 37:11 | 35 |
| ჰართსი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:17 | 26 |
| მოზერუელი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:17 | 20 |
| დანფერმლაინი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:19 | 20 |
| ლივინგსტონი | 14 | 4 | 6 | 4 | 15:15 | 18 |
| დანდი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:16 | 17 |
| კილმარნოკი | 14 | 5 | 2 | 7 | 20:30 | 17 |
| ჰიბერნიანი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| დანდი იუნ. | 14 | 3 | 4 | 7 | 12:27 | 13 |
| აბერდინი | 14 | 2 | 2 | 10 | 11:29 | 8 |
| პარტიკი | 14 | 0 | 2 | 12 | 12:31 | 2 |

**I დივიზიონი. XV ტური**

ეარი — როსი 1:3; ფოლკირკი — კლაიდი 0:2; ინვერნესი — ბრეჩინი 5:0; რეითი — სენტ ჯონსტონი 1:4. *ქუინი — სენტ მირენი გადაიდო*

**II დივიზიონი. XIV ტური**

ბერვიკი — სტენჰაუზმური 2:1. *არბროთი — ერდრი და ჰამილტონი — მორტონი გადაიდო*

**III დივიზიონი. XIV ტური**

ისტ სტირლინგი — პიტერჰედი 1:3; ელგინი — სტრანრარი 1:3. *გრეტნა — კოუდენბითი 0:0-ზე ჩაიშალა*

**ასოციაციის თასი**
**I ეტაპი. გადათამაშება**

ალბიონი — *მონტროუზი 1:3; ისტ ფაიფი* — ფორფარი 3:3დ.დ.(პენ.4:1, 2:2)

## თურქეთი

**სუპერლიგა. XVI ტური**

ადანა — სამსუნი 2:3; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 2:2; გაზიანთეფი — ისთანბული 2:1; გენჩლერი — დენიზლი 1:3; სებათი — რიზე 1:0; ელაზიგი — ბურსა 1:0; კონია — ანკარაგიუჯიუ 1:1; დიარბაქირი — ტრაბზონი 2:2; გალათასარაი — მალათია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 14 | 10 | 4 | 0 | 33:10 | 34 |
| გალათასარაი | 14 | 8 | 4 | 2 | 23:16 | 28 |
| დენიზლი | 14 | 8 | 2 | 4 | 27:15 | 26 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 7 | 5 | 2 | 29:19 | 26 |
| ტრაბზონი | 14 | 7 | 4 | 3 | 20:16 | 25 |
| მალათია | 14 | 7 | 3 | 4 | 21:13 | 24 |
| გაზიანთეფი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 23 |
| გენჩლერი | 14 | 6 | 1 | 7 | 26:18 | 19 |
| ისთანბული | 14 | 5 | 3 | 6 | 22:20 | 18 |
| დიარბაქირი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:21 | 18 |
| სამსუნი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:26 | 18 |
| რიზე | 14 | 4 | 4 | 6 | 11:17 | 16 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 4 | 3 | 7 | 17:24 | 15 |
| კონია | 14 | 2 | 8 | 4 | 15:21 | 14 |
| სებათი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:24 | 12 |
| ბურსა | 14 | 2 | 5 | 7 | 14:21 | 11 |
| ელაზიგსფორი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:35 | 10 |
| ადანა | 14 | 3 | 1 | 10 | 12:31 | 10 |

## საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. XII ტური**

ირაკლისი — აკრატიტოსი 2:1; ქსანთი — კალითეა 1:1; პროდეფტიკი — იონიკოსი 1:1; ხალკიდონა — არისი 2:1; პანილიაკოსი — აეკ 1:0; პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი 1:2; პანათინაიკოსი — პაოკ 3:0; ოფი — ეგალეო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 12 | 9 | 2 | 1 | 28:8 | 29 |
| პანათინაიკოსი | 12 | 8 | 3 | 1 | 21:7 | 27 |
| ეგალეო | 12 | 7 | 3 | 2 | 14:7 | 24 |
| პაოკ | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 23 |
| აეკ | 12 | 6 | 3 | 3 | 26:14 | 21 |
| ხალკიდონა | 12 | 4 | 5 | 3 | 15:15 | 17 |
| პანიონიოსი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:15 | 15 |
| ოფი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:21 | 15 |
| პანილიაკოსი | 12 | 3 | 5 | 4 | 17:17 | 14 |
| ირაკლისი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:15 | 13 |
| ქსანთი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:16 | 13 |
| არისი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:16 | 12 |
| კალითეა | 12 | 1 | 7 | 4 | 18:20 | 10 |
| იონიკოსი | 12 | 2 | 3 | 7 | 13:21 | 9 |
| პროდეფტიკი | 12 | 1 | 6 | 5 | 7:17 | 9 |
| აკრატიტოსი | 12 | 1 | 3 | 8 | 11:32 | 6 |



REUTERS

მარსელი — პსჟ. ამაო გამოდგა მასპინძელთა ეგვიპტელის, მიდოს (მარჯვნივ) თავგამოდება

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპი. წილისყრა

## პორტუგალია (12 ივნისი-4 ივლისი)



*პორტუგალია ესპანეთის წინააღმდეგ, საფრანგეთი ინგლისის წინააღმდეგ, გერმანია ჰოლანდიის წინააღმდეგ... ეს სამივე დიდი ევროპული დერბია და მოახლოებული ევროპის ჩემპიონატი სამივეს გვთავაზობს — ლისაბონში, „პავილიაო ატლანტიკოში" ევრო-2004-ის მონაწილეთა ჯგუფებში გასანაწილებელი კენჭისყრა გაიმართა. რომელი ჯგუფი ძლიერი გამოვიდა და რომელი სუსტი, უფრო დაწვრილებით ქვემოთ წერია, აქ კი ერთ რამეს ვიტყვით: წინა, 2000 წლის პირველობა იმდენად სანახაობრივი და დრამატული გახლდათ, რომ მომავალს ერთიორად უნდა გაუმართლოს მის ფონზე თავი რომ დაგვამახსოვროს.*

*ჩვენც სწორედ ასეთ იღბალს ვუსურვებთ! სწორედ ეს გვინდა!*

## A ჯგუფი

# რეჰაგელი ავანსად ხუმრობს



წილისყრამ ინება, რომ მეზობლები ერთ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ. ინაკი საესის ესპანეთი „კარის მეზობელ" პორტუგალიას ორიოდ თვის წინ ამხანაგურად შეხვდა და 3:0 მოუგო. ამჯერად ისინი ბოლო ტურში დაეჯახებიან ერთმანეთს და ორივე მწვრთნელი იმედოვნებს, რომ „ჟოზე ალვალადე XXI"-ის სტადიონზე ნაღდი შოუ გაიმართება.

**ლუიშ ფელიპე სკოლარი**: „ეს ჩვეულებრივი ლატარიაა. მეტოქეების სუსტებად და ძლიერებად დაყოფა ჩემი საქმე არ არის, მთავარია, მეოთხედფინალში გავიდეთ და ამას რომელი ადგილიდან მოვახერხებთ, ნაკლებად მაღელვებს".

ჩემპიონატი პორტუგალია-საბერძნეთის მატჩით გაიხსნება. მათ უკვე მოასწრეს ნოემბერში ამხანაგურად გაჯიბრება და შეხვედრა 1:1 დასრულდა. „აქედანვე საბერძნეთთან თამაშზე ვფიქრობ — დასძინა სკოლარიმ — კარგია, რომ ესპანეთი ბოლოს გვიწევს. ივნისამდე სამი მატჩი გვაქვს დაგეგმილი იტალიასთან, ინგლისთან და შვედეთთან. სწორედ მათთან მოვსინჯავთ ძალებს გადამწყვეტ ბრძოლამდე".

ოტო რეჰაგელის საბერძნეთი შესარჩევი ჯგუფიდან გაძვრა და ესპანეთს პლეი ოფი შეარჩა, მაგრამ განგებამ ისინი კვლავ ერთად შეყარა. „ჩვენ აუტსაიდერებად მიგვიჩნევენ და მე ეს მომწონს — თქვა რეჰაგელმა — პირველი შეხვედრა მასპინძლებთან გველის. ისინი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იქნებიან, რაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. როგორი ტაქტიკით ვითამაშებთ პორტუგალიის წინააღმდეგ, ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ, გარწმუნებთ, მოედანზე თერთმეტი ბერძენი ფეხბურთელი გავა".

**ინაკი საესი**: „ნამდვილად არ მსურდა, რომ ჯგუფში მასპინძლებთან მოვხვედრილიყავით, თუმც ვერ ავცდით და აქედანვე საჭიროა მომავალზე და მეოთხედფინალში გასვლაზე ვიფიქროთ. პორტუგალიას და საბერძნეთს კარგად ვიცნობ".

**გიორგი იარცევი**: „სამივე მეტოქე სამხრეთულ ფეხბურთს ქადაგებს და მათთან თამაში გაგვიძნელდება. მით უმეტეს, ივნისში პორტუგალიაში სიცხე იქნება და ჩვენ ორი მატჩის ქვეყნის სამხრეთით გამართვა გვიწევს. რასაკვირველია, აუტსაიდერად მიგვიჩნევენ, მაგრამ ეს ფაქტი არ გვაფრთხობს, პირიქით, უფრო მეტად გვალიზიანებს და საბრძოლველად განგვაწყობს".

**გაგა ხუციშვილი**



პორტუგალია | საბერძნეთი | ესპანეთი | რუსეთი

12 ივნისი 21.00 პორტუ
პორტუგალია – საბერძნეთი
12 ივნისი 23.45 ფარუ
ესპანეთი – რუსეთი
16 ივნისი 21.00 პორტუ
საბერძნეთი – ესპანეთი
16 ივნისი 23.45 ლისაბონი
რუსეთი – პორტუგალია
20 ივნისი 23.45 ლისაბონი
ესპანეთი – პორტუგალია
20 ივნისი 23.45 ფარუ
რუსეთი – საბერძნეთი



ინაკი საესი და ლუიშ ფელიპე სკოლარი



საფრანგეთი | ინგლისი | შვეიცარია | ხორვატია



REUTERS ლისაბონიდან

სვენ გორან ერიქსონი და ჟაკ სანტინი ერთმანეთს 13 ივნისამდე დაემშვიდობნენ

## B ჯგუფი

# არც ცუდი, არც კარგი



**ევროპის** ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს ტიტულის შესანარჩუნებლად ინგლისის, ხორვატიის და შვეიცარიის ეროვნულ გუნდებთან მოუწევს ჭიდილი. თუ მათ აჯობებს, დანარჩენზე მერეღა შეიძლება ფიქრი. საგანგებო მნიშვნელობა 13 ივნისს დანიშნულ პირველ თამაშს რომ ენიჭება, ფაქტია. ეს მატჩი ლისაბონში, „ლუზის" სტადიონზე გაიმართება და „ლურჯებს" არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისი დაუდგება. ერთი სიტყვით, ევროპული დერბია. ფრანგთა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმაც სწორედ ეს სიტყვა ახსენა:

„ინგლისის წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის ნამდვილი დერბია. მნიშვნელოვანია, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში უამრავი ჩვენი ფეხბურთელი გამოდის. ხორვატებთან დაპირისპირება კი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს გვაგონებს. მაშინ მათთან დიდი მატჩი გვქონდა, ხოლო შვეიცარიას ამხანაგური შეხვედრით ვიცნობთ და უნდა გითხრათ, რომ მის შესახებ ამომწურავი ინფორმაციაც გვაქვს. გარდა ამისა, მე თავად გახლავართ საფრანგეთის იმ ნაწილიდან, რომელიც შვეიცარიის საზღვარს ემიჯნება და შვეიცარიელებთან დაპირისპირებასაც დერბად აღვიქვამ. ზოგადად, უნდა მოგახსენოთ, რომ რთული ჯგუფი გვერგო, თუმცა რაკილა ჰოლანდიელებს ავცდით, მეოთხედფინალში გასვლის იმედი გაგვიორმაგდა".

და როგორც ფრანგთათვის არის 13 ივნისის თამაში მნიშვნელოვანი, ასევეა ინგლისელებისთვის, რაც მათმა შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმაც დაადასტურა.

„ვინაიდან 13 ივნისს საფრანგეთს ვხვდებით, გამოდის, რომ ამ ჩემპიონატს პირველივე დღიდან საუკეთესო ფორმით უნდა შევხვდეთ. ცხადია, ეს უდიდესი შესაძლებლობაა, მაგრამ თავად თამაში უმძიმესი იქნება, რადგან საფრანგეთი ფავორიტია. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯგუფი სერიოზულია, თუმცა D ჯგუფს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჩემპიონატის უძნელესი ჯგუფი სწორედ ის გახლავთ".

დიახ, ინგლისი და საფრანგეთი უთუოდ ფავორიტები არიან, მაგრამ ცხადია, არც ხორვატიის ჩამოწერა შეიძლება. ხორვატთა მწვრთნელის, ოტო ბარიჩის აზრით, ჯგუფი უძნელესია, რადგან მის გუნდს სამიდან ორი სჯობს. ბარიჩი თავის ტოლ-სწორად შვეიცარიელებს მიიჩნევს.

„ჩვენ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგვიჩნდება, თუ საფრანგეთს ან ინგლისს მოვუგებთ" — თქვა მწვრთნელმა.

შვეიცარიელებს კი მწვრთნელის ასისტენტი, მიშელ პონტი ჰყავდათ კენჭისყრაზე გაგზავნილი.

„მეორე ადგილზე გასვლა ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება. ძნელი ჯგუფია, რომლის ფავორიტებიც, ალბათ, ინგლისი და საფრანგეთი არიან".

შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის, რალფ ზლოცვოერის აზრით კი, მის ნაკრებს ყველაზე რთული მატჩი საფრანგეთთან ექნება, რადგან ინგლისის წინააღმდეგ ინგლისური სტილის მონათესავე შვეიცარიელებს შანსი მეტი აქვთ. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პირველ შეხვედრაში ხორვატებთან მის გუნდს მოგება შეუძლია.

და ბოლოს, საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის, ლონდონის „ჩელსის" მოთამაშის მარსელ დესაის აზრი: „კენჭისყრის შედეგი არც ცუდია და არც კარგი, სადღაც შუაშია. დავიწყებთ და გამოჩნდება".

**ბაკურა ქედია**

13 ივნისი 21.00 ლეირია
შვეიცარია – ხორვატია
13 ივნისი 23.45 ლისაბონი
საფრანგეთი – ინგლისი
17 ივნისი 21.00 კოიმბრა
ინგლისი – შვეიცარია
17 ივნისი 23.45 ლეირია
ხორვატია – საფრანგეთი
21 ივნისი 23.45 ლისაბონი
ხორვატია – ინგლისი
21 ივნისი 23.45 კოიმბრა
შვეიცარია – საფრანგეთი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპი. წილისყრა

## C ჯგუფი

# ტოლ-სწორებში და... მაინც იტალია



ჯოვანი ტრაპატონი

**განა** შეიძლება ჩატარდეს კენჭისყრა, შედგეს ჯგუფი და იქ მოხვედრილი გუნდების მწვრთნელებმა არ თქვან, რომ მათ კარგად დაბალანსებულ, ძნელ ჯგუფში თამაში ერგოთ? ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ევრო 2004-ის C ჯგუფის ბინადართა ვინაობა გაირკვა. თან, აღსანიშნავია, რომ ოთხივე ნაკრებმა: შვედეთმა, ბულგარეთმა, დანიამ და იტალიამ შესარჩევი შეჯიბრება პირველ ადგილზე ჩაამთავრეს.

და მაინც, ალბათ, ყველასთვის C ჯგუფის მთავარი ფავორიტი იტალიაა, წინა, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის დამარცხებული ფინალისტი. მისი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი კი 1968 წელს, ფეხბურთელობისას გახდა ამ ტიტულის მფლობელი.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ კენჭისყრამ საფრანგეთისა და პორტუგალიას აგვაცილა, სხვა მხრივ კი თანამედროვე ევროპული ფეხბურთი ძალიან დაბალანსებულია, ჩვენს ჯგუფში დიდი ბრძოლა გაიმართება. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ თუ გამარჯვებაზე ფიქრობ, ჩემპიონატს მომზადებული უნდა შეხვდე, ყველა საუკეთესო ფეხბურთელი ჯანმრთელად და თან უნდა გყავდეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებულმა გამოცდილებამ დაგვანახა ფიზიკური მზადყოფნის განსაკუთრებული აუცილებლობაც. მწამს, ჩვენს ჯგუფში ოთხივე გუნდს შეუძლია მეოთხედფინალში გასვლა" — განაცხადა ტრაპატონიმ.

| შვედეთი | ბულგარეთი |
|---|---|
| დანია | იტალია |

14 ივნისი 21.00 გიმარაეში
დანია – იტალია
14 ივნისი 23.45 ლისაბონი
შვედეთი – ბულგარეთი
18 ივნისი 21.00 ბრაგა
ბულგარეთი – დანია
18 ივნისი 23.45 პორტუ
იტალია – შვედეთი
22 ივნისი 23.45 გიმარაეში
იტალია – ბულგარეთი
22 ივნისი 23.45 პორტუ
დანია – შვედეთი

დანია გახლავთ ერთი იმ რვათაგანი, რომელსაც ევროპის თასი აღუმართავს, მაგრამ მისი მწვრთნელი მორტენ ოლსენი ამ ეტაპზე მიზნად მხოლოდ ჯგუფიდან გასვლას ისახავს.

„ამ ჯგუფში ყველაფერი შეიძლება მოხდეს — თქვა ოლსენმა — შესარჩევ ჯგუფში ოთხივე პირველი გახლდათ და, ფაქტია, ოთხივე ძნელი დასამარცხებელი იქნება. თუ მაინცდამაინც ერთი ფავორიტის გამოყოფას მთხოვთ, იტალიას დაგისახელებთ, მაგრამ დავძენ, რომ ჩვენს ოთხეულში ყველას დამარცხება შეუძლია."

შვედებს, მოგეხსენებათ, ორი თანაბარძალოვანი მწვრთნელი ჰყავთ, ლარს ლაგერბეკი და ტომი სოდერბერგი. ლაგერბეკმა განაცხადა: „ვეთანხმები კოლეგებს, ჯოვანის და მორტენს, ჯგუფი კარგადაა დაბალანსებული, ანუ შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი ყველას აქვს. მართალი რომ გითხრათ, მეზობლებთან (დანიელებთან) შეხვედრა მაინცდამაინც არ მინდოდა, რადგან მათი მოედანზეც და მის მიღმაც კარგად გვესმის, მაგრამ კენჭისყრა კენჭისყრაა. ერთი სიტყვით, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სამი იღბლიანი დღე გვჭირდება..."

შვედები ჩემპიონატს ბულგარელებთან თამაშით იწყებენ, ბულგარელებს კი ის გუნდი ჰყავთ, რომლის მწვრთნელი პლამენ მარკოვი მაინცდამაინც შორს მიმავალ გეგმებს არ სახავს.

„ჩვენი ქვეყნისთვის თავად შეჯიბრებაში მონაწილეობაა მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ჯგუფს, ვუყურებ და ვფიქრობ, რომ აქ ფავორიტი არ არის. აქ ძალიან ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი და კარგი შედეგის მიღწევა თითოეულ მათგანს შეუძლია".

**ბაკუნა კედია**

| ჩეხეთი | ლატვია |
|---|---|
| გერმანია | ჰოლანდია |

15 ივნისი 21.00 ავეირუ
ჩეხეთი – ლატვია
15 ივნისი 23.45 პორტუ
გერმანია – ჰოლანდია
19 ივნისი 21.00 პორტუ
ლატვია – გერმანია
19 ივნისი 23.45 ავეირუ
ჰოლანდია – ჩეხეთი
23 ივნისი 23.45 ბრაგა
ჰოლანდია – ლატვია
23 ივნისი 23.45 ლისაბონი
გერმანია – ჩეხეთი

## D ჯგუფი



„ვეშაპთა" თავები: დიკ ადვოკაატი, კარელ ბრუკნერი და რუდი ფიოლერი

# ჩვენ ვერავინ დაგვცინებს
## ლატვია ვეშაპებს მიუგდეს

**ახლა** იმის დაწვრილებით გახსენება, თუ როგორ შეხვდნენ ევროპის ბოლოსწინა ჩემპიონატის ფინალში გერმანია და ჩეხეთი, ან როგორ დაჯაბნა იმავ ჩეხეთმა ამ შესარჩევ ციკლში ჰოლანდია, ან უფრო ძველი, გერმანია — ჰოლანდიის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ამბისა, ზედმეტი უნდა იყოს. წილისყრა შედგა, ეს გუნდები, ლატვიასთან ერთად ერთ ჯგუფში მოხვდნენ და ქვემოთ მათი მწვრთნელების პირველ კომენტარებს გავეცნოთ.

**რუდი ფიოლერი,** *გერმანია:* „ იოლი ჯგუფები რომ არ იქნებოდა, წილისყრამდეც ცხადი იყო. წილისყრამ კი მეტოქეებად ჩეხეთი და ჰოლანდია გვარგუნა — უმაღლესი კლასის გუნდები. ვფიქრობ, უფრო რთულ ჯგუფშიც შეიძლებოდა მოვხვედრილიყავით, მაგრამ სადაც ვართ, ისიც ძალიან ძლიერი ჯგუფია."

**დიკ ადვოკაატი,** *ჰოლანდია:* „წილისყრის შედეგებში დადებითი მომენტებიც შეიძლება დავინახოთ და უარყოფითიც. მე ყურადღებას დადებითზე გავამახვილებდი. ის, რომ მეტოქედ ჩეხეთი გვერგო, კარგია. მართალია, შესარჩევ ეტაპზე დაგვამარცხა, მაგრამ ამ მარცხიდან სწორ დასკვნებს თუ გამოვიტანთ, პორტუგალიაში უთუოდ მოვუგებთ. გერმანელებს კი თებერვალში ამხანაგურად შევხვდით და მათ წინააღმდეგაც გვაქვს იარაღი."

**კარელ ბრუკნერი,** *ჩეხეთი:* „სიმართლე გითხრათ, ლატვიაზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ივნისამდე, გარწმუნებთ, ამომწურავი ინფორმაცია მექნება. გერმანია ყოველთვის, ნებისმიერ შეჯიბრებაში ფავორიტად ითვლება და ასე იქნება ამ ჩემპიონატზეც. იგივეს ვიტყვი ჰოლანდიაზეც. მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევ ეტაპზე დავამარცხეთ, ჰოლანდიის ნაკრების ძალაში ეჭვი არ გვეპარება და მას უძლიერეს მეტოქედ მივიჩნევთ."

დავძინოთ, რომ ჩეხეთის ნაკრებმა კარელ ბრუკნერის თავკაცობით 19 მატჩი ჩაატარა და ერთხელაც არ დამარცხებულა.

**ალექსანდრ სტარკოვსი,** *ლატვია:* „ვაღიარებ, რომ ჯგუფში სამივე გუნდი ჩვენზე ძლიერია და ფავორიტებად ითვლებიან. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველა გუნდს თავისი სუსტი ადგილებიც აქვს და ამ მხრივ გამონაკლისი არ არსებობს. ჩვენი მიზანიც მეტოქეთა სუსტი მხარეების პოვნა და ეფექტური ბრძოლის ხერხების მოფიქრებაა. არ ვიცი, ეს როგორ გამოგვივა, ერთი რამ კი ახლავე შემიძლია ვთქვა — შესაძლებლობის ფარგლებში ლატვია საუკეთესო ფეხბურთს ითამაშებს და სამივე მატჩიც რომ წავაგოთ, დაცინვას ვერავინ გაგვიბედავს. ისე, არც ჯგუფიდან გასვლას გამოვრიცხავ."

**ირაკლი ნინიძე**

## მეოთხედფინალი

| 24 ივნისი 23.45 ლისაბონი | | | 26 ივნისი 23.45 ფარუ | | |
|---|---|---|---|---|---|
| I | A1 | B2 | III | C1 | D2 |
| **25 ივნისი 23.45 ლისაბონი** | | | **27 ივნისი 23.45 პორტუ** | | |
| II | B1 | A2 | IV | D1 | C2 |

## ნახევარფინალი

30 ივნისი 23.45 ლისაბონი

I წყვილის გამარჯვებული – III წყვილის გამარჯვებული

1 ივლისი 23.45 პორტუ

II წყვილის გამარჯვებული – IV წყვილის გამარჯვებული

## ფინალი

4 ივლისი 23.45 ლისაბონი

### „უილიამ ჰილის" კოეფიციენტები ჩემპიონობაზე

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| პორტუგალია | 13-2 |
| საბერძნეთი | 66-1 |
| ესპანეთი | 7-1 |
| რუსეთი | 80-1 |
| **B ჯგუფი** | |
| საფრანგეთი | 100-30 |
| ინგლისი | 15-2 |
| შვეიცარია | 100-1 |
| ხორვატია | 80-1 |
| **C ჯგუფი** | |
| შვედეთი | 22-1 |
| ბულგარეთი | 50-1 |
| დანია | 25-1 |
| იტალია | 4-1 |
| **D ჯგუფი** | |
| ჩეხეთი | 12-1 |
| ლატვია | 500-1 |
| გერმანია | 18-1 |
| ჰოლანდია | 13-2 |



# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტურის გადადებული მატჩი. დღეს

## გალათასარაი — იუვენტუსი

## დღეს დორტმუნდი სტამბოლია



დღეს ტურინელები ნიკოლა ლეგროტალიესა და ლილიან ტურამის გარეშე ითამაშებენ

**შეგახსენებთ:** დღეს დორტმუნდში სტამბოლის „გალათასარაი" ტურინის „იუვენტუსს" მასპინძლობს. ეს შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის D ჯგუფისა გახლავთ და წინა სამშაბათიდანაა გადმოტანილი. გადმოტანას მიზეზად სტამბოლის ტერაქტები დაედო.

ამ მატჩისთვის თურქულ გუნდს დაშავებული არავინ ჰყავს. მწვრთნელი ფატიჰ თერიმი პარასკევს, „მალათიასფორთთან" ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ, როგორც ამბობენ, მოედანზე განახლებული შემადგენლობის გაყვანას აპირებს. კერძოდ, შეიძლება ჰასან შაში მარცხნივ, ერგუნ პენბეს ადგილას გადავიდეს, ხოლო ბერქანტ გიოქთანმა თავდამსხმელობა იკისროს. წითელი ბარათის ძალით, ორი მატჩითაა დასჯილი აიჰან აქმანი და მის ადგილს, სავარაუდოდ, ოვიდიუ პეტრე დაიჭერს.

„იუვენტუსი", მეტოქისგან განსხვავებით, კარგა ნაკლული შემადგენლობით იქნება. კერძოდ, ვერ ითამაშებს ალესანდრო დელ პიერო, რომლის მაგივრობას ფაბრიციო მიკოლი გასწევს. არ იქნებიან ლილიან ტურამი, ნიკოლა ლეგროტალიე და ჯანლუიჯი ძამბროტაც.

**ბაჩუნა ძიძია**

### სავარაუდო შემადგენლობები

**გალათასარაი — იუვენტუსი**

**გალათასარაი:** მონდრაგონი, პრატესი, ფ. დე ბური, ბიულენთი, ორჰანი, საბრი, პეტრე, ჯიჰანი, ჰასან შაში, გიოქთანი, ჰაქან შუქური

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, პესოტო, კამორანეზი, კონტე, აპია, ნედვედი, დი ვაიო, მიკოლი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

# ჰეი, ჰეი, ვანდერლეი!

## გუნდი, ტაქტიკა და ოქრო

### ბრაზილია

**სერია A. XLIV ტური**

**ინტერნასიონალი — ფლამენგო 3:1; ფლუმინენსე — სან კაეტანო 2:1; ატლ. პარანენსე — გუარანი 3:1; ვასკუ და გამა — ფიგეირენსე 1:0; ჟუვენტუდე — ატლ. მინეირო 1:0; გოიასი — სანტოსი 3:0; კრუზეირო — პაისანდუ 2:1; კრისიუმა — გრემიო 0:2; ფორტალეზა — პარანა 5:3; ვიტორია — კურიტიბა 1:0; კორინთიანსი — ბაია 1:2; პონტე პრეტა — სან პაულუ 1:2**

ბრაზილიის სერია A-ს დასრულებამდე ორი ტურით ადრე ბელუ ორიზონტეს „კრუზეირომ" ოქრო გაინაღდა. „კრუზეირო" პირველად ეწვია ჩემპიონობას და ეს, რა თქმა უნდა, მეტწილად ვანდერლეი ლუშემბურგოს დამსახურებაა. სკანდალურად ცნობილმა მწვრთნელმა თავის დროზე იგივე „პალმეირსში" (1993-94) და „კორინთიანსში" (1998) მოახერხა. „მან შექმნა გუნდი, ტაქტიკა და ჯილდო" — აღნიშნა ძველმა ბრაზილიელმა ტოსტაომ საგაზეთო სვეტში, თავად მწვრთნელმა კი თქვა: „ახლა ყველა ბელუორიზონტელი მხიარულობს და ილხენს, მაგრამ ვიცი, მომავალ სეზონში წარმატება რომ ვერ გავიმეოროთ, მიწასთან გამასწორებენ".

„კრუზეირო" — „პაისანდუს" მატჩს 71 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. პირველი გოლი ზინიომ საჯარიმო დარტყმით მე-7 წუთზე გაიტანა, შეცვლაზე შესულმა მოტამ კი მეორე ნახევარში შეაგდო, რასაც სტუმარმა ალდროვანიმ შეხვედრის მიწურულს ერთით უპასუხა.

„სანტოსი" სასწაულის იმედზე იყო. „კრუზეიროს" დარჩენილ სამ ტურში ყველა მატჩი უნდა წაეგო და სანტოსელებს ჩემპიონობის შანსი მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლეოდათ. სასწაული არ მოხდა, გულგატეხილი „სანტოსი" სტუმრად „გოიასთან" პირწმინდად დამარცხდა და პელეს ყოფილ გუნდს ვერცხლი შერჩა.

რადგან „კრუზეირო" ბრაზილიის თასის მფლობელიც გახლავთ, მეხუთე ადგილზე გასული გუნდიც ლიბერტადორესის თასზე ითამაშებს. „სანტოსმა" და „სან პაულუმ" ლიბერტადორესის თასზე მონაწილეობა უკვე დაიბევეს და დარჩენილ ორ ტურში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გასულნიც მათ შეუერთდებიან.

„ინტერნასიონალმა" „ფლამენგო" პირველივე ტაიმში მოაშთო, სამი ქულა მიითვალა და მეოთხეზე გადაინაცვლა. მასპინძლები დღეომ მეთვრამეტე წუთზე დააწინაურა, ჯეფერსონ ფეიჟაომ და დიეგო გავილანმა შესვენებამდე ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდეს.

ხუთეულში დასამკვიდრებლად „სან კაეტანოს" სტუმრად გამარჯვება მართებდა, მაგრამ ქულები „ფლუმინენსესაც" არანაკლებ სჭირდებოდა, რადგან რომარიოს გუნდი გასავარდნ ზონასთან ტრიალებს.

„ფლუს" მარსელომ მეორე ტაიმში გაიტანა, სტუმარმა ვარლეიმ გაათანაბრა, მაგრამ უბერებელმა რომარიომ პენალტი ზუსტად შეასრულა და გუნდი ცხრილის ფსკერს მოაშორა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 44 | 29 | 7 | 8 | 90:45 | 94 |
| სანტოსი | 44 | 25 | 10 | 9 | 90:57 | 85 |
| სან პაულუ | 44 | 22 | 11 | 11 | 79:63 | 77 |
| ინტერნასიონალი | 44 | 20 | 9 | 15 | 58:51 | 71 |
| სან კაეტანო | 44 | 18 | 14 | 12 | 47:35 | 71 |
| კურიტიბა | 44 | 20 | 9 | 15 | 63:56 | 69 |
| ატლ. მინეირო | 44 | 17 | 15 | 12 | 72:60 | 66 |
| გოიასი | 44 | 18 | 11 | 15 | 76:57 | 65 |
| ფლამენგო | 44 | 17 | 11 | 16 | 62:71 | 62 |
| პარანა | 44 | 17 | 10 | 17 | 82:74 | 61 |
| ატლ. პარანენსე | 44 | 17 | 8 | 19 | 63:68 | 59 |
| ფიგეირენსე | 44 | 15 | 14 | 15 | 57:54 | 59 |
| გუარანი | 44 | 16 | 10 | 18 | 62:59 | 58 |
| კორინთიანსი | 44 | 15 | 11 | 18 | 60:59 | 58 |
| კრისიუმა | 44 | 16 | 9 | 19 | 54:65 | 57 |
| ვიტორია | 44 | 15 | 11 | 18 | 50:61 | 56 |
| ვასკუ და გამა | 44 | 13 | 13 | 18 | 54:66 | 52 |
| ჟუვენტუდე | 44 | 11 | 14 | 19 | 53:68 | 50 |
| ფლუმინენსე | 44 | 12 | 11 | 21 | 49:72 | 49 |
| პაისანდუ | 44 | 15 | 11 | 18 | 71:73 | 48 |
| ფორტალეზა | 44 | 12 | 12 | 20 | 56:70 | 48 |
| გრემიო | 44 | 12 | 10 | 22 | 49:66 | 46 |
| ბაია | 44 | 12 | 10 | 22 | 37:82 | 46 |
| პონტე პრეტა | 44 | 10 | 17 | 17 | 60:72 | 46 |

*„სან კაეტანოს" და „ჟუვენტუდეს" დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს", „კორინთიანსს" და „ფლუმინენსეს" — 2-2; „პონტე პრეტას" დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს" — 8*



REUTERS ბელუ ორი ზონტეიდან

ვანდერლეი ლუშემბურგო

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. XIII ტური**

**აიაქსი 2:0 ფეიენოორდი**

1:0, 2:0 ვან დერ ვაარტი (4, 11)

**უტრეხტი 3:1 როდა**

1:0 ვანდენბროეკი (29ს.კ.), 2:0 დე გროოტი (60), 2:1 კრისტიანო (67), 3:1 ლეიტოე (77)

**ვალვაიკი 1:1 ალკმაარი**

1:0 ბულარუზი (51), 1:1 ხოსე როდრიგესი (90)

**ზვოლე 0:4 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 რ. შოლი (25ს.კ.), 0:2 ფოგელი (35), 0:3 იობო (48ს.კ.), 0:4 რობენი (63)

**დენ ჰააგი 1:1 ვიტესი**

1:0 პოფსტედე (29), 1:1 მბამბა (74)

**ტილბურგი 3:0 ნაიმეგენი**

1:0 დენებოომი (55), 2:0 კალუვე (67), 3:0 ვან დენ ეედე (90)

**ტვენტე 2:1 ბრედა**

1:0 კოლინზი (51), 1:1 სლოტი (69), 2:1 კრისტენსენი (88)

**გრონინგენი 2:0 როზენდალი**

1:0 სალმონი (47), 2:0 ვან გესელი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 13 | 11 | 1 | 1 | 38:14 | 34 |
| პსვ | 13 | 9 | 3 | 1 | 34:12 | 30 |
| ალკმაარი | 13 | 8 | 2 | 3 | 26:15 | 26 |
| ფეიენოორდი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:16 | 24 |
| ტილბურგი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:21 | 21 |
| როდა | 13 | 5 | 5 | 3 | 23:15 | 20 |
| ტვენტე | 13 | 6 | 1 | 6 | 25:24 | 19 |
| გრონინგენი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:20 | 19 |
| უტრეხტი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| როზენდალი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:14 | 17 |
| ჰერენვენი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:15 | 16 |
| ვალვაიკი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | 15 |
| ბრედა | 13 | 4 | 2 | 7 | 18:18 | 14 |
| ნაიმეგენი | 13 | 4 | 0 | 9 | 15:26 | 12 |
| ვოლენდამი | 12 | 2 | 4 | 6 | 15:28 | 10 |
| დენ ჰააგი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:28 | 10 |
| ვიტესი | 13 | 1 | 6 | 6 | 18:26 | 9 |
| ზვოლე | 13 | 1 | 3 | 9 | 6:25 | 6 |

**II დივიზიონი XVII ტური**

აპელდორნი — დორდრეხტი 0:0; კამბური — გრააფსხაპი 1:0; ექსელსიორი — სპარტა 1:0; ეინდჰოვენი — ჰაარლემი 2:3; ჰერაკლესი — სიტარდი 3:1; ტელსტარი — იგლსი 2:1; ოსი — ჰელმონდი 1:4; ვენლო — ემენი 2:4; ვეენდამი — მაასტრიხტი 2:2

### ბელგია

**იუპილერ ლიგა. XIV ტური**

**გენტი 3:0 ლუვიე**

1:0, 2:0 მრდაკოვიჩი (50, 62), 3:0 რიბუსი (81)

**ანდერლეხტი 2:1 ლიერსი**

1:0 იაშჩუკი (25), 1:1 მიტუ (27), 2:1 ზეტერბერგი (42)

**ანტვერპენი 0:3 ლოკერენი**

0:1 დე ბიული (14), 0:2 კრისტინსონი (44), 0:3 ბალდვინსონი (61)

**ბევერენი 3:1 გენკი**

0:1 კპაკა (45), 1:1 ბოკა (73), 2:1 იბუ (83), 3:1 ნე (88)

**შარლერუა 0:1 ბეერსხოტი**

0:1 ჰააგდორენი (50)

**ვესტერლო 0:1 მონსი**

0:1 ბანი (3)

**ჰეუსდენი 1:1 სტანდარდი**

1:0 იანსენი (74), 1:1 მუმლეკი (77)

**სენტ ტრუიდენი 0:0 სერკლ ბრიუგე**

**ბრიუგე 4:2 მუსკრონი**

0:1 ე. მპენზა (2), 1:1 ვან დერ ჰიდენი (23), 2:1 ლანგე (32), 3:1 კლემანი (36), 4:1 ლანგე (68), 4:2 პიერონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 14 | 12 | 1 | 1 | 37:11 | 37 |
| სტანდარდი | 14 | 9 | 2 | 3 | 28:11 | 29 |
| გენკი | 14 | 8 | 3 | 3 | 30:18 | 27 |
| ბრიუგე | 14 | 7 | 3 | 4 | 28:18 | 24 |
| მუსკრონი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:17 | 23 |
| სენტ ტრუიდენი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:20 | 20 |
| გენტი | 14 | 4 | 7 | 3 | 17:13 | 19 |
| ლუვიე | 14 | 4 | 7 | 3 | 20:17 | 19 |
| ბეერსხოტი | 14 | 5 | 4 | 5 | 12:14 | 19 |
| სერკლი | 14 | 4 | 7 | 3 | 11:14 | 19 |
| ვესტერლო | 14 | 5 | 4 | 5 | 17:22 | 19 |
| ლიერსი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:18 | 17 |
| ბევერენი | 14 | 5 | 0 | 9 | 16:27 | 15 |
| ლოკერენი | 14 | 3 | 3 | 8 | 17:25 | 12 |
| მონსი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:21 | 12 |
| ანტვერპენი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:29 | 12 |
| შარლერუა | 14 | 2 | 4 | 8 | 7:13 | 10 |
| ჰეუსდენი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:23 | 9 |

**II კლასი XV ტური**

დესელი — რონსი 3:1; ოსტენდე — დაინცე 6:0; ინგელმუნსტერი — ტინენი 0:2; ვირტონი — ტუბიცე 0:0; დენდერლეუ — ეუპენი 0:1; ვარეგემი — აალსტი 1:2; ჰამე — რუზელარე 3:1; ვიზეტი — გეელი 4:0; პატრო — ბრიუსელი 3:1

### შვეიცარია

**სუპერლიგა XVIII ტური**

**აარაუ 1:1 ვილი**

1:0 დე ფრეიტაში (45), 1:1 ფაბინიო (68)

**გრასჰოპერი 3:3 იანგ ბოიზი**

1:0 ედუარდო (4), 1:1 მანინი (35), 2:1 პეტრიჩი (37), 2:2 ლეანდრო (40), 3:2 განე (53), 3:3 გაეტანო (88)

**სერვეტი 1:0 ქსამაქსი**

1:0 ძამბრელა (46)

**სენტ გალენი 1:2 ბაზელი**

0:1 ტუმი (13), 1:1 მერენდა (47), 1:2 ჩიპერფილდი (60)

**თუნი 2:0 ციურიხი**

1:0, 2:0 ლუსტრინელი (22, 70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 18 | 17 | 1 | 0 | 56:16 | 52 |
| იანგ ბოისი | 18 | 12 | 2 | 4 | 39:25 | 38 |
| სერვეტი | 18 | 9 | 4 | 5 | 33:29 | 31 |
| აარაუ | 18 | 5 | 7 | 6 | 29:32 | 22 |
| თუნი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:32 | 21 |
| სენტ გალენი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:32 | 20 |
| გრასჰოპერი | 18 | 6 | 2 | 10 | 32:41 | 20 |
| ვილი | 18 | 4 | 5 | 9 | 23:35 | 17 |
| ქსამაქსი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:27 | 16 |
| ციურიხი | 18 | 4 | 2 | 12 | 25:31 | 14 |

**ჩელენჯლიგა. XVI ტური**

მეირინი — ბადენი 4:0; კრიენსი — შო დე ფონი 1:2; კონკორდია — ლუცერნი 0:0; შაფჰაუზენი — ანიო 2:1; დელემონი — ვადუცი 1:6; ბელინცონა — ვოლენი 1:4; კიასო — ივერდონი 3:2. ბულე — ვინტერტური გადაიდო

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**A ჯგუფი. I ტური**

საამიროები 1:4 სლოვაკეთი

პანამა 0:1 ბურკინა ფასო

**B ჯგუფი. I ტური**

არგენტინა 2:1 ესპანეთი

უზბეკეთი 2:3 მალი

**C ჯგუფი. I ტური**

ბრაზილია 2:0 კანადა

ჩეხეთი 1:1 ავსტრალია

**D ჯგუფი. I ტური**

კოლუმბია 0:0 ეგვიპტე

იაპონია 1:0 ინგლისი

**E ჯგუფი. I ტური**

საუდეთი 1:2 ირლანდია

მექსიკა 1:2 კოტ დივუარი

**F ჯგუფი. I ტური**

პარაგვაი 1:3 აშშ

კორეა 2:0 გერმანია

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XIX ტური.** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 014 | როტერჰემი-ქოვენტრი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 24.00 | 015 | სანდერლენდი-უიგანი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 016 | ნოტინგემი-იფსვიჩი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 036 | ნორთვიჩი-ბარტონი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 115 | ფფულენდორფი-ოფენბახი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 178 | სოსიედადი-ვალენსია | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 179 | ბეტისი-მურსია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 180 | ვილიარეალი-მალიორკა | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 181 | ესპანიოლი-ოსასუნა | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 182 | სელტა-ალბასეტე | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 183 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 23.00 | 184 | მალაგა-ბარსელონა | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 00.30 | 185 | რეალი-ატლეტიკო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 186 | რეალი-ატლეტიკო 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 187 | რასინგი-სევილია | 2,0 | 3,1 | 2,6 | 1,21 | 1,13 | 1,41 |
| 24.00 | 188 | სარაგოსა-ბილბაო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 218 | ოსერი-ლე მანი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 219 | ოსერი-ლე მანი 0:1 | 2,05 | 3,1 | 2,5 | | | |
| 22.00 | 220 | ბასტია-რენი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 22.00 | 221 | გენგამი-აიაჩო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 22.00 | 222 | ლილი-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 223 | მონპელიე-სოშო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.00 | 224 | ტულუზა-ლანსი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 24.00 | 225 | პსჟ-სტრასბური | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 240 | ლე ავრი-გენიონი | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 23.00 | 241 | ამიენი-რუანი | 1,55 | 3,1 | 7,5 | 1,03 | 1,28 | 2,19 |
| 23.00 | 242 | ბესანსონი-კანი | 3,2 | 2,6 | 2,4 | 1,43 | 1,37 | 1,24 |
| 23.00 | 243 | შატორუ-ისტრი | 2,9 | 2,6 | 2,6 | 1,37 | 1,37 | 1,3 |
| 23.00 | 244 | კრეტეი-ლავალი | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 23.00 | 245 | ნანსი-ანჟე | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 23.00 | 246 | სტ.ეტიენი-ნიორი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 23.00 | 247 | სედანი-კლერმონი | 1,85 | 2,6 | 5,0 | 1,08 | 1,35 | 1,71 |
| 23.00 | 248 | ვალანსი-გრენობლი | 1.65 | 2,8 | 7,0 | 1,03 | 1,33 | 2 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 249 | ლორიანი-ტრუა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1.07 | 1,31 | 1,83 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 349 | ბულე-ვინტერთური | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 350 | სიონი-ვადუცი | 2.15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 481 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 23.45 | 482 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 483 | ასტონ ვილა-კრისტალ პალასი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 23.45 | 484 | ტოტენჰემი-სიტი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 24.00 | 485 | ლივერპული-ბოლტონი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 24.00 | 486 | მიდლსბრო-ევერტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 24.00 | 487 | რედინგი-ჩელსი | 6,0 | 3,6 | 1,5 | 2,25 | 1,2 | 1,05 |
| 24.00 | 488 | უესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 3,8 | 3,4 | 1,75 | 1,79 | 1,19 | 1,15 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. III ეტაპი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 490 | აბერდინი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 491 | დანდი-პარტიკი | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 23.45 | 492 | რეინჯერსი-სტ.ჯონსტონი | 1,1 | 6,0 | 17,0 | 1 | 1,03 | 4,43 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 493 | ჰარტსი-სელტიკი | 12,5 | 6,5 | 1,12 | 4,27 | 1,02 | 1 |
| | | **გერმანია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 495 | რეგენსბურგი-დუისბურგი | 2.35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 22.00 | 496 | ბრაუნშვაიგი-ალემანია | 2.9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 22.00 | 497 | ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 7,5 | 4,2 | 1,35 | 2,69 | 1,14 | 1,02 |
| 23.30 | 498 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 499 | კიოლნი-ფიურტი | 1,65 | 3,4 | 4.8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 22.00 | 500 | ლიუბეკი-ფრაიბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 501 | ვერდერი-ჰერტა | 1.6 | 3,4 | 5,3 | 1.08 | 1,22 | 2,07 |
| 23.30 | 502 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 4.2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **იტალია. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 504 | ბოლონია-უდინეზე | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| 19.00 | 505 | ვენეცია-პარმა | 3,4 | 2,9 | 2,15 | 1,56 | 1,31 | 1,23 |
| 21.00 | 506 | მოდენა-ლაციო | 2.6 | 3.0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 00.10 | 507 | სამპდორია-მილანი | 3,4 | 2,9 | 2.15 | 1,56 | 1,31 | 1.23 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 508 | კიევო-პერუჯა | 1.7 | 3,1 | 5,0 | 1.09 | 1.26 | 1,91 |
| 21.00 | 509 | რომა-პალერმო | 1,3 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,76 |
| 24.00 | 510 | ინტერი-რეჯინა | 1,3 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,76 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 519 | გალათასარაი-იუვენტუსი | 2.8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მჩ (20 წლამდე). საამიროები** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.45 | 524 | ინგლისი(20)-ეგვიპტე(20) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 17.45 | 525 | კოტ დივუარი(20)-ირლანდია(20) | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 17.45 | 526 | გერმანია(20)-აშშ(20) | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 20.30 | 527 | ს.კორეა(20)-პარაგვაი(20) | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 20.30 | 528 | მექსიკა(20)-ს.არაბეთი(20) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 20.30 | 529 | იაპონია(20)-კოლუმბია(20) | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1020 | ზლინი-სლავია | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1021 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 20.30 | 1022 | კლადნო-პარდუბიცე | 2,8 | 4,2 | 1,85 | 1,68 | 1,11 | 1,28 |
| 20.30 | 1023 | ზნოიმო-ლიბერეცი | 1,5 | 4,6 | 4,0 | 1,13 | 1,09 | 2,13 |
| 20.30 | 1024 | პლზენი-ბუდეიოვიცე | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 20.30 | 1025 | კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 21.30 | 1026 | სპარტა-ვსეტინი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1044 | სლოვანი-მარტინი | 1,15 | 5,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,45 |
| 20.00 | 1045 | სკალიცა-ჟილინა | 1,95 | 4,0 | 2,6 | 1,31 | 1,11 | 1,57 |
| 20.00 | 1046 | მიკულაში-ზვოლენი | 2,4 | 4,0 | 2,1 | 1,5 | 1,12 | 1,37 |
| 20.00 | 1047 | ტრენჩინი-პოპრადი | 1,1 | 6,5 | 9,0 | 1 | 1 | 3,77 |
| 20.00 | 1048 | კოშიცე-ნიტრა | 1,15 | 5,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,45 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1062 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1078 | ამბრი-ცუგი | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| 22.30 | 1079 | ბაზელი-კლოტენი | 3,3 | 4,6 | 1,65 | 1,92 | 1,1 | 1,21 |
| 22.30 | 1080 | დავოსი-ფრიბურგი | 1,5 | 5,0 | 3,8 | 1,15 | 1,07 | 2,15 |
| 22.30 | 1081 | ლოზანა-ბერნი | 2,6 | 4,4 | 1,9 | 1,63 | 1,09 | 1,32 |
| 22.30 | 1082 | ციურიხი-ლუგანო | 2,05 | 4,4 | 2,4 | 1,39 | 1,1 | 1,55 |
| 22.30 | 1083 | რაპერსვილი-სერვეტი | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1099 | მოდო-ბრიუნესი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.00 | 1100 | ტიმრა-ლულეო | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.00 | 1101 | ფროლუნდა-ლინშიოპინგი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 22.00 | 1102 | მალმიო-ჰვ 71 | 2,4 | 4,6 | 2,0 | 1,57 | 1,09 | 1,39 |
| 22.00 | 1103 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| 22.00 | 1104 | ლეკსანდი-ფერიესტადი | 3,0 | 4,4 | 1,75 | 1,78 | 1,1 | 1,25 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1120 | ჰელსინკი-კერპეტი | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| 20.30 | 1121 | ილვესი-იოკერიტი | 2,15 | 4,6 | 2,25 | 1,46 | 1,09 | 1,51 |
| 20.30 | 1122 | საიპა-ტაპარა | 2,2 | 4,4 | 2,25 | 1,46 | 1,11 | 1,48 |
| 20.30 | 1123 | ტურკუ-ჰამეენლინა | 1,95 | 4,6 | 2,45 | 1,36 | 1,08 | 1,59 |
| 20.30 | 1124 | ესეტი-ესპოო | 1,9 | 4,6 | 2,5 | 1,34 | 1,07 | 1,61 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1140 | აილენდერსი-ვაშინგტონი | 1,9 | 3,5 | 3,1 | 1,23 | 1,17 | 1,64 |
| 04.00 | 1141 | კოლამბუსი-ანაჰაიმი | 2,3 | 3,5 | 2,4 | 1,38 | 1,17 | 1,42 |
| 04.30 | 1142 | მონრეალი-ტამპა ბეი | 2,25 | 3,6 | 2,4 | 1,38 | 1,16 | 1,44 |
| 04.30 | 1143 | ნიუ ჯერსი-ფინიქსი | 1,6 | 4,0 | 4,0 | 1,14 | 1,14 | 2 |
| 04.30 | 1144 | ტორონტო-რეინჯერსი | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 05.00 | 1145 | სტ.ლუისი-ლოს ანჯელესი | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 06.00 | 1146 | კალგარი-სან ხოსე | 2,25 | 3,5 | 2,45 | 1,36 | 1,17 | 1,44 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5301 | გალათასარაი-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5302 | სოსიედადი-ვალენსია | 1,6 | 2,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | |
| 23.00 | 5303 | ბეტისი-მურსია | 1,65 | 1,95 |
| 23.00 | 5304 | ვილიარეალი-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 23.00 | 5305 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 23.00 | 5306 | სელტა-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 23.00 | 5307 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 1,6 | 2,0 |
| 23.00 | 5308 | მალაგა-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5309 | რეალი-ატლეტიკო | 1,6 | 2,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5310 | რასინგი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 5311 | სარაგოსა-ბილბაო | 1,65 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1252 | ორლანდო-ნიუ ორლეანი | 2,2 | 10,0 | 1,45 | 1.8 | 1 | 1,26 |
| 04.00 | 1253 | ფილადელფია-ტორონტო | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1.11 | 1 | 2,36 |
| 04.30 | 1254 | ატლანტა-მილუოკი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1.41 | 1 | 1.63 |
| 05.30 | 1255 | დალასი-ვაშინგტონი | 1,12 | 10.0 | 4.4 | 1 | 1 | 3.05 |
| 06.00 | 1256 | დენვერი-კლივლენდი | 1,17 | 10.0 | 3,6 | 1.04 | 1 | 2.64 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 5001 | გალათასარაი-იუვენტუსი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 00.30 | 5002 | სოსიედადი-ვალენსია | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1.27 | 1.56 | 1.2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 5003 | ბეტისი-მურსია | 2,0 | 2,2 | 5.6 | 1.04 | 1,47 | 1,57 |
| 23.00 | 5004 | ვილიარეალი-მალიორკა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1.53 | 1.42 |
| 23.00 | 5005 | ესპანიოლი-ოსასუნა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1.21 | 1.57 | 1.26 |
| 23.00 | 5006 | სელტა-ალბასეტე | 1,95 | 2,25 | 5.6 | 1,04 | 1.44 | 1.6 |
| 23.00 | 5007 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1.55 | 1,18 |
| 23.00 | 5008 | მალაგა-ბარსელონა | 3,5 | 2,05 | 2.8 | 1.29 | 1,55 | 1,18 |
| 00.30 | 5009 | რეალი-ატლეტიკო | 1,75 | 2.5 | 5,6 | 1,02 | 1.33 | 1.72 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 5010 | რასინგი-სევილია | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1.11 | 1.54 | 1.37 |
| 24.00 | 5011 | სარაგოსა-ბილბაო | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5201 | გალათასარაი-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 5202 | სოსიედადი-ვალენსია | 1.8 | 1.8 |
| | | **3 დეკემბერი** | | |
| 23.00 | 5203 | ბეტისი-მურსია | 1,85 | 1,75 |
| 23.00 | 5204 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.8 | 1,8 |
| 23.00 | 5205 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,75 | 1.85 |
| 23.00 | 5206 | სელტა-ალბასეტე | 1.9 | 1,7 |
| 23.00 | 5207 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 1,8 | 1.8 |
| 23.00 | 5208 | მალაგა-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 5209 | რეალი-ატლეტიკო | 2.2 | 1,5 |
| | | **4 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5210 | რასინგი-სევილია | 1,85 | 1,75 |
| 24.00 | 5211 | სარაგოსა-ბილბაო | 1.8 | 1.8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 5501 | გალათასარაი-იუვენტუსი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 00.30 | 5502 | სოსიედადი-ვალენსია | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 5503 | ბეტისი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 5504 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.00 | 5505 | ესპანიოლი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 5506 | სელტა-ალბასეტე | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.00 | 5507 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.00 | 5508 | მალაგა-ბარსელონა | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 00.30 | 5509 | რეალი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 5510 | რასინგი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5511 | სარაგოსა-ბილბაო | 3,0 | 2.8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5401 | გალათასარაი-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 00.30 | 5402 | სოსიედადი-ვალენსია | 1,95 | 1,85 |
| | | **3 დეკემბერი** | | |
| 23.00 | 5403 | ბეტისი-მურსია | 1,4 | 3,0 |
| 23.00 | 5404 | ვილიარეალი-მალიორკა | 1,7 | 2,2 |
| 23.00 | 5405 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,85 | 1,95 |
| 23.00 | 5406 | სელტა-ალბასეტე | 1,4 | 3.0 |
| 23.00 | 5407 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 23.00 | 5408 | მალაგა-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |
| 00.30 | 5409 | რეალი-ატლეტიკო | 1,25 | 3,7 |
| | | **4 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5410 | რასინგი-სევილია | 1,7 | 2,2 |
| 24.00 | 5411 | სარაგოსა-ბილბაო | 1,8 | 2.0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

02.12 00.30 5604 ესპანეთი Iდ (XIV) ........................ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5101 | გალათასარაი-იუვენტ. | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 00.30 | 5102 | სოსიედადი-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.00 | 5103 | ბეტისი-მურსია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 5104 | ვილიარეალი-მალიორკა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.00 | 5105 | ესპანიოლი-ოსასუნა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.00 | 5106 | სელტა-ალბასეტე | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 5107 | ვალიადოლ.-დეპორტივო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.00 | 5108 | მალაგა-ბარსელონა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 00.30 | 5109 | რეალი-ატლეტიკო | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5110 | რასინგი-სევილია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 24.00 | 5111 | სარაგოსა-ბილბაო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

# საქართველოს ჩემპიონატი

29 ნოემბერი. ვერის ბაღი

**დინამო 89:92 სტუ**

25:16, 20:24, 27:25, 17:27

დინამო: ტულუში (8), ხოშტარია (18), ბეჟანიშვილი (18), მინაშვილი (23), მუშკუდიანი (10); ქლენტი (9), ლოსაბერიძე (3), ჩუბინიძე

სტუ: ნიკოლაძე (7), ხეცურიანი (12), მარკოიშვილი (11), ბაბიაშვილი (26), ოგანესიანი (17); დავითულიანი (11), ახალკაცი (7), მიქაძე (1), ლ. შანიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**მაკაბი 95:76 ქუთაისი**

25:33, 27:18, 17:12, 26:13

მაკაბი: ნინოშვილი (15), წოწელია (20), ოთიურიძე (3), ვაშაკიძე (12), სუხიშვილი (37); კონჯარია (8)

ქუთაისი: აკოლაშვილი (11), ცერცვაძე (4), კოლუაშვილი (5), შავლაყაძე (12), ნ. შანიძე (15); პირტახია (14), ბადრიძე (13), მამისეიშვილი (2)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

29 ნოემბერი. რუსთავი

**რუსთავი 85:75 თსუ**

22:15, 24:30, 13:17, 26:13

რუსთავი: არწივიძე (6), გოგობერიშვილი (19), ჩხეიძე (4), დანელიანი (10), ჯაფარიძე (17); ბერუაშვილი (13), აბრამიძე (9), ჩაჩუა (5), გაბისონია (2),

თსუ: თორთლაძე (16), მაისურაძე (13), ნაცვლიშვილი (5), კილაძე (7), შენგელია (8); ორმოცაძე (19), კოკოლიშვილი (7), ვეფხვაძე, მარხვაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

## დინამოს ტექნიკური წუნი მოუვიდა, ისევ

„დინამო"—„სტუ-ჯეოსელის" ბოლო წამებმა ეს ამბავი გაგვახსენა: შარშანწინ ირაკლი ხოშტარია ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში რომ თამაშობდა. ნახევარფინალური სერიის ერთ-ერთ მატჩში უკანასკნელ წამებზე ნასროლი სამქულიანებით თამაში ორჯერ გადაიყვანა ოვერტაიმში. „ხოშტარას" შაბათსაც იგივე შანსი ებოძა, მაგრამ დღეს უკვე „დინამოში" მოთამაშემ დამატებითი დროის მონადირება ველარ მოახერხა და... ჩემპიონი დამარცხდა.

წაგებაცაა და წაგებაც. როცა ჩემპიონი ხარ, ეროვნული ნაკრების თავკაცი გწვრთნის და უკანასკნელ მეოთხედში 13 ქულით იგებ, მარცხი უფრო დაგაფიქრებს, ვიდრე დაგანაღვლიანებს. თან ეს მაშინ, როცა წინა მატჩშიც ლამის იგივე დაგემართა — სტუ-მდე „დინამო" „რუსთავს" ეთამაშა და ბოლო მეოთხედში 18-ქულიანი უპირატესობის მიუხედავად, წაგებას ძლივს გადაურჩა.

„დინამოში" თითქოს იგივე ტენდენცია წავიდა, რაც იქ ლევან მოსეშვილის დროს იყო. გუნდი მთელი თამაში დამაჯერებლად იგებს, გამარჯვებაც თითქოს ჯიბეში აქვს და საბოლოოდ მშრალზე რჩება. ქულების გროვება კარგია, მაგრამ მწვრთნელმა შეგირდებს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაც უნდა ასწავლოს. 13-ქულიან ლიდერობას თავი დავანებოთ და საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე, ბრაიკოვიჩის გუნდი 85:76 იგებდა, მაგრამ ისე მოვიდა ბოლო წუთი, დინამოელებმა ტექნიკოსთა 15 ქულას ერთითაც ვერ უპასუხეს.

ბოლო 4 წუთის განმავლობაში „სტუ-ჯეოსელი" ერთი და იგივე კომბინაციას ათამაშებდა და სულ წარმატებით. უფრო სწორედ, ზვიად ბაბიაშვილმა გამოიდო თავი, რომელსაც დინამოელებმა ვერაფერი მოუხერხეს. ორჯერ ორივით იყო, რომ თუ ბაბიაშვილს შეაჩერებდნენ, დინამოელები უეჭველად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ხორვატმა თავკაცმა ბოლო ოთხ წუთში კაცი ვერ იპოვა, ვინც სტუ-ს თავდამსხმელს რამეს მოუხერხებდა.

არადა, ბაბიაშვილი პირველ მეოთხედში აჩრდილივით იყო. დინამოელებმა ზვიადი ისე შებოჭეს, სამწამიანში უბურთოდაც არ უშვებდნენ. სამაგიეროდ, მძლავრობდა ჩემპიონთა მეფარე ვახტანგ მინაშვილი, რომელსაც ფარქვეშეთი დავით მუშკუდიანისთვის დაეთმო, თავად გარე-გარე დადიოდა და სამქულიანებსაც ბლომად ყრიდა.

საერთოდ, „დინამო" უფრო შორ სროლებს ეტანებოდა, ვლადიმერ ბეჟანიშვილს მიზანი თითქმის არ ღალატობდა და პირველი მეოთხედის ბოლოს ჩემპიონები უკვე 9 ქულას იგებდნენ.

სტუ-სთვის ერთადერთი საიმედო ალაგი ფარქვეშეთი იყო. არმენ ოგანესიანი ყოფილ თანაგუნდელებს პოზიციურად ჯაბნიდა და თუ ხშირად ვერ აგდებდა, მხოლოდ საკუთარი მრუდე სროლის გამო. ოგანესიანის დინამოელობა გავიხსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ ბრაიკოვიჩის გუნდში ხუთი ექსტექნიკოსი — ტულუში, ხოშტარია, ლოსაბერიძე, მინაშვილი და მუშკუდიანი თამაშობდა.

„დინამოს" რომ წლეულს ცენტრის პოზიციაზე უჭირს, ცნობილი ამბავია. ეს, ცხადია, სტუდენტებმაც უწყოდნენ, მაგრამ ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდები რატომღაც არ იყენებდნენ შიდა სივრცეებს. შიო ხეცურიანმა ერთი-ორჯერ კი ჩააგდო სამქულიანი, მაგრამ საერთო ჯამში ტექნიკოსებს ეს საქმე არ გამოსდიოდათ და ბოლო მეოთხედში მთელი გულისყური ფარქვეშეთზე გადაიტანეს.

უკანასკნელი ათწუთეული „დინამოს" 7-ქულიანი უპირატესობით განახლდა და სამიოდ წუთში ვაკო ბეჟანიშვილის სამქულიანის შემდეგ ჩემპიონი უკვე 82:69 იგებდა. ტექნიკოსებმა თავი ანებეს შორიდან სროლებს და ბურთს ფარქვეშ მდგომ ოგანესიანს უკიდებდნენ ხოლმე. სომეხ ლეგიონერს ხელი წააშველა ბაბიაშვილმაც, რომელმაც მალე საკუთარ თავზე აიღო თამაში და დინამოელებს პრობლემები მოუმრავლდათ.

ზემოთ ნახსენები ეპიზოდმაც მოატანა. 9-ქულიანი ჩამორჩენა ტექნიკოსებმა ოთხ წუთში 4-ქულიან ლიდერობად აქციეს და „დინამო" კედელთან მიაყენეს... სირენამდე 20 წამით ადრე მინაშვილმა ორამდე შეამცირა ანგარიში, მაგრამ იმავ ბაბიაშვილის საჯარიმოებით 4-ქულიანი სტატუს-კვო აღდგა. აქ კი ის ეპიზოდი დადგა, რითაც დავიწყეთ: დასრულებამდე 7 წამით ადრე ირაკლი ხოშტარიამ პირველი საჯარიმო ზუსტად ესროლა, მეორე კი განზრახ ააცილა თავისიანთა ფარზე ყოჩაღობის იმედით. „ხოშტარას" გაუმართლა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ორომტრიალში ტექნიკოსთაგან აუტში გადავიდა.

დინამოელებმა ბურთი ანაზდეულად შემოიტანეს და ხოშტარიას გათანაბრების ჩინებული შანსი მიეცა უკანასკნელ წამებზე, მაგრამ სრულ მარტოობაში მყოფმა ძველი გმირობა ვერ გაიმეორა.

**ირაკლი პერტაია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუ-ელმა ზვიად ბაბიაშვილმა თავის ყოფილ გუნდ „დინამოს" ბოლო წუთებზე წაართვა გამარჯვება

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 9 | 2 | +215 | 20 |
| თსუ | 11 | 8 | 3 | +97 | 19 |
| ბასკო | 10 | 8 | 2 | +238 | 18 |
| სტუ | 10 | 7 | 3 | +163 | 17 |
| რუსთავი | 11 | 6 | 5 | +25 | 17 |
| მაკაბი | 10 | 4 | 6 | -46 | 14 |
| სსუ | 12 | 2 | 10 | -270 | 14 |
| ქუთაისი | 13 | 0 | 13 | -422 | 13 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 28 ნოემბერი —

**ორლანდო 86:87 ტორონტო**

*ფაჩულია (7 წუთი, 2 მოხსნა)*

**დენვერი 113:103 დალასი**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**პორტლენდი 97:93 ნიუ ჯერსი**

*სტეფანია (5 წუთი, 3 მოხსნა, 1 პასი)*

**ბოსტონი 106:96 მილუოკი**

**ინდიანა 90:77 ფილადელფია**

**ფინიქსი 83:92 გოლდენ სტეიტი**

**ატლანტა 95:83 მაიამი**

**დეტროიტი 92:88 კლივლენდი**

**მემფისი 98:102 მინესოტა**

**იუტა 98:81 სიეტლი**

**საკრამენტო 103:74 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი 103:87 სან ანტონიო**

— 29 ნოემბერი —

**კლიპერსი 86:98 დენვერი**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ნიუ იორკი 79:74 ნიუ ორლეანი**

**ვაშინგტონი 69:80 დეტროიტი**

**კლივლენდი 115:122 მემფისი**

ძირითადი დრო 99:99

**მილუოკი 100:92 ბოსტონი**

**ფილადელფია 98:86 ატლანტა**

**მაიამი 78:66 ტორონტო**

**დალასი 92:88 მინესოტა**

**სიეტლი 95:88 ჰიუსტონი**

**გოლდენ სტეიტი 91:89 სან ანტონიო**

— 30 ნოემბერი —

**საკრამენტო 105:92 ნიუ ჯერსი**

**ლეიკერსი 99:77 ინდიანა**

## ნათესაობაც არ გადის

### ორლანდო შინაურის ახლობელმა დაღუპა

ყოველ ახალ თამაშს ახალი სიმწარე მოაქვს „ორლანდოსთვის", ყოველი ახალ შემხვედრს მუშტი მოულერებია მისთვის. სხნაც არსაიდან ჩანს. მონუსხული „ჯადოები" კრიტიკულ ზღვარს ზედიზედ 17 მარცხს — რაც მათი პირადი ანტირეკორდია — უახლოვდებიან. ამ პარასკევს არცთუ უძლეველ „ტორონტოსთან" ზედიზედ მე-15 წაგებას გამოჰკრეს ხელი.

ამ თამაშისთვის „მეჯიქს" სიცხემოხდილი ტრეისი მაგრეიდი დაუბრუნდა და როგორც უმრავლეს შემთხვევაში, მეტოქეს ახლაც ქულების სიტყვა დააყარა — 31 ქულა ჩააგდო, მაგრამ წავიდა, ახლა ის ცხოვრება აღარ არის, როცა მაკგრეიდი მარტო იგებდა თამაშებს.

თავად მატჩი კი საინტერესო გამოვიდა, მაკგრეიდიმ და მისმა ტორონტოელმა ბიძაშვილმა თუ დეიდაშვილმა ვინს კარტერმა ჯერ ხელი ზანგურად ჩამოართვეს და მერე თამაშში სისხლი გაუშრეს ერთმანეთს. უმეტესად მაკგრეიდი მძლავრობდა და თამამად ვიტყვით, აჯობა კიდეც კარტერს (20 ქულა), მაგრამ...

მატჩის დამთავრებამდე 25 წამი რჩებოდა, როცა მაკგრეიდიმ ხუთიოდ მეტრიდან 84:83 დააწინაურა თავისიანები. დრო „ორლანდოს" სულ უფრო აახლოებდა სანუკვარ გამარჯვებასთან, მაგრამ ყველაფერი ვინს კარტერმა ჩაუშხამა. ახლა მან ჩაუგდო ოპონენტ ბიძაშვილს და „ტორონტოს" ლიდერობა დაუბრუნა. ორლანდოელებმა ველარაფერი შეძლეს, ტაირონ ლუმ ორიანი ააცილა და მისმა გუნდმა პასუხად საკუთარ კალათში ელვინ უილიამსის ორი საჯარიმო მიიღო. ორლანდოელი გორდან გირიჩეკის ასევე წყვილმა საჯარიმომ ველარაფერი შეცვალა.

ორთამაშიანი ჯდომის შემდეგ ზაზა ფაჩულია, როგორც იქნა, წამოდგაა სათადარიგოთა სკამიდან, ხუთი წუთი ითამაშა და 0 ქულა და 2 მოხსნა გამოიმუშავა. არაქართული გამოდგა მთელი ეს უქმეები. ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა" ორი მატჩი მოიგო და ორივე უცქიტიშვილოდ. რატომ არ ითამაშა ნიკამ, ვერ მოგახსენებთ, იქნებ ტრავმა გაიმიზეზა, იქნებ ჯეფ ბზდელიკმა არ თამაშა. რაც შეეხება ვოვა სტეფანიას, მან „ნიუ ჯერსისთან", თავის ყოფილ გუნდთან ხუთ წუთში 3 მოხსნა და ერთიც პასი „მოიხვეჭა", მისმა „პორტლენდმა" კი დაძაბულ ბრძოლაში აართვა გამარჯვება ვიცე-ჩემპიონს.

ამ უქმეების სხვა თამაშებიდან უთუოდ აღსანიშნავია ამ კვირადღის დიდი კონფერენციათშორისი ჯახი აღმოსავლეთში გაყოჩებულ „ინდიანასა" და სრულიად დასავლეთის მპყრობელ „ლეიკერსს" შორის. სწორედაც რომ აღსანიშნავია და არა აღსაწერი, რამეთუ „ლეიკერსმა" ყველას დაანახვა — who is who, აიღო და ერთი მაგრად მოუგო აღმოსავლეთის მედროვე ლიდერს.

ხოლო სხვა თამაშში ფილადელფიელმა მექულეთ მექულემ ალენ აივერსონმა ბოლომდე ვერ წამოჩიტულ „ატლანტას" 50 ქულა ატაკა და ამ სეზონის რეკორდი იპყრო ხელთ.

**კოტე ყორშია**



ტრეისი მაკგრეიდიმ კი აჯობა ტორონტოელ ბიძაშვილს ვინს კარტერს, მაგრამ რა...

## დევისის თასი. ფინალი მელბურნი

# აქვს მკერდს მიდებული თასი როგორც უნდა ფილიპუსისი გაიჭიმა და მისწვდა

**ავსტრალია 3:1 ესპანეთი**

შაბათი. 29 ნოემბერი

უეინ ართურსი, ტოდ ვუდბრიჯი — ალექს კორეჩა, ფელისიანო ლოპესი 6:3, 6:1, 6:3

კვირა. 30 ნოემბერი

მარკ ფილიპუსისი — ხუან კარლოს ფერერო 7:5, 6:3, 1:6, 2:6, 6:0


REUTERS მელბურნიდან

მარკ ფილიპუსისი

დევისფინალი საბოლოოდ ავსტრალიელთა გამარჯვებით რომ უნდა მომთავრებულიყო, ეჭვი მაინცდამაინც ბევრს არ ეპარებოდა. ცხადია, რატომაც.

ჯერ ერთი, ამბავს მელბურნი მასპინძლობდა, მეორეცაა და გუნდები ერთმანეთს თუმც ოდნავ გაქუცულ, მაგრამ მაინც ბალახზე უნდა შეხვდნენ, რაც ჯიშად მეთიხნარე ესპანელთათვის მთლად სახეირო არ უნდა ყოფილიყო.

ამ ყველაფერმა საბოლოო ჯამში გაჭრა კიდეც, თუმც კარლოს მოიას ბრწყინვალე საპირველდღეო გარჯის წყალობით ესპანელები შაბათს მაინც მასპინძელთა თანაბრად, 1:1-ზე შეხვდნენ.

შაბათს წყვილებს უნდა ერკინათ და ყველაზე მეტი დარწმუნებით საქმეში ჩახედულნი სწორედ ამ რკენის შედეგს წინასწარმეტყველებდნენ. მათ არც გაემტყუნებოდათ, რაკილა ყველა დროის ერთ უჩაუქეს მეწყვილე ტოდ ვუდბრიჯსა და უეინ ართურსს შებერებული ალექს კორეჩა და გამოუცდელი ფელისიანო ლოპესი ბალახზე უთუმცაოდ უნდა გაეიმასქნებინათ.

ჰოდა — გააიმასქნეს კიდეც. მატჩის ბედი სამ სეტშივე გაირკვა.

ყველაფერი კი კვირას გადაწყდა. პირველ დღეს მოიასგან ძლეულმა მარკ ფილიპუსისმა ხუან კარლოს ფერეროს სტაბილურ ჩოგნაობასაც გაუძლო, დაჭიმული მკერდის ტკივილიც კაცურად აიტანა და სამშობლოს 28-ე დევისთასიც მოანაგვერინა.

ეს მართლაც საარაკო რამ იყო.

მატჩის საწყისი სეტები უზორბესი მოწოდების გამო სკადად წოდებულმა ოზმა ალმაფრენით და სრულყოფილად ჩაითამაშა. მისი ეისების, ფრენდარტყმების და მძლავრი ნაუკანახზევი გლაჯუნის წინააღმდეგ ფერერომ ვერაფერი მოიძია.

მაგრამ მესამე სეტში ყველაფერი შეიცვალა. თავადაც ფეხის ტრავმით მოპაექრე ესპანელი — განწირულებისა იყო თუ კიდევ სხვა რამის გამო — საუცხოოდ აბურთავდა, მეტოქეს სადავეები წაჰგვარა და იმდენი ქნა, სანამ მატჩი გადამწყვეტ სეტამდე არ მიაყვანინა.

ამ დროისათვის დაჭიმულმა მკერდმა ფილიპუსისი უკვე იმდენად შეაწუხა, რომ კორტზე მზელავის გამოძახებაც გახდა საჭირო. მაშინ ალბათ უკვე აღარავის სჯეროდა, რომ სკადი დიდებულად ათამაშებული მეტოქის ძლევას შეძლებდა.

ოზთა კაპიტანმა ჯონ ფიცჯერალდმა სწორედ იმ მომენტში უთხრა ლეიტონ ჰიუიტს, კარლოს მოიასთან გასამართი გადამწყვეტი მატჩისთვის მზადება დაეწყო.


REUTERS მელბურნიდან

ჩემპიონი ოზები ტოდ ვუდბრიჯი, უეინ ართურსი, ჯონ ფიცჯერალდი (კაპიტანი), მარკ ფილიპუსისი და ლეიტონ ჰიუიტი

და სწორედ ამის გამო იყო, ჰიუიტმა ფილიპუსისის მიერ მშრალად მოგებული მეხუთე სეტი რომ ვერ იხილა...

მოგვიანებით ფიცჯერალდი იტყვის, რომ სკადის იმდღევანდელი თამაში სამუდამოდ შევა საჩოგბურთო ანალებში.

ჰო, ეს მართლაც გამორჩეული, ჭეშმარიტი დევისშეხლა გახლდათ, რასაც მასპინძელთათვის კიდევ უფრო დიდი ფასი იმის გამოც დაედო, რომ მშობლიურ ნიადაგზე ეს თასი მათ 1986 წლიდან აღარ მოერეწათ.

ამ 17 წლის განმავლობაში ოზებმა დევისტურნირი მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს ნიცაში ფრანგთა ძლევით მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ დევისთასის მფლობელთა ჩამონათვალში ოზები მხოლოდ მეორე ადგილზე დგანან — ტურნირი მათზე სამით მეტგზის ამერიკელებს მოუგიათ. ცხრა-ცხრა დევისჯილდო დაეკვეხებათ ბრიტანელებსა და ფრანგებს, შვედები შვიდგზის გამარჯვებულები არიან, გერმანელებს სამჯერ უმარჯვიათ, სიას კი თასის თითოთითოჯერ მომგებნი — ჩეხოსლოვაკია, იტალია, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა და ესპანეთი ასრულებენ.

**ლევან ძილაურაძე**



ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგა ახალ სეზონს განახლებულ-გაფართოებული ფორმატით შეხვდა. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის მიზნით უცვლელად გადმოიღო საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის 32-გუნდიანი ვარიანტი

# ხელბურთელებს ლიგა გაუდიდეს

**აქამდე** ყოველ ქვეყანას მხოლოდ თითო წარმომადგენელი ჰყავდა და ჯგუფურ ტურნირშიც სულ 16 კლუბი გამოდიოდა. ახალი სისტემით ზოგს ორ-ორი (საფრანგეთი, უნგრეთი, დანია, ხორვატია, სლოვენია), ხოლო რეიტინგით ყველაზე მაღლა მდგომებს — გერმანიას და ესპანეთს სამ-სამი გუნდის გამოყვანის უფლება მიეცათ. ერთი სიტყვით, ლიგა ორმაგად გაიბერა, თუმც გათამაშების სქემა უცვლელი დარჩა — თავიდან ორწრიანი ტურნირი რვა ოთხგუნდა ჯგუფში, რის შემდეგაც ორ-ორი საუკეთესო პლეი ოფის წესით გააგრძელებს ბრძოლას თასისთვის.

კვირას დასრულებული ჯგუფური ეტაპი ფავორიტებმა დამაჯერებლად გაწვლეს და თითქმის ყველამ ვადამდე გაინაღდა მერვედფინალის საგზური. მხოლოდ ხორვატიამ დაკარგა ერთი წარმომადგენელი — მეორე ნომრად განთესილ „მეტკოვიჩ-ჯამბოს“ შვეიცარიის „ვინტერტურმა“ გადაუღობა გზა. რანგით სხვა დაბლა მდგომებმა ბობოლებს ვერაფერი დააკლეს. ექვსმატჩა ტურნირის უდანაკარგოდ გავლა მხოლოდ საფრანგეთის „შამბერმა“ და უნგრეთის „ფოტექსმა“ შეძლეს, ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონი „მონპელიე“ და ევროპის საკლუბო ჩემპიონი „ბარსელონა“ თითოჯერ დამარცხდნენ. ყველაზე შედეგიანი პოლონეთის ჩემპიონ „ვივეს“ ფორვარდი კაროლ ბიელეცკი იყო, რომელმაც ექვს თამაშში 62 გოლი გაიტანა.

**გია ახალაძე**

**მერვედფინალი**

სიუდად რეალი (ესპანეთი) — შამბერი (საფრანგეთი)

ადემარ ლეონი (ესპანეთი) — პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)

ბარსელონა (ესპანეთი) — ფოტექსი (უნგრეთი)

ფლენსბურგი (გერმანია) — კოლდინგი (დანია)

სკიერნ ჰანდბალი (დანია) — მაგდებურგი (გერმანია)

ლიუბლიანა (სლოვენია) — ლემგო (გერმანია)

პიკ სეგედი (უნგრეთი) — მონპელიე (საფრანგეთი)

ვინტერტური (შვეიცარია) — ზაგრები (ხორვატია)

*შეხვედრები 14 და 21 დეკემბერს გაიმართება*

*დღეს ხორვატიაში ქალთა მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის ფინალური ტურნირი იწყება 24 ნაკრების მონაწილეობით*

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!**

2003 წლის 2 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

*დასაწყისი 16 საათზე*

სსჟა-ს აღმასკომი




REUTERS მელბურნიდან

ლეიზელ ჯონსმა 25-მეტრიანი აუზების ორი რეკორდი განაახლა

# მოკლე წყლის დედოფალი

**მსოფლიოს თასის** გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე მელბურნში ყველაზე უკეთ იასპარეზა ავსტრალიელმა ქალმა ლეიზელ ჯონსმა, რომელიც იქაურ პუბლიკას „მოკლე“ წყლის დედოფლად მოევლინა. მან ორი დღის განმავლობაში ორი მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. ჯონსმა ჯერ 100 მეტრიან დისტანციაზე აჩვენა ისტორიაში საუკეთესო შედეგი (1.5,09), რომლის მფლობელიც მანამდე შვედი ემე იგელსტრემი იყო (1.5,11), მერე კი 200 მეტრზე გააუმჯობესა ჩინელი ცი ხუის მსოფლიოს მიღწევა (2.18,80), რომელიც ჩინელმა შარშან დეკემბერში აჩვენა. ჯონსის შედეგია 2.17,75

ჯონსის გარდა აღსანიშნავია დაკაცებული ამერიკელი ბიჭუნას მაიკლ ფელპსის გამოსვლა, რომელმაც ასევე ორი გამარჯვება იზეიმა 200 მეტრზე გულაღმა (1.51,40) და ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში (1.54,85).



მაიკლ ფელპსი

## ძიუდო

# ბოლო სიტყვა მინისტრზეა

## ძიუდოისტები ნოღაიდელს მიადგებიან

**ევროპის** შარშანდელმა ჩემპიონმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა კვირის ბოლოს ლონდონში ტიტული უნდა დაიცვას, მაგრამ საერთოდ მოახერხებს თუ ვერა ბრიტანეთში გამგზავრებას, საკითხავი აი, ესაა — ეს საკითხი დღეს გაირკვევა. სწორედ დღეს იწურება თბილისი-პარიზი-ლონდონის ავიარეისზე დაჯავშნილი ბილეთების საფასურის გადახდის ვადა.

ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები ქართველ სპორტსმენთათვის უცხო არაა. მსგავს სიტუაციაში ძიუდოისტებიც და სხვებიც არაერთხელ აღმოჩენილან. მათ საევროპო თადარიგი თვეებით ადრე დაიჭირეს და სამყოფი დაფინანსების თაობაზე დაპირებაც მიიღეს, მაგრამ ბოლოდროინდელი არეულობებისა და საკადრო ცვლილებების გამო ფინანსთა სამინისტროდან თანხის დროულად გამოტანა ვერაფრით მოახერხეს.

დღეს ძიუდოს თავკაცები ახალ მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს პირისპირ შეხვდებიან და შეეცდებიან, ფულის მიღების აუცილებლობაში დაარწმუნონ. თუ ვერც ამან გამოიღო შედეგი, ევროჩემპიონები მიმდინარე სეზონს ალბათ საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკისრებული ჯარიმით დაასრულებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## რაგბი

# მეტ წავედი

## რაფაელ იბანესს პიკნიკები მოენატრა



**იუსტ ვან დერ ვესტჰოიზენი,** კიტ ვუდი, ფაბიენ გალტიე, ჯეისონ ლეონარდი, მარტინ ჯონსონი, ლორენცო დალაგლიო... ეს იმ ვარსკვლავთა არასრული ჩამონათვალია, მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერა რომ დაასრულეს. ახლა კი წასულებში ჩაიწერა ფრანგი მორკინალი რაფაელ იბანესიც.

„მე წავედი — ასე აცხადებს. პატარა აღარ ვარ, დროა, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო და დარჩენილი დრო ოჯახთან ერთად გავატარო. ძალიან მომენატრა ცოლშვილთან ერთად პიკნიკებზე სიარული და დასვენება" — განაცხადა იბანესმა, რომელიც „კასტრის" შეტევის პირველ ხაზს ორიოდ წლის წინ ჩვენ ლევან ცაბაძესთან ერთად ამაგრებდა.

იბანესი 30 წლისაა და სამი შვილის მამაა. სწორედ შვილებს უთხოვიათ, ხშირად გვენატრები და ჩვენთან მეტი დრო გაატარეო. წარმოშობით ბასკი მორაგბე ლონდონის „ვასპებს" დაემშვიდობა, თორემ კლუბს კიდევ ორი წელი ეერთგულებს.

1998 წელს ხუთი ერის მომგებ საფრანგეთს სწორედ იბანესი კაპიტნობდა. ბოლო სანაკრებო მატჩი კი მსოფლიოს თასზე, მესამე ადგილისთვის ახალი ზელანდიის წინააღმდეგ ითამაშა. ღვაწლმოსილი ვეტერანი 72 ტესტით გამოეთხოვა ნაკრებს.

## მთის თხილამურობა




# მარად მაიერი

## ჰერმინატორის ოპერატიული

დედამიწის ჩრდილო ნახევარსფერო ზამთრისთვის ემზადება. სამთო მოთხილამურეებიც უკვე შეუდგნენ დათოვლილი ფერდობების დასერვას. ათიოდ დღეა, სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასი დაიწყო

**ლიდერი** ჯერჯერობით ამერიკელი ბოდე მილერია, ვინაც პლანეტის სხვადასხვა ფერდობებზე გამართული ათი დაშვებიდან ორი მოიგო და სხვათა შორის, ორივე გიგანტური სლალომის ტიპისა. თუმც ის ჯერ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფავორიტია მსოფლიოს თასისთვის მებრძოლთა ამქარში.

გამოჩნდებიან სხვებიც, ჯერ კი მილერს ავსტრალიელები მიხაელ ვალხოფერი და რაღა თქმა უნდა, ჰერმან მაიერი აზიან თხილამურებზე. მათ ამ უქმეებზე კანადაში ალბერტის პროვინციის დაბა ლეიკ ლუისში ორ დაშვებაში გაინაწილეს პირველი ადგილები. ვალხოფერმა სწრაფდაშვება მოიგო, მაიერმა კი სუპერგიგანტში არავის დაანება პირველობა.

„ჰერმინატორი" თავისთავად ყურადღების ცენტრშია. მას მანამდეც არ აკლდა შეკითხვის დამსმელი ჟურნალისტები და ფოტომონადირეები, ხოლო მით უმეტეს შემოიკრიბა ყურადღება, როცა ამ ორი წლის წინ ავარიაში მოყვა და ლამის დაკარგა მარჯვენა ფეხი. შეგახსენებთ, რომ წლინახევრიანი უქმობის შემდეგ „ჰერმინატორი" ფერდობებს წინა სეზონში დაუბრუნდა და ერთობ ყოჩაღადაც.

მაიერმა ახლაც მეტი შეძლო, ვიდრე მისგან ელოდნენ. ჯერ მთლად შესაფერ ფორმაში ვერაა, მაგრამ დახეთ, ეტაპი მოიგო და ხალხს თავი შეახსენა, „ჰერმინატორი" კიდევ კარგა ხანს არ წაიშლება თქვენი ოპერატიული მეხსიერებიდანო.

ლეიკ ლუისში მას, ხალხისა არ იყოს, თავადაც გაუკვირდა სუპერგიგანტის მოგება — „ასე ადრეული გამარჯვება მოულოდნელიც იყო ჩემთვის. ყველაფერი ძალზე სწრაფად ხდება. იმ ინციდენტის შემდეგ ჩემი მიზანი მხოლოდ საკუთარი ფეხით გავლა იყო. ეს რომ შევძელი, ვიფიქრე, იქნებ სრიალიც მოვახერხო მეთქი, ახლა კი სეზონი ჯერ არც დაწყებულა და უკვე მოვიგე. წინ მივიწევთ. მართალია მარჯვენა ფეხი ცოტა საქმეს მიჭირვებს, მაგრამ ეს იქნებ ასაკის ბრალიც იყოს. ყველაფერი მაინც კარგად მიდის."

კვირას მაიერმა სუპერგიგანტი წუთსა და 36,69 წამში ჩამოიქროლა და წინა დღით სწრაფდაშვების მომგებ თანამემამულე ვალდხოფერს 0,26 წამით მიასწრო ფინიშთან. მესამე იყო მაიერის არყოფნაში კვარცხლბეკის დამჭერი შტეფან ებერჰარტერი, რომელმაც მოიგო კიდეც შარშან მსოფლიოს თასი ანუ ეტაპის ჯამი.

სეზონი ქალებმაც გახსნეს და სამი ეტაპიც მოილიეს. ჯერჯერობით მათში ჩაუქობს შვედი ანია პაერსონი, რომელმაც იუტას შტატში, პარკ სიტიში ჯერ 28 ნოემბერს გიგანტური სლალომი მოიგო, ერთი დღის შემდეგ კი იქვე ჩვეულებრივი სლალომიც სხვებზე მარდად და უხინჯოდ ჩამოიარა და რა თქმა უნდა, საერთო ჩათვლაშიც წინ გაიჭრა.

შვედი ქალი თავადაც გაუოცებია სეზონის ასეთ დასაწყისს და აი რატომ — „ცხოვრებაში არ დამიწყია სეზონი გამარჯვებებით და ცოტა დაბნეული ვარ. განსაკუთრებით ამ ორიდან პირველის მოგება იყო მნიშვნელოვანი, მე ხომ ხეირიანად გახურებულიც არ ვარ."

**ფიფქია ზამთარაძე**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

— 28 ნოემბერი —

ბოსტონი 1:2 ნეშვილი
1:2 0:0 0:0

ფილადელფია 4:2 კაროლინა
1:0 2:1 1:1

მინესოტა 1:2 სან ხოსე
0:1 1:1 0:0

ანაჰაიმი 4:3 ჩიკაგო
2:0 0:1 2:2

ვაშინგტონი 3:5 მონრეალი
1:3 1:1 1:1

დეტროიტი 6:0 აილენდერსი
2:0 0:2 2:0

ტამპა 2:2 სენტ ლუისი
1:0 1:0 0:2 0:0

პიტსბურგი 1:4 რეინჯერსი
0:1 1:0 0:3

ბუფალო 4:3 ფლორიდა
0:2 1:1 3:0

დალასი 2:0 ნიუ ჯერსი
0:0 1:0 1:0

ედმონტონი 1:4 კოლორადო
0:0 0:2 1:2

— 29 ნოემბერი —

მონრეალი 1:1 ფლორიდა
0:0 0:0 1:1 0:0

აილენდერსი 1:5 ფილადელფია
1:0 0:5 0:0

ოტავა 1:2 ტორონტო
0:1 1:1 0:0

ნეშვილი 4:1 ბუფალო
1:0 1:1 2:0

სენტ ლუისი 1:2 დეტროიტი
1:0 0:1 0:1

კალგარი 4:4 ვანკუვერი
0:2 3:1 1:1 0:0

ლოს ანჯელესი 3:1 ჩიკაგო
0:0 1:0 2:1

ატლანტა 2:1 ტამპა
0:1 0:0 2:0

კაროლინა 4:3 პიტსბურგი
0:1 3:1 1:1

კოლუმბუსი 3:5 ვაშინგტონი
0:0 2:4 1:1

— 30 ნოემბერი —

მინესოტა 1:1 ანაჰაიმი
1:0 0:1 0:0 0:0

ბოსტონი 3:3 ფინიქსი
1:1 1:1 1:1 0:0

დალასი 1:2 ლოს ანჯელესი
0:0 1:2 0:0

რეინჯერსი 2:4 ტორონტო
1:1 1:2 0:1

ედმონტონი 1:2 სან ხოსე
1:1 0:1 0:0

კოლორადო 1:1 ნიუ ჯერსი
0:0 1:1 0:0 0:0



„რეინჯერსის" მეკარე მაიკ დანჰემი ტორონტოელი მატს სუნდინის დარტყმულმა დააყირავა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge